F-412
1989

ISSN 0130-1624

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით კაკაბაძე

100

წელი

დროშა

დეკემბერი
№ 12 1989

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესია

17-18 ნოემბერს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მიმდინარეობდა საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს მეთორმეტე სესია .

სესია გახსნა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა ნ. ი. ლაღიძემ.

სესიამ დააკმაყოფილა ო. ე. ჩერქეზიას თხოვნა, გაათავისუფლა იგი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

სესია ერთხმად იღებს გადაწყვეტილებას გ. გ. გუმბარიძე აირჩიოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

სესიაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გ. გუმბარიძე.

შემდეგ დეპუტატებმა დაამტკიცეს სესიის დღის წესრიგი და მისი მუშაობის წესი. განსახილველად გამოტანილია შემდეგი საკითხები.

1. ცვლილებები საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში.

2. საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტი.

3. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტი.

4. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტი.

5. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 20 ივნისის დადგენილებით შექმნილი სამუშაო ჯგუფების ინფორმაციები გაწეული მუშაობის შესახებ.

6. საქართველოს სსრ მეთორმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების და ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნების დანიშვნა.

7. საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის სახელმწიფო გეგმა და 1989 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობა.

8. საქართველოს სსრ 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და 1989 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

9. საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხთა კომისიის ინფორმაცია.

10. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 17 აპრილის დადგენილებით ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამოსაკვლევად შექმნილი კომისიის დასკვნა.

11. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების შექმნა.

12. რეფერენდუმის შესახებ კანონის შემმუშავებელი კომისიის შექმნა.

13. „ენის შესახებ საქართველოს სსრ კანონის“ პროექტის შემმუშავებელი კომისიის თაობაზე.

14. ხანგრძლივად მომჩივან მოქალაქეთა ჯგუფის საჩივრების შემსწავლელი კომისიის თაობაზე.

15. საქართველოს სს რესპუბლიკაში გარემოს დაცვის სამსახურის რეორგანიზაცია.

16. რესპუბლიკაში მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის დამოუკიდებელი სამსახურის შექმნა.

17. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

სესიის თავმჯდომარემ გ. გ. გუმბარიძემ დეპუტატებს აუწყა, რომ წინა დღით საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე განიხილა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მეთორმეტე სესიის გადაწყვეტილებათა საკითხი. იმასთან დაკავშირებით, რომ უხეშად დაირღვა ამ სესიის მოწვევისა და მოწყობის წესი, აგრეთვე მასზე განიხილეს საკითხები, რომლებიც საოლქო საბჭოს კომპეტენციას ეკუთვნება, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 115-ე მუხლის მეათე პუნქტის საფუძველზე აღნიშნა, რომ კანონს არ შეესაბამება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მეთორმეტე სესიის გადაწყვეტილებანი.

იმასთან დაკავშირებით, რომ იწურება ყველა საფეხურის საბჭოების დეპუტატთა უფლებამოსილების ვადა, სესია იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს სსრ მეთორმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები დაინიშნოს 1990 წლის 25 მარტს, კვირას, ხოლო ოცდამეერთე მოწვევის ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა არჩევნები — 1990 წლის 17 ივნისს, კვირას.

სესიამ მიიღო დადგენილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსთან დაკავშირებით დასმულ საკითხთა შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ.

სესიამ დაამტკიცა დეპუტატ ზ. ა. ჩხეიძის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლება.

სესიაზე მთავრობის საქმიანობის პროგრამით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი ნ. ა. ჭითანავა.

სესიამ დაამტკიცა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ნ. ა. ჭითანავას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

დასასრულ სესიაზე გამოვიდა გ. გ. გუმბარიძე.

მამულო, საუკვარელო!

დროშა

№ 12 დეკემბერი. (396). 1989

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ნ ო მ ე რ შ ი ა:

ალბერტ აბესაძე. შრომითი კოლექტივი და დემოკრატია.
ნათელა გიორგოგიანი. მოულოდნელი ინტერვიუ, ანუ სენაკელი მამები და შვილები.
დიმიტრი შველიძე. საქართველოს ხალხის მემორანდუმი.
იური ანოხინი. „და ჩვენ ერთად ვიბრძოლებთ!..
მაია ფურცელაძე. „ლეჩაქზე ქალი“.
ანდრე კარბელაშვილი. „ელექტრონული“ ფული? დიახ, უკვე რეალური ხდება.
თამილა თევდორაძე. დავით კაკაბაძე.
დავით გუზუკაშვილი. ქართული ჟურნალი ისრაელში.
გივი სოსანიძე. ეს საბედისწერო ცამეტი...
გიორგი პაპუაშვილი. პატარა კაცი.
ი. ილფი, ე. პეტროვი. გრაფი სრედიზემსკი.
ნუგზარ გარდაბელიძე. მილიარდერებო, სწორდით!
რემ დავიდოვი. პიროგოვი საქართველოში.
ხატია გამგებელი. კარატე — ეს „თავისუფალი ხელია“.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1989 წ.

მ თ ა ვ ა რ ი რ ე დ ა ქ ტ ო რ ი

ოთარ ჭინჭლაძე

●

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა:
გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ ბერიშვილი, ვასილ გვეტაძე, ნათელა გიორგოგიანი, ოთარ დემეტრაშვილი, ვახტანგ ესვანჯია, ჯემალ მეხრიშვილი, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), თენგიზ სამსონაძე.

ალბერტ აბესაძე
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შრომითი კოლექტივი და დემოკრატია

სოციალისტური დემოკრატიის ფორმებიდან, რომლებიც ბრძოლით იკაფავენ გზას პოლიტიკური ვნებებით აღსავსე ჩვენს სინამდვილეში, საწარმოო დემოკრატიას განსაკუთრებული როლი ეკისრება. იგი ემყარება შრომით კოლექტივებს, რომლებიც ქვეყნის პოლიტიკური სისტემის არსებით შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ. საწარმოო დემოკრატიის კონსტიტუციური აღიარება იმაზე მიგვანიშნებს, რომ საწარმოო დაწესებულებების მართვის საქმეში ადმინისტრაციასთან ერთად მოქმედებს მშრომელთა თვითმოქმედების ისეთი მექანიზმი, რომელიც რეალურად უზრუნველყოფს შრომით კოლექტივებში გაერთიანებულ მუშა-მოსამსახურეთა მონდომებისა და ინტერესების შერწყმას ყველა არსებითი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტისას.

ათეული წლების განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკის მართვის ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული სისტემა ამუხრუჭებდა საწარმოო დემოკრატიის განვითარებას. იგი აგებული იყო ადმინისტრაციული იერარქიის მკაცრად რეგლამენტირებულ ბრძანება-დამორჩილების პრინციპზე, რამაც შრომით კოლექტივებს დაუკარგა შრომის ნაყოფიერების გაზრდის ინტერესი. ამას თან ერთვოდა დირექტიული დაგეგმვისა და განაწილების ბიუროკრატიული სისტემა, რომელიც ხელ-ფეხს უკრავდა შრომითი კოლექტივების სამეურნეო თავისუფლებას. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ საწარმოო პროცესების მართვის არნახულმა გასახელმწიფოებრიობამ ყველა დონეზე კრიზისის პირას მიიყვანა ჩვენი ეკონომიკა.

სადღეისოდ ცხოვრებამ მოითხოვა, რომ სოციალისტური დემოკრატიის განვითარების ბაზაზე შექმნილიყო საწარმოთა მართვის ისეთი ახალი სისტემა, რომელიც უმაღლესი დისციპლინის ბაზაზე უკეთ მოახერხებდა ერთ ძალად შეეკრა ადმინისტრაციის, პროფკავშირისა და შრომითი კოლექტივის ინტერესები. 1983 წელს მიღებულმა სპეციალურმა კანონმა შრომითი კოლექტივების შესახებ მიზნად დაისახა რეალურად გაეფართოებინა შრომის პროცესში მწარმოებლის უფლებები. წარმოებადაწესებულებების შრომითი კოლექტივი და მისი საბჭო გამოცხადდა არა ზემოდან წამოსული ბრძანებების და განკარგულებების მექანიკურ შემსრულებლად, არამედ თავისი შრომით შექმნილი პროდუქციის რეალურ მესაკუთრედ, რომელსაც ძირითადად სახელშეკრულებო სისტემით უნდა ეწარმოებინა ანგარიშსწორება სახელმწიფოსა და სხვა სამეურნეო პარტნიორებთან.

ცხოვრებამ მალე დაგვანახა, რომ ამ კანონს მეტი დაკონკრეტება და სრულყოფა სჭირდებოდა. ეს მოხერხდა 1988 წლის პირველი იანვრიდან ძალაში შესული სახელმწიფო საწარმოს ახალი კანონით, რომლითაც შრომითი კოლექტივი გამოცხადდა საწარმოო დემოკრატიის ძირითად საწყის რგოლად ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში. აღნიშნული კანონით მოიხსნა ბევრი შეზღუდვა, რაც ბორკავდა კოლექტივის სამეურნეო ძალაუფლებას. ამასთან, დაზუსტდა საწარმოს. მართვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი შუშაობის ფორმები, რამაც საშუალება მოგვცა, უკეთ მოგვარებულიყო საწარმოს ერთმართველი ხელმძღვანელის, პროფკავშირისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე შრომითი კოლექტივის ფუნქციების თანაფარდობა. ეკონომიკის მართვის საწარმოო-სამეურნეო სფერო შევიდა შრომითი კოლექტივის კომპეტენციაში, ხოლო საწარმოს სოციალური სფეროს ხელმძღვანელობა პროფკავშირებს დაევალა.

სამწუხაროდ, გარდაქმნის დაბალმა ტემპმა, რაც ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის ქრონიკული ავადმყოფობა გახდა, უარყოფითი გავლენა მოახდინა საწარმოო-დაწესებულებათა შრომითი კოლექტივების მუშაობის გააქტიურებაზე. კიდევ უფრო უჭირს საწარმოო დემოკრატიას მაშინ, როცა ხელმძღვანელებად გვევლინებიან არაკომპეტენტური და კორუმპირებული პირები. სავალალო ისაა, რომ ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების წაყრუებით ისინი ხშირად დაუსჯელნი რჩებიან. ხოლო იქ, სადაც თავის ნებაზეა მიშვებული კადრების მომთხოვნელობისა და კონტროლის სისტემა, ძნელია მაღალ სამეურნეო შედეგებზე ლაპარაკი. მიმდინარე წელს ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა რესპუბლიკის მრეწველობის მნიშვნელოვანი ჩამორჩენით. განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობა შეიქმნა ეკონომიკის ისეთ საარსებო და მნიშვნელოვან დარგებში, როგორიცაა სათბობ-ენერგეტიკული და მანქანათმშენებლობის კომპლექსი, მსუბუქი და გადამამუშავებელი მრეწველობა. მარტო ის ფაქტი, რომ ეროვნული შემოსავალი 1989 წლის პირველ კვარტალში დაგეგმილი 12,6 პროცენტის მაგიერ 6,1 პროცენტით გაიზარდა, კომენტარს არ საჭიროებს.

სამწუხაროდ, რესპუბლიკის ბევრი შრომითი კოლექტივის წევრები ჯერ კიდევ ძალზე სუსტად იცნობენ მოქმედ სამეურნეო კანონმდებლობას. ხშირად არ იგრძნობა ადმინისტრაციის დაინტერესება, იურიდიული სამსახურების მეშვეობით განუმარტონ მუშა-მოსამსახურეებს სამეურნეო ანგარიშის პირობებში შრომის ანაზღაურების ახალი წესები, კანონმდებლობის სიახლეები, შრომითი კოლექტივების გაზრდილი უფლებების სამართლებრივი უზრუნველყოფის საშუალებანი. პრაქტიკამ მოითხოვა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციისა და საჯაროობის დღევანდელ პირობებში შრომითი კოლექტივები პირველ რიგში უნდა გავათავისუფლოთ მართვის დოგმატური სქემების ტყვეობისაგან. მათ უნდა შეექმნათ კოლექტიური აზრის თავისუფალი გამოთქმის და საწარმოო საკითხების რეალურად გადაწყვეტის პირობები.

ცნობილია, რომ ჩვენი დინამიკური სამყარო თავის გავლენას ახდენს ადამიანთა გაერთიანების ყველა ფორმაზე, მაგრამ მათ მიზანდასახული ხელმძღვანელობა სჭირდებათ. შრომითი კოლექტივებისა და მათი საბჭოებისათვის ასეთი ხელმძღვანელი უნდა იყოს სახალხო დეპუტატების საბჭო, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს საწარმო. შრომითი კოლექტივების საბჭოებთან კონტაქტში უფრო აქტიურად უნდა ჩავაბათ დეპუტატების კორპუსი. დღეს ასეთი საქმიანი კავშირი ფაქტიურად არ არსებობს. ამასთან სახალხო წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ შრომითი კოლექტივის საბჭოების სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა არ ნიშნავს საწარმოთა პრაქტიკულ-ოპერატიულ საქმიანობაში ჩარევას და მათი ფუნქციების მისაკუთრებას, მაგრამ ისეთი აქტუალური პრობლემები, როგორიცაა რესპუბლიკის საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღება, სოციალური სფეროს სრულყოფა, სწორი დემოგრაფიული პოლიტიკის გამომუშავება, უკოლოგიური და სხვა მოითხოვენ, რომ ხელისუფლების ორგანოები ფლობდნენ რეალურ სიტუაციას მოცემულ ტერიტორიაზე, მხარში ედგნენ საწარმოთა შრომითი კოლექტივის საბჭოებს და საერთო ძალისხმევით ზრუნავდნენ ამ პრობლემების გადაწყვეტისათვის.

საქართველოს დემოკრატიულ და ეროვნულ აღმავლობაზე ზრუნვა უნდა დავიწყოთ პირველ რიგში შრომითი კოლექტივებიდან. ამასთან, მაქსიმალურად უნდა ვითვალისწინებდეთ კოლექტივების არა მარტო საწარმოო, არამედ ეთნიკურ თავისებურებებსაც.

შექმნილი სიტუაცია სახალხო დეპუტატთა საბჭოებს უკვე დღეს ავალებს თავიანთ ტერიტორიაზე შექმნან ყველა პირობა შრომითი კოლექტივების საბჭოების რეალური განვითარების, და მათი ყველა არსებული სტრუქტურების მწყობრი და გამართული მუშაობისათვის. არ უნდა დავუშვათ, რომ ერთმმართველი ხელმძღვანელების მოუქნელობა და არაკომპეტენტურობა ახსნან შრომითი კოლექტივების პასიურობით. მკაცრი ბრძოლა უნ-

და გამოეცხადოს აგრეთვე სამეურნეო ხელმძღვანელების მიერ შრომითი კოლექტივების ავტორიტეტის შელახვის ყოველგვარ ცდას. უნდა გვახსოვდეს, რომ გარდაქმნის კურსი, რომელიც მიზნად ისახავს სამეურნეო სფეროში მწარმოებლის დიქტატის მოსპობას და ვერტიკალურის მაგიერ ჰორიზონტალური სამეურნეო კავშირების განმტკიცებას, რეალური გზაა შრომითი კოლექტივების მიერ სოციალისტური საკუთრების უშუალოდ მართვისათვის. როცა საწარმოო, სადაც პრაქტიკულად იქმნება ეროვნული სიმდიდრე, მისი კოლექტივი ჩამოცილებულია წარმოების მართვისაგან, არ განაგებს საკუთარი შრომით შექმნილ სიმდიდრეს და მხოლოდ ცენტრის დირექტივებით ხელმძღვანელობს, იქ ითრგუნება არა მარტო შრომის ნაყოფიერების გაზრდის სტიმულები, არამედ ილახება რესპუბლიკის სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ინტერესები.

შრომითი კოლექტივის და მისი საბჭოს ავტორიტეტი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ერთმმართველი ხელმძღვანელის, ანუ დირექტორის პოზიციაზე, რომელიც სოციალისტური საწარმოს კანონის საფუძველზე ამ საზოგადოებრივ ორგანოებზე დაყრდნობით მართავს წარმოებას. დღეს იგი არის შრომითი კოლექტივის არჩეული წევრი და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ვალდებულია, დაემორჩილოს კოლეგიური ორგანოს გადაწყვეტილებას.

ვითარება მოითხოვს, რომ წარმოების თანამედროვე ტიპის ხელმძღვანელი პატივს სცემდეს შრომითი კოლექტივის საბჭოს გამოტანილ გადაწყვეტილებას, სრულ ნდობას უცხადებდეს საბჭოს წევრებს და უნარიანად წარმართავდეს კოლექტივის მუშაობას მიღებული გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარებისათვის. საბჭოსთან საქმიანი კონტაქტის დამყარებისა და დიალოგის უნარი ხელმძღვანელის ავტორიტეტის საფუძველია. თუ სამეურნეო ხელმძღვანელის სიტყვა და საქმე არ სცილდება ერთმანეთს, თუ ხელმძღვანელი „კოლექტივის ინტერესების“ გულისათვის არ მიდის მიწერებსა და სხვა დარღვევებზე და გააჩნია ყველა ინსტანციაში თავისი პოზიციების პრინციპულად დაცვის უნარი — ეს მობილიზაციას უკეთებს შრომითი კოლექტივის საბჭოს თვითოეულ წევრსაც. თავის მხრივ საბჭომ უნდა შექმნას ისეთი მიკროკლიმატი, რომელიც საშუალებას მისცემს საწარმოს კოლექტივის თითოეულ წევრს თამამად და გაბედულად დააყენოს დიდმნიშვნელოვანი საწარმოო თუ სოციალური საკითხები და პრაქტიკული მონაწილეობა მიიღოს მათ გადაწყვეტაში. ამისათვის დაკანონებას საჭიროებს შრომითი კოლექტივის საბჭოს წევრების მატერიალური და მორალური სტიმულირების სისტემა, რაც ჯერ კიდევ არ გაგვაჩნია. უამისოდ კი შეუძლებელია საბჭოს წევრებისაგან მოითხოვო ძირითადი სამუშაო საათების შემდეგ კოლექტივის საზოგადოებრივ ინტერესებზე ზრუნვა და პასუხისმგებლობის თავის თავზე აღება მთელი რიგი არსებითი საწარმოო საკითხების მოგვარებაში. სამწუხაროდ, ეს საკითხი ყურადღების გარეშეა დარჩენილი კანონში სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ. ამიტომ მიზანშეწონილად გვეჩვენება, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სპეციალური დადგენილების საფუძველზე დაკანონდეს, რომ საწარმოს მოგებიდან გარკვეული პროცენტი შრომითი კოლექტივის საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე პრემიის ან სხვა წახალისების სახით ეძლეოდეთ საბჭოს აქტიურ წევრებს. ამ მხრივ რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოები რაც უფრო მალე დასძლევენ ყველაფერში ცენტრალური უწყებებისათვის ლოდინის პოლიტიკას, მით უფრო დაჩქარდება ჩვენი ეროვნული სუვერენიტეტის დამკვიდრების პროცესი.

მაგალითად, შრომით კოლექტივებს წლიდან წლამდე რჩებათ დიდი რაოდენობის აუთვისებელი თანხები, რომელთა თავისუფალ გამოყენებას წინ ეღობება ზემდგომი ორგანოების დიქტატი თავისი შემზღუდავი ბრძანებებითა და ინსტრუქციებით. ასეთ სიტუაციაში მიზანშეწონილი იქნება ჩვენს ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა საწარმოს მიეცეს ამ თანხების მიზნობრივი ხარჯვის უფლება.

რესპუბლიკის მეთორმეტე ხუთწლედი თავის ძნელ ფინიშზე გადის. ასეთ დროს საწარმოთა ყველა შრომით კოლექტივს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ მათ მიერ შექმნილი სიმდიდრე ის საძირკველია, რომელზეც ჩვენი ეროვნული სახელმწიფოს სუვერენიტეტის დემოკრატიული შენობა უნდა ავაშენოთ.

დაგვტოვეთ მარტო

დაგვტოვეთ მარტო!..
მე დღეს ხმაც და სიმიც დამაცვდა,
იმ საზღვრის ხაზთან,
იმ შავ ხაზთან დღეს მეც შევჩერდი.
დაგვტოვეთ მარტო —
ერთი სიტყვაც მაქვს ქვეყანასთან;
დაგვტოვეთ მარტო
ახლა მე და ეს მზისქვეშეთი.

მე ცამდე სავსე
ათას დრამით, ათას ქარიშხლით,
ყველა ქარიშხლის,
ყველა დრამის სუნთქვით მცნობელი...
ერთი რამ სიტყვაც,
ერთიც დამრჩა მე ანგარიში —
დაგვტოვეთ მარტო
მე და ჩემი წუთისოფელი.

მე მისი ჯიში,
სისხლი მისი და მისიანი,
მე ხმა შენდობის,
ხმა იმედის, ხმა დამშვიდების;
ქება-დიდებით მე ვავსებდი
ამ დიდ მზიანეთს,
სხვა რამ არ მითქვამს მისთვის
გარდა ქება-დიდების.

ახლა დავკეცოთ,
ახლა დავდოთ,
ახლა დავხუროთ
რაც რამ დამთავრდა,
რაც რამ გაქრა,
რაც რამ დანაცრდა...
უშუამავლოდ, უმსაჯულოდ, უმეთვალყურეოდ
დამტოვეთ მარტო
მე ამ დღესთან, ამ ქვეყანასთან.

1986 წ.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

დემურ გადელია (მარცხნივ) მეგეტონეთა ბრიგადის წევრებთან

ფოტო არსენ ჩარკვიანისა

ეროსოდენელი ინტერვიუანი სენაკელი ბავშვი და უვილები

ნათელა ბიოროგოლიანი

ეძველეს, ისტორიულ ადგილ, ნოქალაქევში, ბევრი ლამაზი, გემოვნებით ნაგები სახლი. ერთ-ერთი მათგანი, ციხე-გოჯიდან სულ ორიოდე კილომეტრით დაშორებული, ვალიკო კოლოშვილის მრავალრიცხოვან ოჯახს ეკუთვნის.

ქართველ კაცს ოდითგანვე ჰქონდა ერთი სოლკინი თვისება — ისე გაიწყობდა, ისე გათვლიდა ყველაფერს, რომ მისი სახლი და კარ-მიდამო საერთო ხედს ეასაოკრად ერწყმოდა და დიდი მხატვრის დახატული სურათივით ესთეტიკურ სიამოვნებას გვრიდა ადამიანს.

ახლა, როცა ბევრმა დაკარგა ზომიერების გრძნობა, სწორედ რომ სასახარულოა, როცა ამ ძველთაძველ თვისებას ქართველი კაცისას ასე ხელშესახებად ალიკვამ...

ამ სახლში ოთხი თაობა ცხოვრობს. წელთა სიმრავლის ნათელი ადგას პირველ თაობას — ნადიას და შალვას, სამი შვილი და მრავალი შვილთაშვილი რომ გაუზარდეს სამშობლოს. მარტო შვილთა სიმოავლეც რა ბედენაა, თუ დიდ ადამიანურ ბედნიერებას და შრომისმოყვარეობას არ დაანთოლავ საკუთარ მოდგმას. მაგრამ არც ეს ყოფილა ძნელი ისეთი შშობლებისათვის, სიტყვით კი არა, საქმით, მთელი სულითა და გულით, მთელი ცხოვრებით რომ აიძულებენ შვილებს ამოარჩინონ ერთადერთი მართალი გზა, გზა პატიოსანი, ეეშმარიტად ადამიანური.

...ძველ სენაკში საქართველოს სსრ სახელმრწიფოს № 2 საერთაშორისო სამშენებლო ტრესტის საავტომობილო ბაზის მშენებლობის მეკანიზაციისა და ავტოტრანსპორტის გაერთიანების უფიდეს და უაღრესად სარნტერესო ტერიტორიის ვათვალიერებდი. მაშინ შევამჩნიე ორი შემდეგ ტალვი ბაბუკი. მალალი, სოლიად ვაჟკაცური ინდგარიში ახალგაზრდები თავიანთ საქმეს აკეთებდნენ. სახეებს ვერ ვხედავდი, მაგრამ მათი ხელები, მოძრაობა ადასტურებდა, რომ ისინი ამ ფუთში შემოქმედნი იყვნენ და არაფერი ეშინოდათ, რაც ირგვლივ ხდებოდა. მერე ელვაჯარ და ჯემალი პირადად გავიცანი და მითმა შინაგანმა. თანდაყოლილმა ინტელექტმა მიიძალა, მომეკითხა მამის ვინაობა. მაშინ გავიგე, რომ ისიც შემდეგიეგელია, ისიც რკინა-ბეტონის პოლიგონზე მუშაობს, მაგრამ ამჟამად ავადმყოფობის გამო არ შეუძლია შვილების გვერდით დგომა.

გადავწყვიტე, შინ მომეპანულებინა მამა, ვალიკო კოლოშვილი. იგი საინტერესო მოსაუბრე გამოდგა. ერთ დროს ისტორიულ ფაკულტეტზე უსწავლია. ვთხოვეთ, მომიყვეთ-მეთქი თქვენი ცხოვრებისა და ინკლუქტიფის შესახებ, სადაც ოჯახიდან სამი ეფეკალი შუამობთ.

დიდხანს ფიქრი არ დასჭირვებია:

— ჩემი ცხოვრების ნახევარზე მეტი გავლილ. როდესაც უკან მივიხედავ, ვერ გეტყვიათ, არაფერზე გული არ მწყდებამეთქი, მაგრამ მაინც ქმაყოფილი ვარ ჩემი თავის. ალბათ? პირველ რიგში იმით, რომ კარგი შვილები დავზარდეთ მე და ჩემმა მეუღლემ, მზია. სამი ბიჭი გვყავს. სამივე შემდეგიეგელია. ეფროსმა, ეზგელომ, სამშენებლო ტექნიკუმი დაამთავრა. ისიც შემდეგიეგლად მუშაობს ზეგდიდში.

იმას როგორ ვიტყვი, ყველაფერი ეს თავისთავად მოხდა-მეთქი. რთული პერიოდიც მქონია შვილებთან. როგორ გავაგმტყუნო. ბაიხეიტს, გამოიხედეს, მათი ამხანაგებიდან ზოგს სამ-სამი მანქანა ყავს. თვითონაც დაიწყეს გზების ძებნა. ბრძოლა დამქმიდან, მაგრამ მაინც დავაყენე ისინი სწორ გზაზე. თვეში ოთხსაი-ოთხასორმოცდაათი მანეთი თავისთავად კარგი ხელფასია, მაგრამ ხომ იცით, შემდეგიეგელს ისე, თუ სამსახურზე არ არის მოჯაჭვული, მუტის გაკეთება შეუძლია. მე ეს არ მინდა. ჩემი სურვილი იყო, კაცური ბრალი ვმოთ. რაკი შვილები ეული დავიმეფე, შვილიშვილებიც სამეფოდ მეგულება. მამის კეთილი ნაკვალეცი სადამდე მისდევს შვილს, ეს რომ გითხრათ, ერთ ამბავს მოგიყვებით: გაერთიანების მთავარი ბუღალტერია ლენორა ბაღუთარია. შეხედავ, სუსტი ქალი გეგონება, დიდი ძალა კი აქვს, დიდი ენერგია. მისი მამაც ბუღალტერი იყო. აქ, ნოქალაქევში, მუშაობდა სანერგე მეურნეობაში. ათი-თორმეტი წლის შემდეგ, როცა ალექსანდრე ცოცხალი ალარ იყო, მის შვილს მისსავე მაგიდასთან მოუხდა ჯდომა და მისი საქმის კეთება. სულ რამდენიმე დღის მისულმა სალარიზე ძველი საქაღალდე შეაშჩნია. აიღო და სანაგვეში გადაგდო. მეორე დღეს ეს საქაღალდე კვლავ თავის ადგილზე დახვდა. გაოცდა. ის იყო კვლავ გადაგდებას აპირებდა, თავზე დამლაგებელი დაადგა — მარგო ჯიმშელეიშვილი:

— რას შერვები, შვილო, ეს ხომ მამაშენის ნაქონი საქაღალდეა. ამდენი წელი ვერ შეეფლეოთ, ვინახავთ, ასე გვგონია, მის ხსოვნას ჩრდილი მიადგება, ეგ რომ მანდ არ იდოს...

რას ავადებს ეს ყველაფერი შვილს, როგორ შვილის ცხოვრებაში, აი, ამაზე უნდა იფიქროს ყველა მამამ.

წელანაგე გითხარით, ნაჯაფი კაცი ვარ-მეთქი. თითქმის ორმოცი წელია ვმუშაობ. ფოთის ნავსადგურშიც მიშრომია, ყამირ მიწებზეც ვყოფილვარ. ოცდაშვიდი წელიწადი ზუგდიდის ქალაღლის კომბინატში გავატარე, შრომის დიდების მესამე ხარისხის ორდენი იქ მივიღე. მერე მშობლები რომ მოხუცდნენ, ჩემს კერაზე გამომიწია გულმა. აქ უფრო მყარად ვგრძნობ თავს. ასე რომ, არ მეშლება ავი და კარგი.

ჩვენი გაერთიანების მოწყობილ ტერიტორიას, კორპუსებსა და საამქროებს ვინც ნახავს, ვერც წარმოიდგენს, ათი წლის უკან აქ როგორი ტყიანი და ჭაობიანი ტაბლალი იყო. პირველადდაარსებული ავტოსატრანსპორტო საწარმოს მთელი სიმდიდრე ოთხი-ხუთი მანქანა, ერთი პატარა ექსკავატორი და გადასადგილებელი ვაგონი გახლდათ. ჩვენი უფროსის დემურ გადელიას კბინეტში ნახავდით სურათს, რომელიც მაშინდელი ეკგმის მიხედვით აღადგენა ჩვენმა უფროსმა და მერე მხატვარს შეასრულებინა. ამით იმის თქმა მინდა, რომ ბევრი რამ შეუძლია თავდადებულ შრომას და ფანატიზმს, კარგ ხელმძღვანელობას. დაგეგმეს ავტოგარაჟი 150 მანქანისათვის. სულ სამ წელიწადში საწარმომ ისე გაშალა ფრთები, შშენებელ ორგანიზაციად გადაიქცა.

როცა აშენებ, ყველაფერი გეჩიქება. რა ბარი აქეს ეკგმის გონივრულად შედგენას, მონდომებას, თუ მომწოდებელი ორგანიზაცია თავის დროზე არ გამარაგებს მასალით. დემურ გადელია კარგი მეურნეა და თავადაცე შეამჩნია, როცა სხვას შეაყვარებ ხელში, მოცდენაც იზრდება და დანაზარჯებიც. ათასი კარი უნდა ამტვრიო, კომბინატმა ფონდი რომ გამოყოს. გადავეკიდეთ ფლომპარაგებაში. ისევ ორომტრიალი, რეკუპერაციის გასაღება-მომარაგება და ბოლოდაბოლოს რომელიმე ქარხანას ეძლევა დავალება. როგორ გგონიან, გაგზავნით წარმომადგენელს, მანქანას, მერე რამდენჯერ, სასურველ მასალას კი ვერა და ვერ მიიღებთ. ერთხელ მახსოვს, თვითონ უფროსი წავიდა ცემენტის ქარხანაში. დირექტორთან რომ შესულა ამისათვის, რაც წესით და კანონით ეკუთვნოდა, მას უთქვამს, მე ცემენტი არ მეგუბა. როგორ გინდა კაცმა შეიკვეთა ასეთ დროს თავი, ცემენტის ქარხნის დირექტორს ცემენტი თუ არ ეგება, მაშ, ვისთან უნდა მიხვიდე?

ამიტომ გადაწყვიტა დემურ გადელიამ, ბევრი რამ თვითონ, ადგილზე გაეკეთებინა. ჯერ ისეთი სამქროო ჩაიფიქრა, ზვრილ საკედელი ბლოკს, დეკორატიულ ფილასა და კიბის სფეხურებს რომ დაამზადებდა. დინერგა რაციონალიზატორული წინადადება, დანადგარი ადგილობრივ გაკეთეს და დაამონტაჟეს. ახლა უკვე მუშაობა ალარ ფერხდებოდა. ერთიორად შემცირდა სატრანსპორტო ხარჯები და მშენებლობაც რენტაბელური გახდა.

...ვალიკო შეჩერდა. თითქოს რაღაც გაახსენდაო. თვალებშიც სევდა ჩაუდგა. ის წუთები თუ დაუდგა თვალწინ, უფროსსა და მას შორის შვმა კატამ რომ გაირბინა. ერეკ ინფორმაციის მოიმინებიდან გამოუყვანია ერთხელ დემური. ვალიკოსაც წყენია და უთქვამს:

— ამის შემდეგ მე ერთი დღე არ გავჯითებთ, გულდგმულ ამოწმებს პროდუქციის ხარისხს. მომაფილთვისაც ბევრი ჩანაფიქრია, მაგრამ პირველ რიგში ცემენტის პატარა ქარხანა იკვეთება...

წესრიგი, სანიმფო წესრიგი და სისუფთავეა ყველგან, სადაც თვალს შეავლებთ. ნაგთაბპროდუქტები სამეფოდ არის დაცული, მატერიალური ფასეულობის სათავსო კარგი, ყაირათიანი დისახლისის ხელით დალაგებულ სახლს ჰგავს. საკომპრესოროში, სადაც სამი გიგანტი დანადგარი მუშაობს, მეტლახის იატაკი სარკესავით პრიალებს, საქმეს ისე ამუშავებს მაზუთს, გარემოს არ აკუნძეაინებს, იფილტრება. მბრუნველი ხელით მოწყობილი გაზონები, სიმწვანე, სისუფთავე, სიმშვიდე. მყუდროება...

ვალიკო კოლოშვილის ნაამბობიდან:

— ის რაც ახლა საქართველოში ხდება. თუნდ პატრიოტული თვალსაზრისით და თუნდაც ადამიანის პირადეული უფლებების დასაცავად, ჩვენზე, შშრომელ ადამიანებზე მეტად ვის უნდა უბარიდეს. ამ დრომ მოგვიტანა ჩვენი ძველი სახელის — ასფალტი დაუგიათ, ახლა-მახლო მშენებლობებსა და ნაგებობებს, ოსტატი, ადრე ბრიგადრიად მუშაობდა. გამომბეჯდა, ავტოსანიენრიზე ესწავლომ და ჩემი ოცნება ავტონოსპეკტორობა იყოფო.

— შემომიჩინდა დემური, ჩემთან მოდი ცოტა ხანს და მერე საათაც გიჩდა წადიო. ბევრი მაწყალა. რა არ გამაკეთებინა, სად არ გამგზავნა. რა არ მასწავლა. ოფლი მაღვრევინა და, ახლა თუ გინდა, წადიო, ყაზიდად მითხრა. სადდა წვადიე, როცა აქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც თვეში წყალში.

დემურ გადელიას ნაკაფ გზას მისი ძმისშვილი, სოსო გადელია მიპყვება. მან პოლიტექნიკური ინსტიტუტის მაჩვანთშენებლობის ფაკულტეტი დამთავრა. რუსთაველ გაანაწილეს. კიდევ კერ ეელოდა ახალგაზრდა ქალაქური ცხოვრებას, მაგრამ ვინ გაიჩენა. ჩამოიყვანა ბიძამ რკინა-ბეტონის პოლიგონზე. სხვა ახალგაზრდებივით გამოკეფდა, გამოაწერინა. ახლა სამუშაოთა მწარმოებელია. ის ხელმძღვანელობს ოთხსაკაციანი, ძალიან საინტერესოდ დაგეგმილი კუნძის, სპორტკომპლექსისა და კრიეის დარბაზის შშენებლობას. რაკი გზის გაგრძელებაა, გზის გაგრძელება იყოსო და საამშენებლო ფაკულტეტის დამთავრებასაც ამირეს.

არაფერს არ თაკლობს. სადაც გაჯიერვებაა, პირველი წაამეველეს ხელს. ფაბრიდგა მძლოლია, დასტარდება მუშა. თავის თავზე რომ გამოკადა ყველაფერი, შშრომელი ადამიანის გარჯასაც იმატებ ფასებს.

— ვენაკეცელ მეეკსკავატორე ელვარდ გვაძაბაია მარჯვენა... ზეუხეო ზეაღამისას რომ დაიწყო, აგერ შეადეე წამოვიდა და არ ფამოსცდენია დაკიდალეო, — თქვა სოსომ სწორედ იმ დღეს, მთაგორიან სოფელ კიწიაში კლუბის შშენებლობა რომ დაიწყეს.

ასე, მხლოდ ერთმანეთის დაფასებაში კეთდება დიდი საქმეები, და ეს ესოდენ სჭირდება საქართველოს მომავალ ძლიერებას.

საქართველოს ხალხის მემორანდუმი

XX საუკუნის დამდეგიდან ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წამყვან პოლიტიკურ ლოზუნგად იქცა საქართველოს ეროვნული ავტონომიის მოთხოვნა. საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსული პოლიტიკური პარტიები და მიმდინარეობები ავტონომიის განხორციელებაში ხედავდნენ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესაძლებლობას. ეროვნულ-რევოლუციური პარტიები (სოციალ-ფედერალისტები, ქართველი ესერები, ანარქისტები) პოლიტიკური და რევოლუციური ბრძოლით ცდილობდნენ მიზნის მიღწევას, ხოლო ლიბერალურ-დემოკრატიული ბანაკი მშვიდობიანი მეთოდებით ლამობდა ეროვნული ავტონომიის განხორციელებას.

ავტონომისტურ მოძრაობაში, რომელსაც საქართველოს არაპროლეტარული ოპოზიციის სხვადასხვა მიმდინარეობები ავსებდნენ, არსებობდა უფლებრივ-ავტონომისტური მიმართულება. მის წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ რუსეთ-საქართველოს შორის დადებული 1783 წლის ხელშეკრულება თავისთავად გულისხმობდა საქართველოს საშინაო დამოუკიდებლობას, ავტონომიას. ამდენად, ავტონომიის მოთხოვნას ქართულ სინამდვილეში იურიდიულ-ისტორიული უფლების სტატუსი ეძლეოდა და დამყარებული იყო გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებზე. რამდენადაც ტრაქტატი რუსეთის იმპერიის მიერ ცალმხრივად დარღვეულ საერთაშორისო ხასიათის ხელშეკრულებას წარმოადგენდა, საჭირო იყო ბრძოლა ამ ხელშეკრულების პირობების აღდგენისათვის. ვის უნდა აღედგინა დარღვეული სიმართლე? ქართველი ლიბერალურ-დემოკრატიული ინტელიგენციისა და საზოგადოებრივი ფენების ერთ ნაწილს მიაჩნდა, რომ ხელშეკრულების პირობები რუსეთის მონარქს უნდა აღედგინა. მეორე ნაწილი ფიქრობდა, საქართველოს ავტონომიას რუსეთის მომავალი დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტი მისცემდა. მესამე ნაწილს არც პარლამენტის, მით უფრო არც თვითმპყრობელობის იმედი არ ჰქონდა და მიზნის განხორციელების შესაძლებლობას „განათლებული“ ევროპის საერთაშორისო სამართალს უკავშირებდა.

უფლებრივ-ავტონომისტური მოძრაობის მრწამსი რელიეფურად აისახა ცნობილი ქართველი პატრიოტ-ლიბერალისა და საზოგადო მოღვაწის დათა მიქელაძის მიერ ხალხმრავალ მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში 1906 წლის 12 მარტს. იგი იმედს ამყარებდა რუსეთის პარლამენტზე, პირველ სათათბიროზე, რომელიც არ დარჩებოდა „ყრუ ქართველი ერის უფლებებისადმი, ერისა, რომელმაც დიდსულოვნად ანდო თავისი ბედი ერთმორწმუნე რუსეთს. იმას, რაც ვერ მოგვცა ან არ სურდა მოეცა ძველ რუსეთს, მოგვცემს ახალი, რადგან მას არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს საერთაშორისო სამართალს, რომლის ძალითაც საქართველო შევიდა რუსეთის იმპერიის სამსახურში, რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფი მოკავშირის და არა დამონებულ, ყოველგვარ უფლებას მოკლებული ქვეყნის უფლებით“.

დ. მიქელაძეს და ქართველ პატრიოტ-დემოკრატთა დასს თვითმპყრობელობის იმედი არ ჰქონდა. პირიქით, მიაჩნდა, რომ რუსეთის მონარქიამ დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები და ძალმომრეობის, ქართლ-კახეთის სამეფოს ინკორპორაციის გზით ხელშეკრულება ცალმხრივი წესით გააუქმა.

„დიდი ისტორიული ცოდვა, — ამბობდა დ. მიქელაძე, — რაც რუსეთის ბიუროკრატიამ ასი წლის წინათ მოახდინა, უნდა გამოისყიდოს რუსი ხალხის წარმომადგენელთა პირველმა კრებამ. საქართველოს უნდა მიეცეს ფართო შინაგანი თვითმმართველობა — ცხადია, სრულიად რუსეთის სახელმწიფოსთან სრული ერთიანობის საფუძველზე“.

გეორგიევსკის ტრაქტატი საერთაშორისო ხელშეკრულება იყო, იურიდიულ-სამართლებრივი დოკუმენტი, ამიტომ იგი უნდა განეხილა და ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის შელახული უფლებები აღედგინა სხვა ვის, თუ არა საერთაშორისო სასამართლოს? საერთაშორისო სასამართლოს შესახებ საუბარი ჯერ კიდევ გაზეთმა „საქართველომ“ — სოციალისტ-ფედერალისტების მომავალმა ორგანომ — წამოიწყო 1903 წელს: „თუ საერთაშორისო სამართალს რაიმე ძალა და უნარი აქვს, ამ სამართალმა უნდა განგვსაჯოს და წართმეული დაგვიბრუნოს“. — წერდა გაზეთი.

უფლებრივ-ავტონომისტური მიმდინარეობის პრაქტიკული საქმიანობის ყველაზე მეტყველი გამოხატულება იყო ე. წ. „საქართველოს ხალხის მემორანდუმი“, რომელიც ამ მოძრაობის მესვეურებმა წარუდგინეს ჰაგის საშვიდობო კონფერენციას 1907 წელს. 40 000 კაცის მიერ ხელმოწერილ მემორანდუმის ავტორი იყო დათა მიქელაძე. ემიგრაციაში მყოფი ცნობილი ქართველი ანარქისტის ვარლამ ჩერქეზიშვილის მეშვეობით მემორანდუმი მიიღო ლონდონში იმჟამად არსებულმა „საქართველოს დაცვის საზოგადოებამ“, რომელმაც დოკუმენტი გადასცა ჰაგის კონფერენციის მუდმივი ტრიბუნალის წევრს, პროფესორ ნისს. ამ უკანასკნელმა მემორანდუმი კონფერენციის მონაწილეებს გააცნო.

„საქართველოს ხალხის მემორანდუმი“ უაღრესად მნიშვნელოვანი ისტორიულ-იურიდიული დოკუმენტია და ამჟამად ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

„მემორანდუმის“ ავტორთა და ხელისმომწერთა სამწუხაროდ, ევროპის ყურადღება თანაგრძნობას არ გასცილებია. ჰაგის კონფერენცია ევროპის განიარაღებისა და იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ორ დაჯგუფებას შორის დაძაბულობის მოჩვენებითი ნორმალიზაციის პრობლემებით იყო დაკავებული და ქართველი ხალხის ეროვნულ სატკივარისთვის არ ეცალა. მიუხედავად ამისა, „საქართველოს ხალხის მემორანდუმი“ მნიშვნელოვანი იურიდიულ-ისტორიული ღირებულების დოკუმენტი იყო, რომელმაც საერთაშორისო სამართლებრივი ორგანიზაციისა და ოფიციალური ევროპის ყურადღება მიიპყრო და საქართველოს ეროვნული ავტონომიის მოთხოვნა მათ წინაშე დასვა. მეორე მხრივ, „მემორანდუმმა“ ნათელყო ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური თვითშეგნების ზრდა, განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა, რომელიც ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ მიემართებოდა.

დიმიტრი შველიძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეროვნულ ურთიერთობათა კვლევის ცენტრის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

საქართველოს ხალხის მემორანდუმი წარდგენილი 1907 წლის საერთაშორისო კონგრესზედ ჰაგაში

„სამართლისა და საერთაშორისო უფლების სახელით ჩვენ, მამულიშვილნი საქართველოის, ერთ უძველეს საქრისტიანო და დამოუკიდებელ ერისა, მოგმართავთ ამ მემორანდუმით მთელი ქვეყნის განათლებულ ერთა წარმომადგენელთ, ჰაგის საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციაზედ შეკრებილთ.

დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი ერის ხმა არ დარჩება უყურადღებოდ და უთანაგრძნობოდ, აგრეთვე იმედი გვაქვს, რომ ჩვენ სამართლიან და კანონიერ დავაში რუსეთის საიმპერატორო მთავრობასთან მხარს დაგვიჭერთ და განიხილავთ იმ საერთაშორისო ხელშეკრულების მასალებს, რომელიც დადებულ და ფორმალურად დამტკიცებულ იყო საქართველოს თავისუფალ სამეფოისა და რუსეთის იმპერიას შორის და რომელიც რუსეთის საიმპერატორო მთავრობამ დაარღვია.

1783 წლის აგვისტოს 20 დღეს, საქართველოს მეფემ ერეკლე II-მ დასდვა ხელშეკრულება სრულიად რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II-სთან, რომლის ძალითაც საქართველო „საუკუნოდ“ ემორჩილებოდა რუსეთის პროტექტორატს; იმპერატრიცა ეკატერინე სრულიად რუსეთისა და თავის მხრით და თავის შთამომავლობის მხრით ფიცსა სდებდა უზრუნველეყო საქართველოსათვის მისი შინაგანი ეროვნული მმართველობის ხელშეუხებლობა, — ხელშეუხებლობა ჩვენი საკუთარი კანონმდებლობისა, სასამართლოისა, ავტოკეფალურ საკუთარ ეკლესიისა, საკუთარის ჯარისა და ფულისა.

ეს ხელშეკრულება დამტკიცებული იყო იმავე 1783 წლის 30 სექტემბერს და სრული ტექსტი მისი შეტანილი არის რუსეთის იმპერიის კანონთა სრული კრებულის მე-21 ტომში, № 15, 835.

თანახმად დადგენილ საერთაშორისო ფორმათა, მუხლი მე-12-ე ამ ხელშეკრულებისა ამბობს:

„ხელშეკრულება ესე იწერება საუკუნოდ, მაგრამ უკეთუ რისამე შეცვლას ან დამატებას საჭიროდ ცნობენ ორივე მხარის სასარგებლოდ, საქმე ესე აღსრულდეს ორივე მხარის თანხმობით“.

15 წლის შემდეგ რუსეთის იმპერატორს პავლე I-სა და ერეკლე მეფის მემკვიდრეს, საქართველოს მეფეს გიორგის ამ მეთორმეტე მუხლის ძალით ახალი მოლაპარაკება ჰქონდათ საპროტექტორატო ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ: საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილად უნდა გამხდარიყო, მაგრამ მას უნდა შერჩენოდა ყველა ის ავტონომიური უფლებანი შინაგანი მმართველობისა, რომელნიც აღნიშნული იყვნენ 1783 წელს საპროტექტორატო ხელშეკრულებაში.

სრულიად რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა გამოაცხადა ს-პეტერბურგის 18 იანვრის 1801 წლის მანიფესტით საქართველოს სამეფოს რუსეთის.

იმპერიასთან შეერთება, მაგრამ რუსეთის იმპერატორისა და აგრეთვე საქართველოს მეფის გიორგის გარდაცვალების მიზეზით ახალი ხელშეკრულება არ იყო ხელმოწერილი და დამტკიცებული.

მაგრამ მიუხედავად ამისა, იმპერატორ პავლეს მემკვიდრემ, იმპერატორმა ალექსანდრე I-მა იმავე 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით გამოაცხადა: „ტახტზედ ასვლისას ჩვენა ვჰპოვეთ საქართველოს სამეფო რუსეთთან შეერთებული, რაიცა 18 იანვრის 1801 წლის მანიფესტით საყოველთაოდ გამოცხადებული იყო“. ამაზედ საქართველოს წარგზავნილმა ელჩებმა იმპერატორის წინაშე მაშინვე უკმაყოფილება განაცხადეს საერთაშორისო ხელშეკრულების დარღვევის შესახებ და დაბრუნდნენ საქართველოში.

თუმცა ეს მანიფესტი იმპერატორ ალექსანდრე I-ისა ხელახლა აღიარებდა საქართველოს ყველა ავტონომიურ უფლებათა და შინაგან მმართველობის დამოუკიდებლობას, თუმცა იგი ამკვიდრებდა უმაღლეს, არჩეულსა და ქართულ მთავრობას, „რომლის საზოგადო კრება, დებულების ტექსტის თანახმად, იღებს ექსპედიციათა შესახებ აპელაციებს და საქმეებს საბოლოოდ სწყვეტს ხმის უმეტესობით“. მაგრამ საქართველომ ეს მანიფესტი მაინც საერთაშორისო უფლებისა და ხელშეკრულების ფიცის სიმტკიცის დარღვევად ჩასთვალა.

სწორედ ამ დროიდან რუსეთის საიმპერატორო მთავრობის მოქმედება შეიქმნა საქართველოს უფლებათა განუწყვეტლივ დარღვევად. ჩვენი საკუთარი უმაღლესი მთავრობა მოსპეს და მისი ადგილი დაიჭირა რუსულმა ბიუროკრატიულმა და სამხედრო წესწყობილებამ. მთავარ-მართებლის უმაღლეს მმართველობაში ეხლა იმყოფება მხოლოდ ერთი ქართველი შტატის მოხელე — თარჯიმანი. უკვე 50 წელიწადია, რაც მოსპეს სასამართლოებში საქმეთა წარმოება ქართულად და შემოიღეს რუსული სასამართლო რუსულს ენაზედ, რითაც ჩვენ ხალხს სრულიად წაერთვა ყველა მოქალაქეობრივი უფლებანი. ჩვენი სამშობლო ენა განაძევეს ყველა ადმინისტრაციულ დაწესებულებათაგან, სკოლებიდან და რამოდენიმედ ეკლესიებიდანაც. ჩვენი ქართული სამხედრო სისტემა მოსპეს და შემოიღეს რუსული საყოველთაო, სავალდებულო სამხედრო ბეგარა და ჩვენი ახალგაზრდობა იგზავნება სამხედრო ბეგრის მოსახდელად ევროპის, რუსეთის ჩრდილოეთ გუბერნიებში და ციმბირში, იქ იგი ჰავის სისასტიკის მსხვერპლად ხდება და 47%-ზე მეტი მათგანი შინ ცოცხლად ველარ ბრუნდება.

ეს ფაქტები ჩვენსა და რუსეთს შორის ხელშეკრულების დარღვევისა რუსეთის მთავრობის მხრით, შემაძრწუნებელია, მაგრამ მისი პოლიტიკა ჩვენი ძალად გარუსების და ნივთიერად განადგურებისა კიდევ უფრო საშინელ სურათს წარმოადგენს.

ჩვენს უძველეს ავტოკეფალურ ეკლესიას, წინაალმდეგ კანონიერ კანონთა და მსოფლიო კრებათა დადგენილებათა, ახადეს ყველა უფლებანი და წაართვეს მთელი ქონება. ჩვენი ტაძარნი, უძველესი ისტორიული ნაშთნი საქართველოს ხელოვნებისა და ხუროთ-მოძღვრებისა, გაძარცვეს, გაქურდეს და ისე არიან მიყრუებულნი, რომ მათი შეკეთებაც აღარ შეგვიძლია, რადგანაც მთელი შემოსავალი ჩვენ საეკლესიო მამულთაგან, რომელიც უდრის წლიურად 2 400 000 მანეთს, რუსის მთავრობას მიაქვს.

საქართველოს სამეფოს მიწები გამოცხადებული იქნა რუსეთის საიმპერატორო მთავრობის საკუთრებად. ამ მიწებზედ რუსის მთავრობამ გააშენა მთელი სოფლები ყველა ეროვნების გადმოსახლებულთაგან, დაურიგა გადმოსახლებულთა თითო კომლს 15, 20, 30 და ზოგან 40-50 დესეტინა მიწა, მაშინ როდესაც საშუალო მიწათმფლობელობა ქართველი გლეხისა არ აჭარბებს 1,1/2-2 დესეტინას. ქართველს საქართველოს მიწების ფულით ყიდვასაც უკრძალავენ, რის წყალობითაც 30% ჩვენი ხალხისა უმიწაწყლოდ არის დარჩენილი. მიწის ფასმა ისე აიწია, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, რომ დესეტინა ზოგან 1000-2000 მანეთი ღირს და გლეხები იძულებულნი არიან ოთხკუთხ საჟენობით იყიდონ ხოლმე მიწები.

არც ერთი რეფორმა, რომელიც საიმპერატორო მმართველობამ განახორციელა რუსეთში, გარდა ბატონ-ყმობის მოსპობისა, საქართველოში მას არ შემოუღია: ჩვენ ჯერ არ გვაქვს ნაფიც მსაჯულთა დაწესებულება, არა გვაქვს საერობო თვითმმართველობა, არა გვაქვს ამორჩეული მომრიგებელი მოსამართლე და სხვა.

ქართველებისათვის ახლად დამკვიდრებული კონსტიტუციაც დაცინვად გახდა, რადგან ორ მილიონ ქართველს ერგო მხოლოდ შვიდი დეპუტატის გაგზავნის უფლება სახელმწიფო სათათბიროში.

მაგრამ ყველა ამ უფლებათა წართმევის გარდა სხვა დიდი უბედურება დაგვატყდა თავზედ.

ეს ორი წელიწადია უკვე, რაც საქართველოში სამხედრო წესებია გამოცხადებული, ქვეყანა გაგვიძარცვეს, გაგვინადგურეს, ქვეყანა გაგვიუპატიურა ჯარმა და ყაზახ-რუსობამ. ჩვენი აყვავებული კუთხეები — გურია, სამეგრელო, იმერეთი და ქართლი, ზოგან მთლად და ზოგან ნაწილად გაძარცვეს, გააუპატიურეს და გადასწვეს. ჩვენი ქალაქები: ქუთაისი, ოზურგეთი, ზესტაფონი, ხონი, ჭიათურა და ასოცი სოფელი და დაბა, ან მთლად ან ნაწილად აგრეთვე გადაჰბუგეს და გაძარცვეს. ვენახები, ბაღები და სამეურნეო საწყობები სრულად მოსპეს; საქონელი დაგვიკლეს და გაიტაცეს. ასი-ათასობით გლეხობა შიშველ-ტიტველი დასტოვეს ღვთის ანაბარად, ასობით უდანაშაულო ადამიანები უწყალოდ დახოცეს; ხალხი ტყეებში და მთებში გაიხიზნა, რადგანაც ძალ-მომრეობასა და ბარბაროსობას საზღვარი და დასასრული აღარა ჰქონდა, ამ ბარბაროსობისა და ძალმომრეობის მსხვერპლად ხშირად ქალებიც ხდებოდნენ, რაც ქვეყანას ემცნო იმ მოწოდებით, რომლითაც ქართველმა ქალებმა მიმართეს მთელი ქვეყნის განათლებულ ერთა ქალებს.

თბილისშიც კი, ჩვენს სატახტო ქალაქში, მთავარ-მართებლისა და უმაღლესი ადმინისტრაციის თვალის წინ, მათის ნებითა და შთაგონებით, სამჯერ მოახდინეს უწყალო ულეტა: 29 აგვისტოს, 22 ოქტომბერსა და 22 დეკემბერს 1905 წელს.

რუსეთის მთავრობისაგან ქართველი ხალხის დევნამ იქამდისაც მიაღწია, რომ ჩვენ ნებაც არა გვაქვს განადგურებულ თანამემულეთ რაიმე ნივთიერი და ზნეობრივი დახმარება აღმოუჩინოთ. როდესაც ქალთა საზოგადოებამ შეჰკრიბა ცოტაოდენი ფული რუსის ჯარისაგან აოხრებული გურიის დასახმარებლად, მთავარ-მართებელმა გრაფ ვორონცოვ-დაშკოვმა უნამუსოდ განაცხადა: „მთავრობა ნებას არ მისცემს დახმარება აღმოუჩინონ იმათ, ვინც მთავრობის მიერვე დასჯილ არიან“. მისივე ბრძანებით აღუკრძალეს ქართველ საქველ-მოქმედო საზოგადოებას ექიმების გაგზავნა კახეთში, სადაც მენინგიტი მძვინვარებდა, მისივე ბრძანებით აღკრძალეს უვავილის ამცრელების გაგზავნა ქართლში.

ათასობით ქართველი ციხეში ლპება და საღრჩობელაზედ მიდის უდანაშაულოდ სამხედრო საველე-სასამართლოების განაჩენით, ათასობითვე ქართველს ასახლებენ ციმბირში, ვიატკისა და არხანგელსკის გუბერნიებში. ევროპამ უკვე იცის, თუ რა აუარებელი ხალხი გაულიტა რუსის მთავრობამ მოძრაობის დასამშვიდებლად. რიცხვი დახოცილთა რუსეთში უდრის 40 000-ს, მაგრამ ულეტას, გადასახლებასა და დატყვევებას ისეთი მძვინვარება არსად არ გამოუჩენია, როგორც საქართველოში.

ასეთი დევნა, ასეთი დაჩაგვრა, ასეთი სასოწარკვეთილება, ასეთი სირცხვილი და დამცირება საქართველოს ერს არ განუცდია თემურ-ლენგის შემოსევის დროიდან.

და როდესაც გავამხელთ ხოლმე და ხმას ამოვიღებთ ჩვენს რუსეთთან ხელ-შეკრულებაზედ და ჩვენი ხალხის უფლებაზედ, რომელიც დამტკიცებული იყო რუსეთის იმპერატორთა ფიცით, — მაშინვე საყოველთაო გადასახლებით ან სრული განადგურებით და გაულეტით გვემუქრებიან.

ასეთ სასოწარკვეთილ მდგომარეობაში მყოფმა ქართველმა ერმა გადასწყვიტა დაეყენებინა რუსეთის მთავრობის ჩვენში უკანონო მოქმედებათა საკითხი ევროპისა და მთელი ქვეყნის განათლებულ ერთა წარმომადგენლების სამსჯავროს წინაშე. რუსეთის საიმპერატორო მთავრობამ დაარღვია საერთაშორისო დამოკიდებულებათა ძირითადი კანონები, რომელთა მორჩილება სავალდებულოა ყველა სახელმწიფოსათვის საერთაშორისო უფლების ძალით.

ევროპის გავლენით ოსმალეთის მიერ განადგურებულ პროვინციებიდან თავისუფალი, კულტურული სახელმწიფოები გაჩნდა. ბულგარია, რუმინია და სერბია, ბარბაროსობის გზაზედ დამდგარნი შეუერთდნენ კულტურულ კაცობრიობას, მოიპოვეს რა ეროვნული თავისუფლება. ჩვენ კი ორი ათასი წლის თავისუფალ პოლიტიკური და ქრისტიანულ-კულტურული ცხოვრების შემდეგ რუსეთს შევუერთდით, რომელმაც ხელშეკრულებათა დარღვევით და განუწყვეტელის დევნით ოსმალეთზედ უარესი დღე დაგვაყენა — ველურობა და ბარბაროსობა შემოიტანა ჩვენში.

და ყოველივე ეს ხდება იმ მთავრობის მიერ, რომელმაც, როგორც იმპერატორ პავლეს მანიფესტი ამბობს, განაცხადა: „და ამ ჩვენი იმპერატორული სიტყვით ფიცსა ვდებთ, უზრუნველ-ვყოთ საქართველოს ყველა უფლებანი და პრივილეგიანი“, ან როგორც დაწერილ იყო იმპერატორ ალექსანდრე პირველის მანიფესტში, რომელიც საჯაროდ არის გამოკრული ტფილისის დიდუბის ტაძარში: „არა ანგარებითა და საზღვრების გაფართოების მიზნით შემოვიერთეთ ჩვენ საქართველო...“

ამიტომაც საქართველოს ერს გვაქვს იმედი, რომ ჩვენ საქმეს ყურადღებას მიაქცევენ, თანაუგრძნობენ, გადასწყვეტენ სამართლიანად და ევროპა აიძულებს რუსეთს დაემორჩილოს ერთა-შორისო უფლების წესებს და რუსეთის პროტექტორატის ქვეშე თანახმად ზემოხსენებულ ხელ-შეკრულებით. დაგვიბრუნოს ქართველებს ჩვენი ტერიტორია და აღგვიდგინოს წართმეული ჩვენი ეროვნული ავტონომია“.



„და ჩვენ ერთად ვიბრძოლეთ!..“

იური ანოხინი

ისინი 1925 წელს დაიბადნენ ჩვენი პლანეტის სულ სხვადასხვა მხარეს. ერთი — საბჭოთა კავშირის დედაქალაქში — მოსკოვში, მეორე — კუბის რესპუბლიკის დედაქალაქში — ჰავანაში. მაგრამ როდესაც საბჭოების ქვეყანას სიკვდილის საფრთხე დაემუქრა, როდესაც ფაშისტური ურდოები მუხანათურად შემოესივნენ მის სოფლებსა და ქალაქებს, ორივენი ერთიმეორეს რომ არ იცნობდნენ, აღანთო პატრიოტულმა და ინტერნაციონალურმა სულისკვეთებამ მსოფლიოში სოციალიზმის პირველი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად და მოხალისეებად წავიდნენ ფრონტზე.

წითელი არმიის რიგებში მძიმე ბრძოლებით მისდევდნენ ჰიტლერელ დამპყრობლებს და მტკიცედ მიდიოდნენ დასავლეთისაკენ გამარჯვების შესახვედრად. 1945 წლის 30 იანვარს, ფაშისტური გერმანიის კაპიტულაციამდე სამი თვით ადრე, მოძმე პოლონეთის განთავისუფლებისთვის ბრძოლებში, ქალაქ ელბინგის მისადგომებთან შეტევის დროს, მამაცთა სიკვდილით დაეცა 48-ე არმიის მსროლელთა ოცეულის მეთაური 19 წლის **ენრიკე ვილარი.** მისმა თანატოლმა მე-5 გვარდიული არმიის სატანკო-სადესანტო ასეულის მეავტომატეთა ოცეულის 19 წლის მეთაურმა ლეიტენანტმა **ვალენტინ ტომინმა** მებრძოლ ამხანაგებთან ერთად ელბინგი გაათავისუფლა და მტერი შორს, ფაშისტური მხეცის ბუნაგისაკენ — ბერლინისაკენ გარეკა.

წითელი არმიის ლეიტენანტი ენრიკე ვილარი, ჰავანელი კალატოზის სესარ ვილარის ოჯახში დაიბადა. ენრიკეს გარდა ოჯახს კიდევ სამი შვილი ჰყავდა. როცა მამა, იატაკქვეშელი კომუნისტი, დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს, ვილარების ოჯახზე მზრუნველობა მისმა პარტიულმა ამხანაგებმა იკისრეს. რევოლუციონერთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციის წინადადებით შვიდი წლის ენრიკე საბჭოთა კავშირში გამოგზავნეს. ბიჭი ჯერ მოსკოვის კლარა ცეტკინის სახელობის საბავშვო სახლში სწავლობდა, 1934 წლიდან კი ივანოვოს ე. დ. სტასოვას სახელობის ინტერნაციონალური საბავშვო სახლის აღსაზრდელი გახდა.

ომი რომ დაიწყო, ენრიკეს 16 წელი შეუსრულდა. ინტერნაციონალური სახლის აღზრდილებს, პოლიტემიგრანტთა შვილებს არ ევალებოდათ წითელ არმიაში გაწვევა. ენრიკეს შეეძლო, უმცროს ამხანაგებთან ერთად ევაკუაციაში წასულიყო და სამხედრო ქარხანაში სამუშაოდ მოწყობილიყო. მაგრამ მას, როგორც ყველას, გული ფრონტისაკენ უწევდა — ფაშისტებთან საბრძოლველად. ენრიკემ იცოდა: თავის მეორე სამშობლოს რომ დაიცავდა, ამით მშობლიური კუბის თავისუფლებისთვისაც იბრძოლებდა. შინ გაგზავნილ ერთერთ წერილში ენრიკე წერდა: „მამა, შენ იბრძოლე ჩვენი დიადი საქმისათვის, მერე მეც მოვალ და ჩვენ ერთად ვიბრძოლებთ!..“

გიორგი მიხეილის ძე დიმიტროვის დახმარებით უმცროსი ლეიტენანტი ენრიკე სპეციალურ სნაიპერულ სკოლაში ჩაირიცხა, რომელიც „ფრიადოსნის“ ნიშნით დამთავრა, 1944 წლის ზაფხულში ის თოთხმეტ საუკეთესო სნაიპერთან ერთად მოსკოვის უმაღლეს სამეთაურო სასწავლებელში მიავლინეს. ვილარი აქტიურად კი მონაწილეობდა ახალგაზრდა მეთაურების მომზადებაში, მაგრამ კატეგორიულად მოითხოვდა, მოქმედ არმიაში გამგზავნეთო. 1944 წლის ნოემბერში ის უკვე ბელორუსიის მეორე ფრონტის 48-ე არმიის სარდლობის განკარგულებაშია.

1945 წლის 26-დან 30 იანვრამდე ამ არმიას წილად ხვდა განსაკუთრებით მძიმე გამოცდა. არმიის ჯარები პოლონეთის ტერიტორიის განთავისუფლების შემდეგ საზღვარზე გავიდნენ, რომლის განფენილობაც 120 კილომეტრს შეადგენდა. ოთხმეტ-დღიანი უწყვეტი შეტევითი ბრძოლების შემდეგ წინსვლის საშუალო ტემპით — დღე-ღამეში 20 კილომეტრის გავლით — ჯარები დაიქანცნენ და დანაკარგმა იმატა. ჩვენმა ჯარებმა ჰიტლერელთა აღმოსავლეთ-პრუსიული დაჯგუფება დანარჩენ გერმანიას მოსწყვიტეს. ფაშისტები ქვაბიდან თავის დაღწევას ცდილობდნენ და ჩვენი ჯარების მარჯვენა ფლანგს შეუპოვრად და მძლავრად უტევდნენ.

30 იანვარს ქალაქ ელბინგის მისადგომებთან ბატალიონმა ბრძანება მიიღო, რომ ჰიტლერელებისათვის სოფელი ებერსბახი წაერთმიათ. მსროლელთა ასეულს, რომელშიც ენრიკე ვილარის ოცეული შედიოდა, შემოვლითი გზით — ჩრდილო-დასავლეთიდან უნდა შეეტია, ბატალიონის ძირითად ძალებს კი — დასავლეთიდან.

სოფლის ქვემოდან ფაშისტები კარგად ხედავდნენ სიმაღლეს, რომლის გავლითაც ვილარის ოცეული უტევდა. სწორედ აქ ჩასაფრდნენ ჰიტლერელი მეტყვიამფრქვევეები და ელოდნენ ჩვენს შეტევას. გერმანელებს ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ მათ ზურგში მთავარი ძალები შედიოდნენ. და ენრიკე ვილარის ოცეულმა დარტყმა თავის თავზე მიიღო. შეტევაზე გადასული თორმეტივე ჯარისკაცი დაიღუპა. დაიღუპა თვითონაც.

ვილარის მებრძოლმა ამხანაგებმა, რომლებმაც ფაშისტები სოფლიდან გამორეკეს, მისი სხეული მეორე დღეს გათენებისას იპოვეს. მას თურმე გაშეშებულ ხელში პისტოლეტი შერჩენოდა.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ ლეიტენანტი ვილარი სიკვდილის შემდეგ სამამულო ომის I ხარისხის ორდენით დააჯილდოვა.

...გავიდა დრო.

ამას წინათ გამოქვეყნდა ვალენტინ ტომინის დოკუმენტური მოთხრობა „და ჩვენ ერთად ვიბრძოლებთ!..“, რომელიც კუბელი ინტერნაციონალისტი მებრძოლის მოკლე, მაგრამ ნათელ ცხოვრებას მიეძღვნა. იოლი როდი იყო რამდენიმე ათეული წლის შემდეგ იმათი მოძებნა, ვინც იცნობდა ახალგაზრდა კუბელ ანტიფაშისტს, მასთან ერთად ცხოვრობდა ინტერნაციონალურ სახლში, სამხედრო სასწავლებელში, ერთ ლეგიონში. ამ რთულ ძებნაში მწერალს დაეხმარნენ სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური არქივის თანამშრომლებიც, 137-ე დივიზიის 48-ე არმიის ვეტერანებიც და ენრიკე ვილარის მებრძოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრებიც. საბჭოთა კინოდოკუმენტალისტებმა ტომინის სცენარის მიხედვით გმირისადმი მიძღვნილი ფილმი გადაიღეს. კუბის კინემატოგრაფისტები შეუდგნენ მხატვრული ფილმის გადაღებას თავიანთ თანამემამულეზე, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ფაშიზმთან საბჭოთა ხალხის დიდ განმათავისუფლებელ ბრძოლაში. მწერალმა გულითადი მადლობა მიიღო კუბის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისაგან კუბელი ინტერნაციონალისტის შესახებ გამოქვეყნებული წიგნისათვის. გმირის დედამ მწერალი კუბაში მიიწვია, რათა ნახოს ენრიკე ვილარის სამშობლო — თავისუფლების კუნძული. მოდის და მოდის გამოხმაურება თუ წერილი წიგნზე, საგაზეთო და საჟურნალო პუბლიკაციებზე, რადიოგადაცემებზე, ფილმზე...

იმ გამოხმაურებათა შორის, „კომსომოლსკაია პრავდაში“ გამოქვეყნებულ სტატიას „ლეიტენანტი ბრძოლის ველზე“ რომ მოჰყვა, გაზეთის რედაქციამ მიიღო ინჟინერ-მექანიკოსის ლ. კ. ისახანოვის წერილი ლენინგრადიდან. ყოფილი თბილისელი იხსენებდა შორეულ ომამდელ ბავშვობას, რომლის დროსაც ის ენრიკე ვილარს დაახლოებია. წერილი ვალენტინ ტომინს გადასცეს, რომელმაც გაიგო, რომ ლენინგრადში მივლინებით მივდიოდი და მთხოვა, ისახანოვს შევხვედროდი.

მყუდრო სასტუმროში ვსხედვართ და ლევან ისახანოვი ენრიკე ვილართან თავისი შეხვედრისა და მეგობრობის ამბავს მიყვება. მის ნაამბობს ჟურნალ „დროშის“ მკითხველებს ვთავაზობ.

ლევან ისახანოვის ნაამბობი: როდესაც „კომსომოლსკაია პრავდაში“ გამოქვეყნდა სტატია „ლეიტენანტი ბრძოლის ველზე“, ჯერ კიდევ არ ვიცოდი, ვის ეხებოდა, ყურადღება მივაქციე გაზეთში მოთავსებულ ფოტოგრაფიას. ეს ხომ ენრიკე ვილარია! მღელვარებამ შემიპყრო: მე ხომ მას ბავშვობაში გავეცანი პიონერულ ბანაკში, თბილისის მახლობლად!..

1938 წლის ზაფხულში, 14 წელი რომ შემისრულდა, დედაჩემმა—თბილისის ერთ-ერთი სამკერვალო ფაბრიკის მკერავმა რესპუბლიკური პიონერული ბანაკის „უძოს“ საგზური მიიღო ჩემთვის. ბანაკი დაბა კოჯრის მახლობლად მდებარეობდა, უძოს მთის თვალწარმტაც სიმწვანეში, სახელწოდებაც აქედანაა. კეთილმოწყობილ ხის კოტეჯებში მოვთავსდით ორასამდე პიონერი, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან მოვედით.

დავუმეგობრდი თანატოლ ბავშვებს იაკობ კაჭკაჭოვს, ვიქტორ ლუგავოის და სერგეი ზუბიანცს. ყველანი თბილისიდან იყვნენ და ერთ სკოლაში სწავლობდნენ.

მალე უფროსმა პიონერხელმძღვანელმა გვითხრა, რომ ამ დღეებში ივანოვოს ინტერნაციონალური საბავშვო სახლიდან ჩვენთან ბანაკში დასასვენებლად საზღვარგარეთელ კომუნისტთა და რევოლუციონერთა შვილების ჯგუფი ჩამოვაო. ხელმძღვანელმა გაგვაფრთხილა, ამ ბავშვებმა ბევრი რამ გადაიტანეს თავის სამშობლოში, მათი მშობლები რევოლუციური მუშაობისათვის დასჯილნი არიან სიკვდილით ან ციხეებში იტანჯებიანო.

ჩვენს ბანაკში სხვადასხვა ეროვნების ათი ბავშვი მოვიდა. ყველაფერს ვაკეთებდით იმისათვის, რომ სტუმრებს უცხოდ არ ეგრძნოთ თავი, გულთბილად და გულწრფელად მივიღეთ ისინი.

ჩვენი ოთხეული დაუმეგობრდა 12 წლის ენრიკე ვილარს, რომელიც ტანად პატარა, მაგრამ ღონიერი და მარჯვე იყო. მას განსაკუთრებით უყვარდა სპორტული თამაშობანი. ხშირად დავდევდით ბურთს, ვთამაშობდით ფრენბურთს, ვაწყობდით ტურისტულ ლაშქრობებს მთებში, ერთად მივძვრებოდით ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევებში.

მახსოვს ერთხელ, როდესაც ჩვენს საზღვარგარეთელ მეგობრებს საყვარელ საქართველოზე, მის მთებსა და მდინარეებზე, ქალაქებსა და სოფლებზე ვუამბობდი, ენრიკემ თავი უკან გადასწია, ფიქრიანად გახედა ლაჟვარდოვან სიმაღლეს და წყნარი სინანულით წარმოთქვა: „ჩემს სამშობლოშიც ასეთივე მტრედისფერი და სუფთა ცაა...“ მოულოდნელობისაგან შევკრთი და დავდუმდი. არ მინდოდა, რომ მწუხარე მოგონებები დაუფლებოდა მეგობრის გულს.

მას შემდეგ მრავალმა წელმა და ამბავმა ჩაიარა და „კომსომოლსკაია პრავდის“ პუბლიკაციამდე არაფერი ვიცოდი ენრიკე ვილარზე.

მეტყვიამფრქვევეთა ათეულის უფროსი ვიყავი ბალტიისპირეთში, ომი რომ დამთავრდა. შემდეგ ვსწავლობდი თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. დავამთავრე და სამუშაოდ ლენინგრადის მეურნეობაში გამგზავნეს.

ჩვენი მეგობრული ოთხეულის ერთ-ერთი წევრი — იაკობ კაჭკაჭოვი ჰიტლერელებთან ბრძოლაში დაიღუპა კავკასიის გმირული დაცვის დროს. ვიქტორ ლუგავოი ექიმი გახდა და თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში მუშაობდა. სერგეი ზუბიანცი მშობლებთან ერთად სხვა ქალაქში გადასახლდა, მის შესახებ არაფერი ვიცი...

იმ შორეული 1938 წლის პიონერული ბავშვობის სამახსოვროდ რამდენიმე ფოტოსურათი შემომრჩა. ერთ-ერთ მათგანზე უცხოელი ბავშვების ჯგუფია, მათ შორის — ენრიკე ვილარი. ამ სურათს ენრიკეს დედას გავუგზავნი კუბაში და მივწერ, რომ ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, მისი სახელოვანი შვილის მეგობრებსა და თანატოლებს, მუდამ გვახსოვს და ძმასავით გვიყვარს ახალგაზრდა კუბელი, რომელმაც სიცოცხლე გაწირა ჩვენი საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში!..

* * *

პოლონეთის ჩრდილოეთით, ბალტიის ზღვიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, ქალაქ ბრანევოს გარეუბანში ვეებერთელა სამხედრო სასაფლაოა. აქ სამარადჟამოდ განისვენებს ათასობით საბჭოთა მეომარი, რომლებიც ფაშიზმთან ბრძოლებში დაეცნენ. გრანიტის ფილებზე ამოკვეთილია მათი სახელები. მათ შორისაა ენრიკე ვილარის სახელიც. ომის დამთავრების შემდეგ კუბელი ანტიფაშისტისა და მისი მებრძოლი ამხანაგების გვამები დაღუპვის ადგილიდან საზეიმოდ გადმოასვენეს აქ — ბრანევოს მემორიალის ტერიტორიაზე...

ამ სტრიქონებს თბილისის მახლობლად, მეგობრების სახლში ვწერ. ჩემი ოთახის ფანჯრიდან უძოს მთის დათოვლილი მწვერვალი მოჩანს. იქ, დაბა კოჯორთან, თვალწარმტაც ხეობაში მეგობრებთან ერთად თავისი ბავშვობის ბედნიერი თვეები გაატარა 12 წლის კუბელმა ბიჭმა, ვისთვისაც საბჭოთა ქვეყანა მეორე სამშობლო გახდა. მახსენდება ის ღონიერი, მხიარული, გაბედული, გასაოცარი ღიმილით აღბეჭდილი მისი შავგვრემანი სახე. ენრიკე ჩაფიქრებული შეჰყურებს საქართველოს ლაჟვარდოვან ზეცას, რომელიც ასე ძალიან ჰგავს მისი მშობლიური კუბის ცას...

მოსკოვი—ლენინგრადი—თბილისი

თარგმნა **ოთარ ბერიშვილმა**

სურათებზე: 1) ენრიკე ვილარი (ცენტრში) მეგობრებთან ერთად — ფრონტზე გამგზავრების წინა დღეს — 1944 წლის ნოემბერში (მწერალ ვ. ტომინის პირადი არქივიდან).

2) საზღვარგარეთელ კომუნისტთა და რევოლუციონერთა შვილები „უძოს“ (კოჯრის) პიონერთა ბანაკში 1938 წლის ზაფხულში. მარჯვნიდან პირველი ენრიკე ვილარი. სურათი ქვეყნდება პირველად.

„ლეჩაქზე ქალი“

საქართველოში არსებული მძიმე დემოგრაფიული სიტუაცია დროულ შველას ითხოვს. უკვე შემოჰკრეს განგაშის ზარი, უკვე უხმობენ საშველად „ქუდზე კაცს“ და „ლეჩაქზე ქალს“.

გადაჭარბებულად ნუ მოგეჩვენებათ ეს ნათქვამი, ვინაიდან 1989 წლის მოსახლეობის აღწერამ გვიჩვენა, რომ უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობის ზრდის ტემპი მკვეთრად შემცირდა. თუ 1940 წელს შობადობის მაჩვენებელი 27,4 პრომილეს (ათასეული) შეადგენდა, გარდაცვალებისა — 8, ხოლო ბუნებრივი მატება — 18,6 პრომილეს, 1981-1988 წლებში შობადობის მაჩვენებელი — 18,1 პრომილე გახდა, გარდაცვალებისა — 8,7, ხოლო ბუნებრივი მატება 9,4 პრომილემდე დავიდა.

არსებული დემოგრაფიული კრიზისიდან თავის დაღწევის გზებზე ფიქრმა იოსებ ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მიგვიყვანა.

ინსტიტუტი 1958 წელს დააარსა ცნობილმა გინეკოლოგმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა იოსებ ჟორდანიამ. მან ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინათ განჭვრიტა ის სავალალო შედეგები, რა შეიძლება ქართველი ერისთვის ქალთა უშვილობასა და უნაყოფობას მოეტანა, რაც სამედიცინო-ბიოლოგიურ ასპექტთან ერთად აერთიანებს მთელ რიგ ეკონომიკურ, სოციალურ პრობლემებს და კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. ინსტიტუტი შეისწავლის უშვილობის დიაგნოსტიკის, შობადობისა და პროფილაქტიკის საკითხებს.

შარშანწინ ინსტიტუტი ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სათანამშრომლო ცენტრი გახდა. იგი საბჭოთა კავშირში ერთადერთი დაწესებულებაა, რომელიც მამაკაცსაც და ქალსაც ერთდროულად სწავლობს.

ამ საკითხებზე უფრო დაწვრილებით გვესაუბრებიან სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წამყვანი სპეციალისტები.

თამაზ კერესელიძე — ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, მთავარი ექიმი:

— ჩვენს ინსტიტუტში ოთხი განყოფილება და თხუთმეტი ქვეგანყოფილებაა. გასულ წელს დაემატა კიდევ ერთი — ანდროლოგიის (მამაკაცთა კვლევის) განყოფილება. ჯერ კიდევ ბატონმა იოსებ ჟორდანიამ განჭვრიტა ის, რომ უშვილობის მიზეზი არ შეიძლება იყოს მხოლოდ ქალი. ამიტომ ჩვენთან უკვე კარგა ხანია არსებობდა საბჭოთა კავშირში ერთადერთი ანდროლოგიის ექსპერიმენტული ლაბორატორია. 1983 წელს გავხსენით ხუთსაწოლიანი სტაციონარი (ინსტიტუტის შენობა არ გვაძლევს მეტის საშუალებას). მამაკაცის რეპროდუქციული სფერო ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ როგორც მამაკაცში, ისევე ქალში უშვილობას იწვევს ძირითადად ანთებითი პროცესები.

— აბორტებთან დაკავშირებით საქართველოში ყველაზე რთული მდგომარეობაა — **ამბობს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, შობადობის რეგულაციის განყოფილების გამგე თემურ ბერსამია.** — შარშან საბჭოთა კავშირში აბორტების რაოდენობამ 7,5 მილიონს მიაღწია, საქართველოში კი 80 000-სს. თუმცა კრიმინალური აბორტების რიცხვი 2,5-ჯერ მეტია, ე. ი. საერთო მაჩვენებელი დაახლოებით 18-19 მილიონს აღწევს. ამიტომ დღეისათვის ჩვენი ერთადერთი მიზანია კონტრაცეფციის ანუ ჩასახვის საწინააღმ-

„ელექტრონული“ ფული?, ღიას უკვე რეალური ხდება

ზოგიერთმა შეიძლება არ იცოდეს, რომ მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში ადამიანები უკვე სარგებლობენ „ელექტრონული“ ფულით, რაც კრედიტულ-საფინანსო სისტემაში წარმატებით უწევს კონკურენციას ქაღალდის და ლითონის ფულს.

ფულისგარეშე ანგარიში გამოიგონეს XII საუკუნეში იტალიაში. მაშინ ოქროს ან ვერცხლის მონეტა კლიენტს შეჰქონდა ბანკში და სამაგიეროდ ღებულობდა სათანადო ღირებულების ქვითარს. ბანკის ყველა ანგარიშსწორება წარმოებდა უფულოდ — უბრალოდ ფული ჩამოიწერებოდა ერთი ანგარიშიდან მეორეზე ქვითრის მიხედვით.

ის, ვინც სარგებლობს ამგვარი ანგარიშსწორებით, დღესაც არ საჭიროებს სახლში ფულის შენახვას და დაზღვეულია მისი დაკარგვისგან (ქურდობა, ხანძარი და ა. შ.). საწარმოებს, რომლებიც ასეთი წესით სარგებლობენ, აღარ სჭირდებათ სეიფები და არც მათი დაცვა. თუ ფულისგარეშე ანგარიში ფართოდ არის გავრცელებული, ეს ძალზე სასარგებლოა სახელმწიფოსათვის: აღარ მოხმარდება რესურსები და შრომა დიდი რაოდენობით ფულის გამოშვებას, მის გადატანას.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაახლოებით 5000 ბანკია, რომლებსაც 40 000 განყოფილება აქვთ. ყოველწლიურად ისინი 10 მილიარდზე მეტ ოპერაციას აწარმოებენ. ძნელი წარმოსადგენია ასეთი ოპერაციების ჩატარება ავტომატიზაციის გარეშე.

უკვე რამდენიმე წელია გფრ-ში იყენებენ სპეციალურ ბარათებს. ასეთი ბარათი 17,5 მილიონ კაცს აქვს. ის დამზადებულია პლასტმასისგან და მასზე გაკეთებულია მაგნიტური ფენის ზოლი (ისევე როგორც მაგნიტოფონის ლენტაზე). ზოლზე განლაგდება 226-მდე ნიშანი, რომლებითაც ჩაწერილია ბარათის მფლობელის საბანკო ანგარიში. როცა მოქალაქე მაღაზიაში შეიძენს საჭირო ნივთებს, იგი თავის ბარათს აძლევს მოლარეს, რომელიც მას სპეციალური აპარატით უმცირებს მარკების რაოდენობას. ამავე ოპერაციის დროს იზრდება მაღაზიის საბანკო ანგარიში.

კი მაგრამ, თუ ბარათის პატრონს დასჭირდა ფული? ეს შეიძლება მოხდეს ბანკის საშუალებით ან ავტომატით, რომელიც ახდენს ბარათის ნომრის რეგისტრირებას, გამოაკლებს სათანადო თანხას ჩაწერილს, ატყობინებს ანგარიშის ცვლილებებს ბანკში და გასცემს ფულს. გფრ-ში დღეს დაახლოებით 600 ასეთი ავტომატი მუშაობს. ისინი დადგმულია დიდ მაღაზიებში, აეროპორტებსა და ქუჩებში.

ტექნიკა უფრო წინ მიდის და აი, ფრანგმა რ. მორენომ წინადადება წამოაყენა, ბარათს მოარგონ მიკროპროცესორი. ასეთ ბარათს ორი უპირატესობა ექნება — მახსოვრობის დიდი ტევადობა, ესე იგი მასზე ჩაიწერება მეტი ოპერაცია და მას თვით შეეძლება წაკითხვა.

ბარათში მოწყობილი მიკროპროცესორი შეძლებს დიალოგს. ბანკის კომპიუტერთან, რომელიც ჩაწერს ან მოხსნის ფულს.

მიკროსქემაშია ბარათის მფლობელის მონაცემები: ბანკის დასახელება, ანგარიშის ნომერი და რაოდენობა. კლიენტმა უნდა იცოდეს თავისი პირადი ნომერი, რომელიც სალაროს კლავიატურაზე ან ფულის ავტომატზე უნდა აიკრიფოს. უამისოდ ბარათზე ჩანაწერის ცვლილება არ მოხდება.

ამ ახალი საბანკო სისტემის გამოცდაში მონაწილეობენ საფრანგეთის რამდენიმე ქალაქი, მაღაზია, ბენზინის გამყიდველი სადგური, რესტორანი, ბანკი.

აი კიდევ მიკროსქემიანი ბარათების გამოყენების შესაძლებლობები: პარიზის უნივერსიტეტში 12000 სტუდენტს ბილეთები და ჩათვლის წიგნაკები ასეთი ბარათებით შეეცვ-

დეგო საშუალებების პროპაგანდა და დანერგვა, რის შედეგადაც 3-ჯერ გაიზრდება შობადობის რიცხვი. საბჭოთა კავშირში არსებული სხვა ინსტიტუტებისაგან განსხვავებით, ჩვენ საზღვარგარეთული წარმოების (სსრ კავშირი არ აწარმოებს არავითარ კონტრაცეფციულ პრეპარატებს) მრავალფეროვანი კონტრაცეფციული საშუალებანი გვაქვს. ჩვენ არ მოვითხოვთ არავითარ მომართვებს, არ გვაინტერესებს პაციენტის ვინაობა, მხოლოდ და მხოლოდ ის ქალები, რომლებიც მოგვმართავენ, გაივლიან სამედიცინო შემოწმებას იმ მიზნით, რათა დავადგინოთ, რომელი პრეპარატი დავუნიშნოთ მათ.

— გარდა ამისა, ინსტიტუტში დანერგილია ახალი მეთოდი — მინიაბორტი, — აგრძელებს ბატონი თამაზი. — თუმცა გვსაყვედურობენ, რომ ინსტიტუტი, რომელიც უშვილობის პრობლემებზე მუშაობს, ხელს უწყობს ბავშვის სიკვდილს ჩანასახში. მაგრამ ბავშვის დაბადება ოჯახში სიხარულს უნდა იწვევდეს. როცა ქალს არა აქვს საშუალება და არც სურვილი იყოლიოს ორზე მეტი შვილი, იგი მიდის იმ რისკზეც კი, რომ აღარ უწევს ანგარიშს საკუთარ ჯანმრთელობას. ამიტომ ჩვენ უნდა ვეცადოთ, დავნერგოთ უფრო უვნებელი მეთოდი.

ინსტიტუტში დღეისათვის მოქმედებს ძალიან ძლიერი იმუნოლოგიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, გახსნილია ექოსკოპიური კაბინეტები, ვატარებთ ქირურგიურ მკურნალობას. ხოლო როცა ვერ ვშველით უშვილობას, მაშინ ქალს ვთავაზობთ ხელოვნური ჩასახვის მეთოდს.

ინსტიტუტის პირველ დირექტორს იოსებ ჟორდანიას კონტაქტები ჰქონდა საზღვარგარეთის სამედიცინო დაწესებულებებთან. მისი ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ თითქოს შენელდა ეს ურთიერთობები. ახლა, როცა ინსტიტუტს სათავეში ჩაუდგა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი არჩილ ხომასურიძე, ეს კონტაქტები აღდგა და უფრო ინტენსიურიც გახდა. ეს იმანაც განაპირობა, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინსტიტუტი გახდა მსოფლიო ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის სათანამშრომლო ცენტრი, ხოლო თვით ბატონი არჩილი ამ ორგანიზაციის სახელმძღვანელო კომიტეტის წევრია. ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები მონაწილეობენ სიმპოზიუმებში, სემინარებში. დამყარებულია უშუალო კონტაქტები ფარმაცევტულ ფირმებთან — „ორგანონი“ (ჰოლანდია), „სტერლინგ ვინტროპი“ (დიდი ბრიტანეთი), „ლეირანსი“ და „ორიონი“ (ფინეთი), „გედეონ რიხტერი“ (უნგრეთი), რომლებიც გვიგზავნიან პრეპარატებს კლინიკური გამოცდისათვის. ისევე როგორც კონტრაცეფციაში, სპეციალისტების აზრით, ქალის ჰიგიენის საშუალებებშიც „ქვის ხანის“ ეტაპზე ვართ. ინსტიტუტი ამ საკითხის მოწესრიგებასაც ცდილობს. კერძოდ, მან ერთმანეთს დაუკავშირა ფირმა „ჯონსონი და ჯონსონი“ (აშშ) და ენგურის ქაღალდის კომბინატი. მალე შეიქმნება ერთობლივი საწარმო, რომელიც ქალის ჰიგიენის საშუალებებს აწარმოებს.

ინსტიტუტს მრავალი პრობლემა აქვს გადასაჭრელი. ერთ-ერთია შენობის პრობლემა.

— ჩვენი ინსტიტუტის ახალი შენობის საკითხი დაახლოებით ხუთი წლის წინათ დაისვა, — ამბობს **ინსტიტუტის დირექტორი — არჩილ ხომასურიძე** — მუშაობა ძალიან მძიმე პირობებში გაგრძელდება. ჩვენთან აღრიცხვაზეა დაახლოებით 15 ათასი ქალი, წელიწადში კი მხოლოდ 700-900 ქალის მიღების საშუალება გვაქვს. ესე იგი, ქალი, რომელსაც სტაციონალური დახმარება სჭირდება, რიგს უნდა ელოდოს დაახლოებით 10-15 წელიწადი. მართალია, გავხსენით რეპროდუქტოლოგიური კაბინეტები, ქალთა კონსულტაციებში გვყავს რეპროდუქტოლოგები, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, აუცილებელია ახალი შენობა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გამოგვიყო ადგილი თბილისის ზღვაზე. ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება დასავლეთ გერმანიის ფირმა „უნიმედთან“, რომელიც დაინტერესებულია ააშენოს კომპლექსი (კლინიკა, ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო...). ეს იქნება ადამიანის რეპროდუქციის საერთაშორისო ცენტრი, რომელიც მოემსახურება როგორც საბჭოთა, ისე საზღვარგარეთელ პაციენტებს.

...კიდევ ბევრი საჭირბოროტო პრობლემა წამოიჭრა საუბრისას — კერძოდ, ისევ და ისევ კონტრაცეფციისა და ჰიგიენის საშუალებების სიმცირე, ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტური გაუნათლებლობა ამ საკითხებში, სექსუალური მოუმზადებლობა, რაც თავის მხრივ უარყოფით შედეგებს იწვევს.

მაია ფურცელაძე,
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი.

ლებათ; სხვა ქალაქებში ასეთი ბარათების საფუძველზე გაიცემა „ჯანმრთელობის პასპორტები“, რომლებზეც დაიწერება მფლობელის მონაცემები ჯანმრთელობის შესახებ, მკურნალობაზე, ორგანიზმის განსაკუთრებულობაზე. საფრანგეთის ფოსტამ ფულისგარეშე მომუშავე რამდენიმე ათასი ტელეფონ-ავტომატი დადგა — ისინი უკვე ბარათების დახმარებით უკავშირდებიან მოქალაქეებს.

ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც ამუშავებენ მსგავს ბარათებს, მაგრამ ლაზერული ჩაწერით. თანამედროვე ტექნიკა საშუალებას იძლევა, ლაზერის გამოყენებით საკრედიტო ბარათზე დაახლოებით 30 000 ნიშანი აღინიშნოს, რომელთაც სხვა ლაზერი კითხულობს. მიკროსქემიანთან შედარებით ლაზერული ბარათის უპირატესობა ის გახლავთ, რომ მისი ნიშნების ჩაწერისა და ამოკითხვისთვის საჭირო არ არის ბარათთან ელექტრული კონტაქტის დამყარება, რაც, როგორც ცნობილია, ყველაზე არასაიმედო ადგილია ელექტრონიკაში.

„ელექტრონული“ ფულის დანერგვა გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირშიც. მინიატიურული საკრედიტო ბარათების პირველი მფლობელები მალე გახდებიან სსრ კავშირის შემნახველი ბანკის ძერჟინსკის რაიონული ბანკი მოსკოვში, აგრეთვე ამ რაიონის ზოგიერთი დაწესებულება და ორგანიზაცია. ამჟამად მიმდინარეობს შესაბამისი ელექტრონული მოწყობილობების მონტაჟი, მაღაზიებში იდგმება ელექტრონული აპარატები, რომლებსაც შეუძლიათ საკრედიტო ბარათების კითხვა. ამ სისტემაში შედიან ნაღდი ფულის გამცემი ავტომატები, კომპიუტერები.

ეს პირველი ექსპერიმენტი გავრცელდება მოსკოვის ვოროშილოვის რაიონშიც. მისთვის საჭირო მოწყობილობებს ამზადებს ფინური ფირმა „ნოკია“. 1991 წლამდე საკრედიტო ბარათებს მიიღებს 1,5 მილიონი, ხოლო შემდეგ ყოველწლიურად — 5 მილიონი კაცი. საკრედიტო ბარათები თანდათან დაინერგება ბალტიისპირეთის და უკრაინის ქალაქებში.

საკრედიტო ბარათების მფლობელები განთავისუფლდებიან ბუღალტერიებში დოკუმენტების გაფორმებისაგან მივლინებაში ყოფნის შემდეგ, ნაღდი ფულის ხმარებისგან სხვადასხვა საქონლის შეძენის ან მომსახურების დროს. თუ ძვირფასი ნივთის საყიდლად ბარათის მფლობელს არა აქვს საჭირო თანხა, შეუძლია, კრედიტით შეიძინოს იგი. ყველა მისი პირადი შემოსავალი — ავანსი, ხელფასი, ჰონორარი — მაშინვე გადაირიცხება შემნახველ ბანკში პირად ანგარიშზე.

ასეთი სიახლე ხელსაყრელია იმიტომაც, რომ ფული შეიძლება ერთიდან მეორე ანგარიშზე გადატანილ იქნეს საფოსტო და სატელეგრაფო გზავნილების გარეშე. და, რაც მთავარია, იზოგება დრო: არ იქნება საჭირო რიგში დგომა, ვთქვათ ბინის ქირის გაფორმებისათვის, გაზის, ტელეფონით სარგებლობის გადახდისთვის და ა. შ.

და კიდევ აი რა.

საკრედიტო ბარათები შეიძლება უშიშრად თან ატაროს კაცმა. რომ მოჰპარონ კიდეც, ქურდი მას ვერ გამოიყენებს. საქმე ის არის, რომ ბარათით ნაღდი ფულის მიღება ან რაიმე საქონლის ყიდვა შეუძლებელია, თუ არ იცი პირადი კოდი, რომელიც უნდა აიკრიფოს სპეციალურ აპარატზე. თუ კოდი სწორად არ არის აკრეფილი, ავტომატი ფოტოსურათს უღებს პიროვნებას და ერთდროულად გადასცემს შეცდომის შესახებ ინფორმაციას კომპიუტერს. თუ პიროვნებამ სცადა სამჯერ ალაბედზე კოდის აკრეფა, მაშინ ავტომატი ამ ბარათს აღარ უბრუნებს „წესრიგის დამრღვევს“.

ამასთან, საინტერესოა, რომ როცა მფლობელი საკრედიტო ბარათის დაკარგვას გაიგებს, მაშინვე ატყობინებს ამავე ბანკს და მის ანგარიშზე არსებული ფულის გაცემა შეწყდება.

საკრედიტო ბარათების გამოყენების პირველი ცდა საბჭოთა კავშირში ჩატარდა მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადის დროს. ექსპერიმენტი განხორციელდა „ინტურისტის“ ინიციატივით და ფინეთის და შვეიცარიის ფირმების დახმარებით. რაც შეეხება „ელექტრონული“ ფულის სისტემატურ გამოყენებას, ეს პირველად პრაქტიკულად დაიწყო ტალინში ორ ბენზინისგამმართველ სადგურში. სახელმწიფო ტრანსპორტის გამართვა მთლიანად ავტომატიზებულია. მძღოლი მაგნიტური საკრედიტო ბარათით ღებულობს საწვავს და სათანადო მონაცემები ამის შესახებ გადაეცემა რაიონულ გამოთვლით ცენტრს.

ანდრე კარგელაშვილი

დავით კაკაბაძე

დინამიკური და უჩვეულოა დავით კაკაბაძის შემოქმედებითი ცხოვრება. დაიბადა 1889 წელს იმერეთში, სოფელ კუხში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 1893 წელს კაკაბაძეების ოჯახი საცხოვრებლად ქუთაისში გადადის. სწორედ ამ დიდი ტრადიციების მქონე ქალაქში, სადაც თავს იყრიდნენ ქართული ხელოვნების, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები, დაიდო სათავე დიდმა შემოქმედებითმა გზამ, რომელსაც მარტო მისი სახელი ჰქვია.

ქუთაისის გიმნაზიაში მიიღო დაწყებითი განათლება. ცოტა ხანს სწავლობდა მხატვარ პაევსკისთან (ამას მოწმობს 1908 წელს ძმისადმი მიწერილი წერილი), შემდეგ კი ვასილ კროტკოვთან. ხატავდა ქართველ მწერალთა პორტრეტებს. გიმნაზიის შენობაში გამოფენაც კი მოუწყვეს. ეს იყო მისი პირველი „პერსონალური გამოფენა“, რომელმაც მხატვარს გზა დაუღოცა.

1910 წელს დავით კაკაბაძე შედის პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. იმავდროულად ხუთი წლის განმავლობაში მეცადინეობს მხატვარ დიმიტრიევ-კავკაზსკის სახელოსნოში.

1911-1915 წლებში მხატვარმა შექმნა პორტრეტების მთელი სერია, რომელსაც აგვირგვინებს 1918 წელს შესრულებული სურათი „იმერეთი დედაჩემი“. ეს სურათი არის მხატვრის შემოქმედებითი იდილია, ახალგაზრდა ხელოვანის დიდ შესაძლებლობათა წარმომჩენი. ამის ნათელი დადასტურებაა მისი ადრეული ავტოპორტრეტებიც — „ავტოპორტრეტი ბროწეულით“ (1913 წელი), „ავტოპორტრეტი სარკეში“ (1913 წელი), „ავტოპორტრეტი ნაცრისფერში“ (1917 წელი). ამავე პერიოდში შექმნილია მისი ცნობილი ნამუშევრები „იმერული ნატურმორტი, რამდენიმე იმერული პეიზაჟი, ძველი თბილისის ჩანახატები.

1919 წელს ახლადდაარსებულმა „ქართველ მხატვართა საზოგადოებამ“ თბილისში მოაწყო დიდი გამოფენა. მასში მონაწილეობდა დავით კაკაბაძეც. გამოფენამ დიდი მოწონება დაიმსახურა და ფართო გამოხმაურებაც ჰპოვა პრესაში. ამავე წელს დავით კაკაბაძემ სხვა მხატვრებთან ერთად მოხატა კაფე „ქიმერიონი“.

იმ წლებში მხატვარი ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობასაც ეწევა. აქვეყნებს ნარკვევებს ხელოვნების საკითხებზე, იბრძვის მასებში ხელოვნების, როგორც მეცნიერების დაფუძნებისათვის.

დავით კაკაბაძე ლადო გუდიაშვილთან და შალვა ქიქოძესთან ერთად პროფესიული დაოსტატების მიზნით პარიზს მიემგზავრება. 1920 წელს პარიზშია, სადაც შვიდი წელი დაჰყო.

ამით დასრულდა დავით კაკაბაძის შემოქმედების პირველი პერიოდი. მართალია, შემდგომში მან ბევრი ბრწყინვალე ნამუშევარი შექმნა, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ მას ამ დროისათვის თავისი სიტყვა ხელოვნებაში უკვე ნათქვამი ჰქონდა და საფრანგეთში გაემგზავრა როგორც ჩამოყალიბებული, ღრმად ეროვნული მხატვარი.

სწორედ ამიტომ ადვილად აუბა მხარი პარიზის მჩქეფარე მხატვრულ ცხოვრებას: მონაწილეობას იღებს გამოფენებში, როგორც საფრანგეთში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში. გატაცებულია აბსტრაქციონიზმით, კუბიზმით. ოციან წლებში, საფრანგეთში შესრულებული ეს ნამუშევრები ასე სრულყოფილად პირველად იყო ექსპონირებული მხატვრის საიუბილეო გამოფენაზე. ამ სურათებიდან იღვრება ფერთა გასაოცარი ჰარმონია, რომელიც დიდი ოსტატობით ერწყმის სწორხაზოვან გეომეტრიულ ფიგურებს, რაც უდაოდ მეტყველებს მხატვრის მაღალ პროფესიონალიზმსა და გასაოცარ გემოვნებაზე.

აღსანიშნავია, რომ დავით კაკაბაძე ერთერთი ფუძემდებელია ავანგარდისტული მიმართულებისა ქართულ ხელოვნებაში, რომელსაც დღეს მრავალი მიმდევარი გაუჩნდა და ისევ აღორძინების გზას დაადგა.

მაგრამ დავით კაკაბაძეს, რეალური სამყაროს მოტრფიალეს, არ შეეძლო მხოლოდ უსაგნო აბსტრაქტული სურათების შექმნით დაკმაყოფილებულიყო. იგი ამავე დროს ქმნის რეალისტურ ნაწარმოებებს, დაკავშირებულთ საგნობრივ სამყაროსთან, მის ყურადღებას იპყრობს ქალაქის არქიტექტურა, პეიზაჟი, ჟანრული სცენები.

პარიზის პერიოდის კაკაბაძისეული ფერწერის დამაგვირგვინებელია 1927 წელს შესრულებული ალეგორიული ხასიათის სურათი „ინდუსტრია“. ეს სურათი შეიძლება ერთგვარ ნოსტალგიადაც ჩაითვალოს სამშობლოს მიმართ. მხატვრის მახვილგონივრულმა თვალმა მეტად თავისებურად წარმოგვიდგინა ინდუსტრიული პეიზაჟი დასავლეთ საქართველოს ფერადოვანი ლანდშაფტის ფონზე.

საფრანგეთში დავით კაკაბაძე ეწევა მეტად საინტერესო და ნაყოფიერ მეცნიერულ მოღვაწეობასაც. მის კალამს ეკუთვნის 1920 წელს ფრანგულ ენაზე გამოცემული წიგნი „კონსტრუქციული სურათების შესახებ“ და 1926 წელს ქართულად დასტამბული ორი წიგნი — „პარიზი, 1920-23 წლები“, „ხელოვნება და სიკვდილი“.

1927 წელს საფრანგეთიდან სამშობლოში ბრუნდება.

სამშობლოში დაბრუნებულ მხატვარს „ქართველ მხატვართა საზოგადოებამ“ მოუწყო პარიზის პერიოდის ნამუშევართა გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მხოლოდ კუბისტური და აბსტრაქტული ნამუშევრები, რაც ასე უცხო და მიუღებელი აღმოჩნდა იმდროინდელი ქართული ხელოვნებისათვის. მხატვრისთვის ნათელი გახლა, რომ საქართველოში არც რეალური ნიადაგი და არც გარემო არ არსებობდა ახალი ხელოვნებისათვის. მის თანამედროვეთა უმრავლესობისათვის დრო იყო საჭირო, რომ ეს ახალი მიმართულება შეესისხლხორცებინათ და გაეთავისებინათ.

შექმნილმა პირობებმა მცირე დაბნეულობა შეიტანა მხატვრის ცხოვრებაში, მაგრამ ხელოვნებას იგი არ განდგომია.

სიმბოლურია ის ფაქტიც, რომ 1928 წელს კოტე მარჯანიშვილის მიწვევით ქუთაისში ახალდაარსებული თეატრის პირველი სპექტაკლის (გერმანელი ექსპრესიონისტი დრამატურგის ე. ტოლერის იმხანად მეტად პოპულარული პიესა „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“) გაფორმებით დაიწყო დავით კაკაბაძის, როგორც კინოსა და თეატრის მხატვრის შემოქმედებითი გზა. იმავე 1928 წელს მხატვარი მიიწვიეს თბილისის სამხატვრო აკადემიაში, სადაც ოცი წლის მანძილზე ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. 1929 წელს მან შექმნა აკაკი წერეთლის საფლავის ძეგლის პროექტი, რომელიც 1931 წელს მთაწმინდაზე დაიდგა.

დაზგურ ფერწერაში შვიდი წლის დუმილის შემდეგ ასრულებს ჩანახატებს, აქვარელის რამდენიმე მცირე ზომის კომპოზიციას, 1934 წელს კი დაასრულა სურათი „რიონჰესი“, რომლის ნაგებობა ორგანულად ერწყმის იმერეთის პეიზაჟს.

მხატვარი ეხმაურება საქართველოს მტკივნეულ პრობლემებს. ამ პერიოდში მის მიერ შესრულებულია რამდენიმე იმერული პეიზაჟი, სვანეთის, თბილისისა და მისი მიდამოების მხატვრული სერია — აქვარელისა და გუაშის მსუყე საღებავები შესანიშნავადაა შერწყმული ფანქართან.

დიდი სამამულო ომის დღეებში გარდა „მიტინგისა“ და თბილისის სერიისა მხატვარი ქმნის მეტად თავისებურ, კაკაბაძისეული მემკვიდრეობისგან განსხვავებულ სურათს „ქართული პეიზაჟი, 1942 წელი“. სურათის მთელი ფორმატი ცას უჭირავს, ხოლო დედამიწას დათმობილი აქვს მცირე ადგილი. ზემოთ, ცაზე თეთრი ლაქებია — გამსკდარი ყუმბარის კვალი.

მიუხედავად ორმოციანი წლების მძიმე პერიოდისა, დავით კაკაბაძე ცდილობს, თავისი შემოქმედება მიუსადაგოს შექმნილ ვითარებას. 1949-51 წლებშია შესრულებული „ფოთი, ელევატორი“ და „სვანეთი, მადნების დამუშავება“. აქ მნახველის თვალწინ სულ სხვა კაკაბაძეა წარმოდგენილი. თუმცა ეს სურათებიც დეკორატიულია, მაგრამ აქ აღარ არის ის კონკრეტული ხაზები, ჰაერისა და სივრცის ის პირობითი გადმოცემა, რაც მხატვარს აქამდე ახასიათებდა.

და აი სწორედ ეს შრომის სადიდებელი სურათები, სადაც შესანიშნავადაა გადმოცემული შემოქმედის შინაგანი ბუნება და მისი ღრმა სულიერი განცდები, გადაიქცა მხატვრის გედის სიმღერად.

დავით კაკაბაძე შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში, სამოცდასამი წლისა გარდაიცვალა.

ბევრი რამ დაიწერა და ითქვა მხატვრის უზადო ხელოვნებაზე, მის შემოქმედებაზე. მისი სახელი ცნობილია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. ყველგან აღიარებულია როგორც საკუთარი აზროვნების, სამყაროს აღქმის განსხვავებული უნარისა და ხელწერის მქონე, უაღრესად ეროვნული ქართველი მხატვარი. დავით კაკაბაძემ თავისი უკვდავი შემოქმედებით ახალი სიტყვა თქვა, კიდევ უფრო გაამდიდრა ქართული კულტურის საგანძური თავისი განუმეორებელი ტილოებით.

თამილა თევდორაძე,



ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით კაკაბაძე

ბასტრაქციული კომპოზიციები





ეროვნული
ბიბლიოთეკა



აბსტრაქციული კომპოზიციები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართული ჟურნალი ისრაელში

ისრაელში ქართულ ენაზე გამოდის მხატვრულ-ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ილუსტრირებული ჟურნალი „დროშა“. ჩვენმა მკითხველებმა იციან, თუ რა მოწადინებით იღვწის ეს ყოველთვიური ქართულენოვანი ჟურნალი ორ ერს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობისათვის. საქართველოსადმი ის სითბო და სიყვარული არაა ძნელი დასანახი, ჟურნალში რომ იგრძნობა.

ქვემოთ მიმოვიხილავთ ამ ჟურნალის 52-ე ნომერს (1989 წელი).

გარეკანის პირველი და მეოთხე გვერდი დათმობილი აქვს ისრაელში საგასტროლოდ მყოფი საქართველოს ყველაზე პოპულარული საესტრადო ანსამბლის „ივერიის“ მომღერლების ინდივიდუალურ და კოლექტიურ ფოტოსურათებს.

ისრაელში ფართოდაა დანერგილი ექსკურსიები. ერთ-ერთი ასეთი ექსკურსიის თაობაზე მკითხველს მოუთხრობს სიმა ჯანაშვილი:

ავტობუსმა იერუსალიმისაკენ მიმავალი გზატკეცილიდან მარცხნივ გადაუხვია და სურნელოვანი წიწვისა და ნაძვის დაბურულ ხეივანში გააგრძელა გზა...

ჩვენს წინ მშვენიერი პანორამა გადაიშალა. მაღალ პლატოზე გაშენებულ სასტუმრო „კირიაანაგიმის“ ვესტიბიულში შევედით.

სასიამოვნო მიღება, ოთახებში განაწილება, დასვენება. ჩვენი ოთახები ბაღის ტერიტორიაზე აღმოჩნდა...

კიბუცი „კირიათ-ანამინი“ (ისრაელთა ახალშენი) გაშენებულია იერუსალიმის მთებში, დედაქალაქიდან 13 კილომეტრით არის დაშორებული და ტრანსპორტით 15 წუთის სავალია.

კიბუცი უძლიერესთაგანია ეკონომიკური თვალსაზრისით. კიბუცელებს ჰყავთ 400 მეწველი ძროხა, აქვთ ქათმის ფერმა, ბამბის პლანტაციები, ვაშლის, მსხლის, ატმისა და ქლიავის ბაღები, სხვადასხვა სამრეწველო საწარმოები. კიბუცს აქვს სასტუმრო, რომელშიც 93 ოთახია, აქედან 52 ოთახი ცენტრალურ შენობაშია, დანარჩენი 41 ოთახი მდელოებითა და ხეხილის ბაღებით არის გარშემორტყმული.

კიბუცში გატარებული ორი დღე ზედმიწევნით საინტერესო და სასიამოვნო იყო.

რუბრიკით „საქართველოდან ამოსულები ისრაელში“, რომლის ერთ მხარეზე თბილისის მთაწმინდის ხედია გამოსახული, დასტამბულია ფოტოსურათი და წერილი სათაურით „კოლანი“. მისი ავტორი ეთერ ფიჩხაძე მოგვითხრობს:

ეს გახლავთ ხუთი ვირტუოზის სინთეზი ან, თუ გნებავთ, შეუდარებელი კვარტეტისა და ნიჭიერი პიანისტის იღბლიანი შერწყმა.

ანსამბლი 1982 წელს ჩამოყალიბდა ისრაელში. მუსიკალური ხელმძღვანელი გახლავთ საქართველოს სიმღერისა და მრავალი მუსიკალური კონკურსის ლაურეატი ავთანდილ ქოსაშვილი...

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში ორთვიანი ტურნედან ახლახან დაბრუნდნენ. ჟურნალ „დროშის“ რედაქციაში შევხვდი მათ. ამერიკის პრესამ დადებითად შეაფასა კვარტეტის მიღწევები...

ყურადღებას იპყრობს მე-14 გვერდზე

დასტამბული შემდეგი განცხადება: „დროშის“ მკითხველთა საყურადღებოდ: ჟურნალ „დროშასთან“ იხსნება ქართული ბიბლიოთეკა. მკითხველს ვთხოვთ ბიბლიოთეკას შესწირონ როგორც საქართველოში, ასევე ისრაელში და სხვა ქვეყნებში გამოსული წიგნები ქართულ ენაზე.

ჟურნალის მომდევნო სამი გვერდი დათმობილი აქვს ჟურნალისტ ჩ. ლეზგიშვილის მხატვრულ ნარკვევს „ჩემი ქვეყნის ყვავილები“.

„ქართლის შუაგულიდან იერუსალიმამდე“ — ამ სათაურით დაბეჭდილ წერილს ჟურნალისტი იზოლდა კრიხელი ასე იწყებს:

საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი გორი ყოველთვის ამაყობდა თავისი ჩინებული ადამიანებითა და, რასაკვირველია, დიდებული ციხე-სიმაგრით...

ქალაქ გორის ებრაელი საზოგადოება შეერწყა და შეესისხლხორცა ქართველი ერის, ქართველი მეზობლების (და ზოგჯერ ნათესავებისაც კი) ყოველდღიურ ყოფაცხოვრებას.

გორის საზოგადოების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი დღეს ჩვენთან იმყოფება. ბ-ნ ელდარ მამისთვალიშვილის ვიზიტი ნამდვილად სასიამოვნო სიურპრიზი გახლდათ. მით უმეტეს, რომ ჩვენი სტუმარი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორია და ვის, თუ არა მას, ესმის მთელი სისრულითა და სიცხადით ისრაელის სახელმწიფოს შექმნისა და არსებობის გრანდიოზული მნიშვნელობა.

ელდარი ებრაელი კაცია, მაგრამ ეს სრულებითაც არ უშლის ხელს უზომოდ იყოს შეყვარებული საქართველოზე, თბილისსა და გორზე. მას უყვარს და აინტერესებს ყველაფერი, რაც მის ქალაქში ხდება და კეთდება.

რამ მოხიბლა ისრაელში? ყველაფერმა. არ არსებობს ადგილი ან მოვლენა, რომ არ მოეხიბლოს ისტორიკოსი. უპირველეს ყოვლისა, სიძველეთა დაცვა და უნიკალური ძეგლების აღდგენითი სამუშაოები. ქალაქი იერუშალაიმი — საერთოდ განცვიფრების წყაროა ყველასთვის. მოსწონს ისრაელის სისხლსავსე ცხოვრება, ხვავი და ბარაქა, ახალგაზრდობის განწყობილება, მისწრაფება უკეთესი მომავლისაკენ. აღფრთოვანებულია ხალხის უდიდესი, თითქმის ფანატიკური სიყვარულით სამშობლოსადმი.

განყოფილებაში — საქართველოს ამბები — დასტამბულია ინფორმაცია რობერტ სტურუას ახალ დადგმაზე ვახტანგოვის თეატრში, ქართულ ენაზე ეროვნული ენციკლოპედიის უკანასკნელი ტომის გამოცემაზე, ცნობილ მომღერალ თამრიკო გვერდწითელისათვის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდების მინიჭებაზე, „ვეფხისტყაოსნის“ ებრაულ ენაზე მთარგმნელის — ბორის გაპონოვისათვის რუსთაველის პრემიის მინიჭებაზე და ცნობილი ქართველი კომპოზიტორის ოთარ თაქთაქიშვილის გარდაცვალებაზე.

„დროშა“ თავის 24-ე გვერდზე ათავსებს ჟურნალისტების გ. გურეშიძისა და ა. ნიკოლაიშვილის ნარკვევს. მასში მოთხრობილია ნ. მუსხელიშვილის სახელობის ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორ მიხეილ ბინიაშვილის საქმიანობაზე.

ჟურნალის 25-26-ე გვერდები დათმობილი აქვს თბილისელი რობერტ აჯიაშვილის ვრცელ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სააქტო დარბაზში დიდ საქმეს ჩაეყარა საფუძველი — საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ბაზაზე საისტორიო საზოგადოებასთან კონფედერაციულ საწყისებზე შეიქმნა „ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა“ ასოციაცია.

ამას წინათ ჩვენმა გაზეთმა „სამშობლომ“ გამოაქვეყნა ინტერვიუ ისრაელიდან თბილისში ჩამოსულ ცნობილ ბიზნესმენ აბრაჰამ ნირთან (ნანიკაშვილთან), რომელსაც ესაუბრა თბილისელი მარინე ბუზუკაშვილი. ჟურნალი „დროშა“ ზემოხსენებულ ინტერვიუს სრულად აქვეყნებს.

ყურადღებას იპყრობს ჟურნალის „მხიარული გვერდი“. რუბრიკიდან **„ისრაელები იცინიან“** შემოგთავაზებთ ორ მინიატურულ დიალოგს:

●

— აღარ შემიძლია სიდედრის ატანა.
— მოეშვი სისულელეებს. შენი ცოლი იმან არ გაზარდა?
— სწორედ მაგიტომ მძულს.

●

— როგორ ადგენენ მამაკაცის სიკვდილს?
— როცა გული ცემას წყვეტს.
— ქალისას?
— როცა ენა აღარ იძვრის.

„უცხოური იუმორის“ განყოფილებიდან გთავაზობთ მხოლოდ ერთს:

ქალი აფორიაქებული ურეკავს ექიმს:
— სასწრაფოდ მოდით. ჩემს ქმარს 43 გრადუსი სიცხე აქვს!..
ექიმი: თუ ასეა, მე ვერაფერს გავხდები. სახანძრო რაზმი გამოიძახეთ.

●

ჟურნალის ამ ნომერში სხვაც ბევრი საინტერესო მასალა და სარეკლამო განცხადებებია დასტამბული.

დავით ბუზუკაშვილი

ეს საბედისწერო ჩაჭეჭი...

მხატვარი თენგიზ სამსონაძე

ვაადგილიან კამერაში ოცდაცამეტი კაცი იყო ერთიმეორეზე მიწყობილი. თამბაქოსაგან ისეთი ბუღი იდგა, ახალშემოყვანილმა კარგა ხანს ვერაფერი გაარჩია. მერე, როგორც იქნა, ბუღი ცოტა გაიფანტა და შემოსულის წინ წელში ოდნავ მოკაკული ფიგურა აიტუზა:

— პრაფესორაჯან, მობრძანდი, ჯიგარო. რომ შენი ამბავი არ გავიგეთ, ძალიან გვეწყინა! ყველა კამერაში თითო ადგილი შენახული გაქვს. აქაც აი ისაა...

ამ სიტყვების მთქმელმა ზემოთა ნარზე „საუკეთესო ადგილზე“ მიუთითა. „პრაფესორა“ დააკვირდა და გაშტერდა — ადგილი, რომელიც კურკლიმ ამოურჩია, დაკავებული იყო, იქ კაცი იწვა, და იმ კაცში თავისი რაიაღმასკომის თავმჯდომარე იცნო. ამ კაცმა თვითონ გადასცა მას, როგორც ახალგაზრდა მასწავლებელს, ბინის ორდერი, პირველმა მიულოცა ბინა და გადაჰკოცნა. კურკლიმ „პრაფესორას“ პასუხს აღარ მოუცადა, ჯიმშერთან მივიდა და დამცინავი თავაზიანობით მოახსენა:

— თუ შეიძლება იქ, პარაშასთან, ხალხი მისწი-მოსწიეთ და თქვენი ადგილი დაიკავეთ!

ჯიმშერი ნარზე წამოჯდა, მაგრამ ძირს არ ჩამოსულა. კურკლიმ დამცინავი ტონი ერთი ხელის მოსმით მოიშორა. ეტყობა ღრენაზე გადასვლას აპირებდა, რომ ხმა ახლა თვითონ „პრაფესორამ“ ამოიღო:

— მოიცა. კურკლი. მე მაგას არ ვიცნობ, უცნობს ადგილი რათ უნდა დაუთმოს. შენ ჩემიანი ხარ, ადგილი შენ დამითმე და ის სამი ათასი მანეთი, რომელიც ჩემთან წაგებული გაქვს და უკვე რამდენი ხანია მეთესები, მიპატიებია. პარაშასთან შენ დაწექი, თან ვალს გაისტუმრებ, თანაც სასჯელს მოიხდი.

ახალგაზრდა მასწავლებლის სიტყვა, რომელსაც „პრაფესორას“ უწოდებდა კურკლი, წყალგაუვალი ჩანდა. კურკლიმ, როგორც თვითონ ეძახდა, თავისი „კურორტი“ ადგილი კბილების კრაჭუნით დატოვა და „ღამის ოქროს“ სიახლოვეს გადაიტანა ავლა-დიდება.

„პრაფესორა“ კურკლის ადგილზე ავიდა და ჯიმშერის გვერდით ჩამოჯდა. სულ ცოტა ხნის შემდეგ უკვე იცოდა, რომ რვაადგილიან კამერაში ოცდათოთხმეტი კაცი იჯდა, რომ ქალების განყოფილებაში უთოზე მომუშავე ვიღაც ქეთოს, ყოფილი „ნარკომის“ მოადგილის ცოლს, იქვე საუთოებელში თავი ჩამოუხრჩვია. საუთოებელში შემთხვევით შეხეტიალებული „ბანჯგვლიანა“, ციხის ზედამხედველი, და ძალა უხმარია.

...შუაღამისას გამოეღვიძა. პირველად ვერც გაარკვია, სად იყო. როდესაც საშინელი სიმყრალე და დახუთული ჰაერი ღრმად შეისუნთქა, გამოფხიზლდა და თვალები ფართოდ გააღო. პირველად ჯიმშერს გადახედა, არც მას ეძინა. ჩურჩულით დაიწყეს საუბარი.

— ბატონო ჯიმშერ, გახსოვთ ბინა რომ მომეცით?

— შემოსვლისთანავე გიცანით. ბოდიში და, აქ თქვენიანათ შვიდი რამკიანია. ერთი ისიც, საზიზღარი ბარნაბა.

— კარგად დამიგდეთ ყური. მანამ ერთად ვართ, ისე მოიქეცით, როგორც მე მიგანიშნებთ. ჯერჯერობით ასეა საჭირო. — „პრაფესორამ“ ახლა შეამჩნია, რომ ჯიმშერს ტუჩი გახეთქილი და დასივებული ჰქონდა, მარცხენა თვალი ჩასისხლიანებოდა. — ქურდებისა და ყომარბაზების სამყაროს თავისი კანონები აქვს და აქ მანამ ვიქნებით, ყოველნაირად შევეცდები, ამათგან დაგიფაროთ. ამათ ხომ არ გაწყენინეს რამე? თვალი და ტუჩი რატომ გაქვთ ასე?!

— დაკითხვაზე ვიყავი ორჯერ. გამომძიებელია აქ ერთი კასპელი მებადურიანცი, პოლიტიკურები „კანტს“ ეძახიან. განათლებული კია, მაგრამ ნამდვილი მხეცია. ორჯერ ისე მცემა, სიკვდილის პირზე მიმიყვანა. პირველად რომ დამიწყო ცემა, ისეთი ხურდა მიიღო, შენი მოწონებული. არავისთვის არ დაუძახია, თვითონ მომერია. ძალიან ძლიერი ვინმეა.

— რატომ გცემათ, რა უნდოდა?

— ვიღაცა ოხრებს ბავშვების კერძში შუშის ფხვნილი ჩაუყრიათ. გვარები დამისახელა, ამათ თუ იცნობო. ცნობით კი ვიცნობ, მაგრამ ისეთი ხალხია, მაგას როგორ გააკეთებდნენ, არადა, მათი ჩვენებები წამაკითხა. გადავირიე. ყველას აღიარებული აქვს დანაშაული. შენ იცოდი, ამას რომ სჩადიოდნენ და ხელმძღვანელობა იმიტომ არ ჩააყენე საქმის კურსში, რომ შენც მათი ორგანიზაციის წევრი ხარო. რაღა მექნა, მეც მოვაწერე ხელი. გუშინ „კანტმა“ გამომიცხადა, ათი წელი გაქვს მოსჯილიო.

— სწორად მოქცეულხართ. თუ გინდა გადარჩეთ, სიკვდილისაგან თავის დაღწევის ეს ერთადერთი საშუალებაა, მით უმეტეს, პოლიტიკურის იარლიყი გაქვთ მოკერებული.

— ეჰ, ამბობენ, მალე ეტაპი იქნება და შორეულში აგზავნიან პოლიტიკურებსო. ჩვენ აქ ვინ გაგვაჩერებს. რომ გახვალთ, ჩემიანები ინახულეთ და ჩემი ამბავი უთხარით.

— აუცილებლად, აუცილებლად. — ამ დროს პარაშასთან ჩხუბი და ჩოჩქოლი შეიქნა. ვიღაც ჭაღარა პატიმარი ბარნაბასა და კურკლის ორივეს ერთად სცემდა. წუთში „პრაფესორა“ იქ გაჩნდა და ჭაღარას კურკლის დასარტყმელად აწეული ხელი დაუჭირა:

— რათა სცემ, რაშია საქმე, ხალხს სძინავს. — ხალხს უკვე აღარ ეძინა. ჭაღარამ ზიზღით შეშლილი სახე მოაბრუნა:

— ამათი ატანა აღარ შეიძლება, ყველას გვერდში უცერემონიოდ ოხრობენ, — თქვა თვალებზე ცრემლმორეულმა ჭაღარამ და „კურკლის“ სახეში შეაფურთხა. „პრაფესორამ“ ჭაღარა როგორც შეეძლო დააწყნარა და კარებზე დაამრახუნა. ცოტა ხნის შემდეგ კარები გაიღო და „პრაფესორა“ მიხვდა, ამ ცხოველის სახელი „ბანჯგვლიანა“ კარგად ჰქონდათ შერჩეული.

— ვინ გაბრახუნებდე? რა გინდებოდე? — ჯაყო გაახსენდა და ღიმილი მოერია.

— უფროსო, — „პრაფესორამ“ იქვე მდგომ ბარნაბას კისერში ხელი ჩაავლო და ტომარასავით დაფერთხა. — ეს აყროლებული აქედან გაიყვანეთ, თორემ თუ რამე მოხდა, — მან რამკიანებზე აჩვენა, რომლებიც ერთად ისხდნენ, — ჩვენ პასუხს არ ვაგებთ. აი ამას.... ფული მოპარა. — მერე კურკლიზე აჩვენა, — და ნახევარი ამას მისცა. თქვენთვის უნდა ჩაგვებარებინა შესანახად. კურკლი, ფული მოიტა!

თვალებგაფართოებულმა კურკლიმ უბე გადმოიტრიალა და ფულები იატაკზე დაყარა.

— აი, ეს ფული შეგვინახეთ. და კიდევ გიმეორებ, თუ არ გინდათ „შუმოკი“, ეს „ცოლ-ქმარი“ აქედან წაიყვანეთ!

თვალებგაბრწყინებულმა ბანჯგვლიანამ ფულები მოხვეტა და გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ კურკლი და ბარნაბა თავიანთი ბარგით წაიყვანეს. ოცდათორმეტმა პატიმარმა შვებით ამოისუნთქა.

დღეები მონოტონურად ცვლიდნენ ერთიმეორეს. დღეში ერთხელ „პრაგულკა“, წოლა ნარზე და ერთიმეორეს შეჩერებული ოცდაექვსი პოლიტიკური პატიმარი. თითქოს კამერის „მთავრობაში“ ჩაფარული დემოკრატიზაცია და წესრიგი დამყარდა. „რამკიანები“ დღეში ერთხელ რაღაცის შესახებ დაბეჯითებით ბჭობდნენ ხოლმე.

ერთ დილას, როდესაც თითქმის ყველა ადგა, ერთი პოლიტიკური, ყოფილი ლექტორი ნარზე გაშოტილი იწვა. არადა, ის იყო მორიგე. შეანჯღრიეს და მკვდარი აღ-

მოჩნდა. პოლიტიკურები შეაძრწუნა ამ ამბავმა, „რამკიანებმა“ კი ჩვეულებრივად მიიღეს მისი სიკვდილი. რომელიღაცამ კარებზე დააბრახუნა, გასაღებმა გაიჩხრიალა და კამერაში ბანჯგვლიანი შემოეყუდა:

— რას გაბრახუნებდე?!

— უფროსო, როგორც ეტყობა, წუხელ იაგორა ლექტორი გარდაიცვალა. — ბანჯგვლიანმა შეშინებულმა დააფახულა ხარივით უზარმაზარი თვალები და ისე გავარდა კამერიდან, კარების დაკეტვაც კი დაავიწყდა. არ გასულა ორიოდე წუთი და ციხის უფროსი ვერულავა შემოვარდა. კარგა ხანს უყურა ცხედარს, მერე პატიმრებს მიუბრუნდა და დედ-მამის სული ორ შაურად გაუხადა. ამასობაში საკაცე მოიტანეს, იაგორა ტომარასავით დააგდეს საკაცეზე ქურდებმა და გვერდზე გადგნენ. ვერულავა ისევ აღრიალდა:

— თქვენი დედა... გადმოაბრუნეთ მიცვალებული.

წინ ერთი პატიმარი წამოდგა:

— რას გვაგინებ, უფროსო. ამას წინებზე ნარკომი რომ მოკვდა, წესიერად დავასვენეთ „ნასილკაზე“ და ბობოხიძემ სულ დედ-მამის სული გვაგინა, თავდაღმა დააგდეთო. — ვერულავას დორბლები წამოუვიდა და ისევ აღრიალდა:

— ის ისე იყო საჭირო, თქვენი დედა...

იაგორა გადმოაბრუნეს და წესიერად დაასვენეს საკაცეზე. სხვა კამერიდან ორი პატიმარი მოვიდა და საკაცე წაიღეს. ვერულავამ კიდევ კარგახანს აგინა პატიმრებს და ღრიალით დასტოვა კამერა.

პოლიტიკურები არ განძრეულან, მიუხედავად იმისა, რომ ვერულავას გინება მათკენ იყო მიმართული. შუაღამისას ჯიმშერი „პრაფესორასკენ“ გადმობრუნდა:

— ეს ვერულავა გიჟი ხომ არ არის?

— არა, ბატონო ჯიმშერ. იმიტომ გამწარდა, რომ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. იაგორა პოლიტიკურების „ნასედკა“ იყო.

— „ნასედკა“ რა არის?

— ამ სამყაროში მაგ სიტყვას კიდევ ერთი სინონიმი აქვს, „ბოზი“. იგ კაცი თქვენთვის იყო აქ შემოყვანილი. თუ რომელიმე თქვენგანს რამე წამოსცდებოდა, ვერულავა საქმის კურსში იყო. სამი თუ ოთხი დღის წინათ მარგველაშვილი ხომ წაიყვანეს თქვენებიდან.

— ჰო, ეტაპი წავიდა და ალბათ შორეულში გააგზავნეს. — „პრაფესორას“ ნაღვლიანად გაეღიმა.

— არა, ბატონო ჯიმშერ. იმ საცოდავს რაღაც წამოსცდა იაგორასთან და ბიჭებმა მითხრეს, ვერულავას თვითონ თავისი ხელით დაუხვრეტია წუხელ. იაგორამ სამაგიერო მიიღო. ასეა, ჩემო ძმაო, აქ... „ნასედკა“ სულ დანის პირზე დადის. თუ გაასწრო, ერთი კამერიდან მეორეში აღარ შეჰყავთ იმიტომ, რომ იქ მაინც აუცილებლად გაასაღებენ.

ჯიმშერი წამოჯდა და გაოგნებული ისმენდა ყველაფერ ამას.

— მაშ იაგორა, ეს ინტელიგენტი კაცი, — „პრაფესორამ“ აღარ დაამთავრებინა:

— დიახ, დიახ, ბატონო ჯიმშერ. ეს ინტელიგენტი კაცი ამისათვის გაასაღეს წუხელ. სიმბოლურია, არა? მარგველაშვილი ვერულავამ მოკლა „ადინოჩკაში“. აქ კი აი ამათ, „რამკიანებს“ რომ ვეძახით, მარგველაშვილი ძალიან უყვარდათ თურმე და იაგორას აუგეს წესი. იმიტომ იგინებოდა ასე ვერულავა, იაგორას გაყვანა რომ ვერ მოასწრო და ვერაფრით დაამტკიცებს იმას, რომ იაგორა მოკლულია. ბალიშით მოხრჩობის დროს გულის ინფარქტი ხდება. ჩემი აქ ყოფნის პერიოდში ეს პირველია, ისე კი ამ ექვს თვეში ეს უკვე მეოთხე „ნასედკა“ ყოფილა, ვერულავას რომ უკლავენ. ამაზე გაცოფდა.

ჯიმშერს სიმწრის ოფლმა დაასხა და კრიჭა შეეკრა.

— ბატონო ჯიმშერ, დაწყნარდით. აქ ბევრ ისეთ რამეს გაიგებთ, რაც აზრის ნორმალურ ფარგლებში არ ეტევა, მაგრამ უნდა შეეჩვიოთ.

და მართლაც, თვითონ ხომ თავის როლს დიდი ერთგულებით ასრულებდა, პოლიტიკურებსაც მისი შიშით ბუზს ვერავინ აუფრენდა. ბოლოს და ბოლოს ეს ქურდებიც ვინ იყვნენ, კაცმა რომ თქვას? ბედის უკუღმართობით გზას აცდენილი ახალგაზრდობა და საშუალო ასაკის ხალხი, რომლებიც, საუბედუროდ, ბარათაშვილებად, ამილახვრებად, დადიანებად, ჩიჩუებად, ფაღავებად, მაყაშვილებად, ვაჩნაძეებად და კიდევ რა გვარებად არ იყვნენ დაბადებულნი. ქუჩაში დაიზარდნენ. ეს ქუჩა, თქვენ წარმოიდგინეთ, მაინც ახერხებდა კარგი ოჯახების უპატრონო ახალგაზრდებისათვის ესწავლებინა ცოტა ჯიბეზე სიარული (ტრამვაიში, ბაზარში, რიგებში), ცოტა გარყვნილებაც, ცოტა ჯანდაბა და დოზანა. ბევრი უწიგნური, ხეპრე და სადისტი თანამდებობაზე იჯდა, ერისა და სახელმწიფოს ბედს განაგებდა. ყოველ ღამით იმარხებოდა სოღანლუღის ველებზე მათი დახვრეტილი მშობლები — უბრალო და პატიოსანი ადამიანების გვამები. ბევრმა მათგანმა, თქვენ წარმოიდგინეთ, არც ტროცკი იცოდა ვინ იყო და არც ლენინი.

ყველაფერი ეს ვერულავას „ქარხანაში“ ხდებოდა და ამას გაუძლო იმანაც, ახალგაზრდა „მასწავლებელმა“. სამი წელიწადი ყველა ამ სისაძაგლეს საკუთარი თვალით უყურა: სამი წელი მიუსაჯეს „პრაფესორას“, როგორც ჯიბის ქურდს, ჯიბგირს და ყომარბაზს...

და აი, იმ დღეს ყველას გამოეთხოვა ციხეში, გადასახლებული ჯიმშერის წერილი სათუთად ჰქონდა შენახული უბეში. გარეთ რომ გამოვიდა, თბილმა აპრილის მზემ თვალები მოსჭრა, სურნელოვანმა ჰაერმა თავბრუ დაახვია. რაც სკოლას თავი დაანება და „იმ გზას“ დაადგა, ცოლთან სულ კონფლიქტი ჰქონდა. ამიტომ არც შეუტყობინებია არავისთვის და არც არავინ დახვედრია ციხის წინ. ციხეში, პოლიტიკურებში ლეგენდები დადიოდა მასზე, როგორც კაცურ კაცზე — 1937 წლის აპრილში შევიდა ციხეში და 1940 წლის აპრილში გამოვიდა იქიდან ბევრის მნახველი და გამგონე, მაგრამ ფიზიკურად გადარჩენილი.

ციხის პირდაპირ ჯიხური იდგა, ლოყებდაბუშტული კაცი ფრანგულ ფუნთუშაში ჩადებულ მოხარშულ სოსისსა და ლუდს ჰყიდდა. გაახსენდა, „მიბარებული“ შვიდი ათასი მანეთიდან, ბანჯგვლიანამ რომ გამოაცილა, ხუთი თუმანი მისცა. საოცრად ლამაზი იყო, უმზეობით გაფითრებულ სახეზე წვერი უხდებოდა.

ლუდის ჩამომსხმელმა ისე დაუსხა ლუდი და ისე მიაწოდა სოსისიანი ფუნთუშა, თვალი არ მოუშორებია. უცებ საშინელი ამბავი დატრიალდა: სოსისიანი ფუნთუშა ჩაკბიჩა, ლუდი მოსვა და ამ დროს ფერდში მწვავე ტკივილი იგრძნო. თანაც ჯიხურიდან შეყვირება მოესმა: — „რას სჩადიხარ შე გარეწარო!..“ მაგრამ უკვე გვიან იყო. დაბალმა, ჩაფსკვნილმა გონჯმა კაცურამ მარჯვენა ფერდში დანა გაუყარა. ლამაზი, წვეროსანი ახალგაზრდა კაცი [illegible] — და, თუთის ხიდან შურდულივით ჩამოვარდნილ ბულ შაშვს რომ შეაცივდება ნისკარტში თუთა, ისე შერჩა მასაც პირში ფრანგული ფუნთუშისა და სოსისის ლუკმა.

ხალხით გაივსო ჯიხური. უკვე საკუთარ ზურგჩანთაზე იყო მიწოლილი და არც კვნესოდა. გამყიდველმა ჭრილობაში ჩატოვებული დანა გამოაძრო და შიგ ცხვირსახოცი ჩაუჩურთა. დაცვარული შუბლი მოსწმინდა. დაჭრილმა ქუთუთოები გახსნა და შეკრებილ ხალხს თითქოს დიდი შრომით დაღლილი მზერა მოავლო. ვიღაცას სასწრაფო უკვე გამოეძახა, მილიციელებიც გამოჩნდნენ, მაგრამ ამ აურზაურში არავის მოჰგონებია ბოროტმოქმედის გამოდევნება. იგი თვალსა და ხელს შუა გაქრა ისე, არავის დაუნახავს. გამყიდველმა აკანკალებული ხმით ჩასძახა:

— ვინ იყო ის მხეცი, შვილო, ხმა ამოიღე, თქვი, — მომაკვდავმა ნაღვლიანად გაიღიმა:

— მაინც ვერ გადავრჩი... როგორ ვკვდები!

— ვინ იყო ის, ვინ?

— კურკ... — რაღაცის თქმა უნდოდა. ვეღარ დაამთავრა და გონება დაკარგა.

სანიტრებს მილიციელები და ხალხი დაეხმარა. საკაცეზე დაასვენეს მომაკვდავი და სასწრაფოს მანქანაში შეაცურეს.

საავადმყოფოში სასწრაფო ოპერაციისათვის ოთხი ავადმყოფი იყო გამზადებული. მაგრამ დოცენტი, მორიგე დასტაქარი, დილიდან არ ჩანდა. ახალგაზრდა, გამოუცდელი ქირურგი მხოლოდ მაშინ დათანხმდა ოპერაციების გაკეთებაზე, როდესაც მთავარმა ექიმმა მთელი პერსონალის გასაგონად გამოაცხადა, დოცენტი გოჩა ხაზარაძე დაპატიმრებულია, როგორც ხალხის მტერი.

ოპერაციები გაკეთდა. ერთი ჩაქედილი თიაქარი იყო და ავადმყოფი გადარჩა. ორი — დაგვიანებული აპენდექტომია. ალბათ ვერ გადარჩებოდნენ. რადგან ჭიაყელა ნაწლავი ორივე შემთხვევაში გახეთქოდათ და ორივეს მუცლის ფარის ანთება დაწყებოდათ. მეოთხე ღამაზი წვერიანი ახალგაზრდა, რომელსაც დანით ჭრილობა მიყენებული და ღვიძლი მოლიანად დაგლეჯოდა, საოპერაციო მაგიდაზევე გარდაიცვალა.

შემთხვევის ადგილზე მისული მილიციის გამომძიებელი, რომელიც დაჭრილს მოჰყვა, დაინტერესდა მისი ვინაობით. მაგრამ მას არც პასპორტი აღმოაჩნდა და არც რაიმე საბუთი. მესამე დღეს, როდესაც მიცვალებულს არავინ მოაკითხა, დამარხეს სოღანლუღის ველზე.

პარადოქსი კი ის გახლავთ, ეს საცოდავი ახალგაზრდა კაცი 1937 წლის 13 აპრილს დაეპატიმრეს, 1940 წლის 13 აპრილს გაათავისუფლეს და გათავისუფლების დღესვე — 13 აპრილს მოკლეს. მოკლეს და სახელმწიფოს ხარჯზე დაიმარხა, როგორც უპატრონო მიცვალებული.

ბიბი სოსანიძე

პატარა კაცი

გიორგი კაკუაშვილი

პატარა კაცმა სიმღერა რომ ჩაათავა და დარბაზში ტაშმა დაიქუხა, ყველა და ყველაფერი დატრიალდა მის თვალწინ, ისეთი სისწრაფით დატრიალდა, რომ თვალი ვეღარ მიადევნა და თავბრუხვევად ექცა. მხოლოდ ოდნავ შესამჩნევად თავი დახარა და გრძელ წამწამებზე ცრემლები დაეკიდა.

ღმერთო, რად გიყვარს სასწაულები? ნიბლიასოდენა პატარა ბულბულს ერთი ქვეყნის სამყოფი გალობის ნიჭი მომადლე და სახლისოდენა სპილოს კი ყოყინიც არ შეასწავლე რიგიანად. არც ფრინველთა მეფე არწივია ნიჭით განებივრებული. მტაცებლობისა და მძლავრი ფრთების ტყლაშატყლუშის მეტი არაფერი ეხერხება. სვავზე და ყორანზე ხომ ენა არავის მოუბრუნდება. არიან ადამიანები მომხიბლველნი და არაფრის მოქმედნი. სიდიდ-სიპატარავეს მნიშვნელობა არა აქვს. ნუ იამაყებ დიდი გვამითა და შეძლებით, თუ შენი უნარით ხალხს სიამოვნებას ვერ ანიჭებ. ამ პატარა კაცმა დღეს ერთხელ კიდევ დაამტკიცა, პატარა და დიდი რომ ქვეყნად არ არსებობს. არსებობს მხოლოდ კარგი და ავი. არსებობს კაცი, რომელსაც ასეთი რამეების ერთიმეორისაგან გარჩევა შეუძლია ან არ შეუძლია.

ტაში დიდხანს ისმოდა და შეძახილებიც აღარ წყდებოდა. სიმღერის გამეორებას მოითხოვდნენ. ფიცხობდნენ, ცხარობდნენ, ცდილობდნენ, ეს სანეტარო წუთები მოგონებად არ გადაქცეოდათ და როგორმე კიდევ გაეხანგრძლივებინათ.

— ბიიის!.. ბიიის!..

— ბრავო!.. ბიიის!.. — ჭექდა დარბაზი, მაგრამ პატარა კაცი უფრო და უფრო პატარავდებოდა, ცდილობდა, სცენიდან სულაც გამქრალიყო, ბულბულივით გაფრენილიყო და სხვა ტოტზე დამჯდარიყო, სადაც ხალხის თვალი ვეღარ მისწვდებოდა. სხვებს ეამაყებათ ტაშიცა და გამოწვევაც, მზად არიან მეხუთედ და მეათედ დაუკრან თავი მათი ხელოვნებით დამტკბარ მაყურებელს, ჰაეროვანი კოცნაც კი გაუგზავნონ და აღტაცებული მადლობა ამით გამოხატონ.

ეს კი, ეს პატარა კაცი, რომელსაც ბულბულზე უმცირესი გული აქვს, ძლივს დგას სცენაზე მოკრძალებული და ოდნავშესამჩნევი ღიმილით.

— ბიის!.. ბრავო!.. ბიიის!..

პატარა კაცი ნელი ნაბიჯით გავიდა სცენიდან. ძლივს შესამჩნევი ღიმილი ეფინა და უკვირდა, როგორ შეძლო ამდენ ხალხში ხმის ამოღება. თავის სიცოცხლეში მხოლოდ კამეჩებისა და ხარების გასაგონად მღეროდა „ურმულსა“ თუ „ოროველას“, „ზამთაროსა“ თუ „მრავალჟამიერს“, „ჩაკრულოსა“ თუ „მუმლი მუხასა“. „საჭიდაო“ კი კავთაში, თელეთსა თუ სამების დღესასწაულებში უმღერია. კალობანში და კოპალეშიც უმღერია, მაგრამ ეგ რა სათქმელია, როცა აქ მთელმა ქვეყანამ მოისმინა.

ვინღა არ ყოფილა ამ დარბაზში, რუსი ვარო, თათარი ვარო, ოსი თუ სომეხი. ყველას ვერ ჩამოთვლის. ამდენი რომ იცოდეს, აღარც აქ დაირცხვენდა. ჯერ იყო-და, ძლივს წამოიყვანეს ქალაქიდან, სხვები რომ თბილისს ეძახიან. მერე აქაც ძლივას დაიყოლიეს, უცხო ხალხის თანდასწრებით რომ ემღერა.

გამოიყვანეს და აკი თვალებში დატრიალდა კიდეც ყველაფერი. თვითონაც დატრიალდა. ერთხანს კინაღამ წაიქცა კიდეც, მისი გვარი რომ ახსენეს და სცენაზე ფეხი შემოდგა. გამოაცხადეს და იმღერა, ალბათ მართლა კარგად იმღერა, თორემ აქ, ამ უცხო ქვეყანაში, ასეთი სიყვარულით ტყუილად არავინ დაგიკრავს ტაშს. მისი გაღიმებული ულვაშიც დაინახა სადღაც იქით, ლოჟაში. დიახ, დიახ, მგონი, ლოჟას ეძახიან.

სანამ პატარა კაცი რიგიანად გამოფხიზლდებოდა, ვიღაცამ უჩურჩულა, იმ კაცთან ვართ მიპატიჟებული, კონცერტის შემდეგ სახლში გველოდებაო.

ღმერთო, შეაძლებინე! ეს რა უთხრეს? ეწყინოს თუ გაუხარდეს? შესძლებს კია იმის თვალებში შეხედვას? ნუთუ ასეთი რამ შეიძლება და მოსახდენია? არა, მისი ბულბულისოდენა გული ამდენ გრძნობა-განცდებს ვერ გაუძლებს! ერჩია არ წამოსულიყო ქალაქიდან. ეგებ ქალაქშიც არ უნდა ჩამოსულიყო თავისი სოფლიდან?

იოსებ მჭედლიშვილმა, მისმა თანასოფლელმა მწერალმა, აღარ მოუსმინა. მარტო ამას კი არა, კახელ მომღერლებს მაგან მოუყარა თავი, გუნდი ჩამოაყალიბებინა და ოპერაში ამღერა. მერე და მერე გაეჩვია და, აი, სადამდე წამოვიდა. გლეხი კაცი რომ ფეხს აიდგამს, იმისი საქმე წასულია: ვიღამ უნდა მოხნას და დათესოს, ყველამ თუ დედაქალაქში იარა სასიმღეროდ? მაგრამ... მისმა სიმღერამ თუ მართლა ასე ძალიან მოხიბლა ქალაქელებიცა და მოსკოველებიც? ხომ არ ატყუებენ? ხომ არ დასცინიან? ასე რომ იყოს ნიკო ქუმსიაშვილი ყველაზე დიდი მომღერალი, თავისთან არ მიიპატიჟებდა და მთელ კვირას მასთან ერთად არ იმღერებდა. განსაკუთრებით ამისი ნამღერი „ურმული“ მოსწონდა. თვითონაც ოპერაში ახლა ზუსტად ისე მღერის, როგორც ეს მღეროდა. შენგან ვისწავლე ნამდვილი „ურმულიო“, ასე ეუბნება.

არა, მართლა მოსწონს მისი სიმღერა!

— სტალინის აგარაკზე უნდა მივიდეთ, გესმით. სტალინის აგარაკზეო, — ჩურჩულებდნენ კირილე პაჭკორია, ავქსენტი მეგრელიძე და მათი მეგობრები.

წავლენ და წავა ესეც, მეტი რა გზაა. მოიცადე, რა უთხრეს? ჯიღაური უეჭველად წამოიყვანეთო! ამას კი ნამდვილად მოატყუებდნენ. საიდან უნდა იცნობდეს, ასე რომ ეთქვა? ახლა რომ იმღერა, ვითომ ამით გაიცნო? ამ ერთი სიმღერით? თუნდაც ორით? თუნდაც სამით? არა, სამი არ უმღერია, მგონი ორჯერ იმღერა. დანამდვილებით არც ეგ ახსოვს. ეგებ მთელ დღეს მღერის გაუთავებლად და ამას კი მხოლოდ ორი ჰგონია. იქნებ ისევ სცენაზეა და ისევ აგრძელებს სიმღერას. უსიმღეროდ არც ერთი წუთი არ გაუტარებია და ვერც ახლა ისვენებს. სატირალიც რომ ჰქონდეს, მაინც მღერის. თუმცა ტირილიც ხომ თავისებური სიმღერაა, მწველი, გულისმოსაოხებელი. თუ მართლა ადამიანი ხარ, უსიმღეროდ ვერ იარსებებ. პატარა კაცი სხვებთან ერთად დიდი პატივით ჩასვეს მსუბუქ ავტომანქანაში. მოსკოვს გასცილდნენ და კუნცევოში მიიყვანეს, სტალინის აგარაკი აქ არისო.

არა, ვერ შესძლებს სტალინთან პირისპირ შეხვედრას. მუხლი მოეჭრება, თვალთ დაუბნელდება. მაგან წაართვა ხარები. წაართვა კი არა, კოლმეურნეობაში შეარეკვინა. არა, მაგან არ შეარეკვინა, თვითონ შევიდა თავისი სურვილით და, ხარებიც თვითონ შერეკა. მაგრამ ყოველივე ეს სტალინის შიშითა და ხათრით ჩაიდინა.

ისიც მართალია, კოლმეურნეობაში რომ უფრო მხიარულობა და ერთიანობაა. მაგრამ შენი საკუთარი აღარაფერი გაქვს და ეგ არის ცუდი. საკუთრების სიყვარულს თავს ვერ დააღწევ. თუ დააღწიე, რაღაცას დაკარგავ. აუწონავ და გაუზომავ რაღაცას დაკარგავ! სიხარულს საკუთრება

იწვევს. სხვამ იკითხოს, თორემ ჯიღაურს საკუთარი უნარისა და ნიჭის შეგრძნება მაინც გაახნია. ეგეც რომ წაართვან, აი, ეგ იქნება ძალიან ძნელი.

მეზობელს ცხვარ-ძროხა ჰყავდა, გააკულაკეს, ბევრი რატომ გყავსო. რატომ არ უნდა ჰყოლოდა და ჰქონოდა, თუკი იყოლია და მოიქონია? რატომ უნდა წაართვა ძალით? კომუნიზმი უნდა დავამყაროთო? ყველას თანაბრად უნდა გვქონდესო. ეგ კარგია, ყველას რომ თანაბრად გვქონდეს, მაგრამ ერთს თუ მეტის მოქონება შეუძლია და მეორეს ნაკლებისა, რატომ არ უნდა იყოს ამისი გარჩევა? პირხმელ ფათათას ხუთი კაცისოდენა მუშაობა შეუძლია, პირბუთხუნა ილიკოანთ ალექსას კი ნახევარისა. გვერდიგვერდ დგანან, მხარდამხარ თოხნიან და ერთნაირად ეწერებათ შრომადღეები. ასეთი კანონი ერთისთვის თუ სახეიროა, მეორისთვის მავნებელია.

პატარა კაცი მაშინღა გამოფხიზლდა, ყვავილნარით დაფარულ ეზოში რომ შეიყვანეს. ეზოში მისი ნაცნობებიც იყვნენ და ამან გაამხნევა. ნუთუ ისიც აქ იქნება? ის ასეთი დიდი, ბუმბერაზი და ეს ასე პატარა... მართალია, ტანით არც ის ყოფილა მაინცდამაინც დიდი, როგორც ამბობენ და როგორც თვითონაც დაინახა, დარბაზში როცა შემოვიდა. ამოდენა ქვეყანა რომ მუჭაში უჭირავს, ბუმბერაზია, მა, რა არის? ყველანი შესციცინებენ, თავზე ევლებიან. ის კი არხეინად ყალიონს აბოლებს დინჯად, იშვიათად თუ გახსნის შუბლს. ნეტავი სიცილი თუ იცის? გაღიმება კი არა, ნამდვილი სიცილი. ან თუ უტირია როდისმე, თუნდაც მაშინ, ბავშვი რომ იყო. არა, არ იტირებდა. მაშინვე უშიშარი იქნებოდა და კაცმა რატომ უნდა იტიროს, თუ არ ეშინია და არც სიბრალული იცის.

მარმარილოს რამდენიმე საფეხურიანი კიბე აატარეს და თავისი გუნდის წევრებთან ერთად, იქვე გაშლილ სუფრასთან მიუთითეს. სუფრის ერთ ნახევარზე უკვე ისხდნენ და მათ მისვლას ელოდნენ.

ყველანი დასხდნენ. დუმილი გამეფდა. ერთმანეთს შეხედვა-გადალაპარაკებასაც ვეღარ უბედავდნენ.

შუაკარიდან ის გამოვიდა და ყველანი ფეხზე წამოდგნენ. ცარიელი ჩიბუხი ეჭირა ხელში და ოდნავი დაცერავებით მოჰქონდა მხარი. წეღანდელზე უფრო დაბალი ეჩვენა პატარა კაცს.

სტალინს თვალები სასიკეთოდ უციმციმებდა.

— აბა, ბიჭებო, არ დაირცხვინოთ! ისე მოიქეცით, როგორც თქვენს სახლში, — დაბალი, მკვეთრი ხმით ჩაილაპარაკა და ღია კარიდან გარეთ გაიხედა, შემობრუნდა, ცარიელი სუფთა ჩიბუხი მარცხენა ხელის საჩვენებელი თითის კეხზე დაიკაკუნა და დაამატა, — ცოტა ხანს სტუმრებს მივხედავ და მალე მოვალო. შუაკარს რომ მიუახლოვდა, შემობრუნდა, და ღიმილით განაგრძო: კარგი დრო უნდა გაატაროთ და იმღეროთ კიდეც. თამადობა არ დაგავიწყდეთ!.

სტალინი შუაკარში გაუჩინარდა. მეორე ოთახში ხმაური და მხიარულება ერთბაშად შეწყდა და კაცი ბუზის გაფრენას გაიგონებდა, ისეთი სიჩუმე ჩამოდგა.

— განაგრძეთ, განაგრძეთ, — მოისმა უკვე ნაცნობი ხმა და მაშინღა ალაპარაკდნენ.

— ჩვენც დავიწყოთ, ბიჭებო, — გაბედა სანდრო მჭედლიშვილმა, ზედმეტ სახელად ფთხენელას რომ ეძახდნენ.

მაღალი, ტანლატანა და გრძელყელა კაცი იყო ფთხენელა, სიმღერის დროს ყელი კიდევ უფრო უგრძელდებოდა და ჟირაფს ემგვანებოდა, რაკიღა ძალიან პატარა თავი ჰქონდა.

— ეგეც ჩვენსავით ჩვეულებრივი კაცი ყოფილა, — წაეშველა მეორე სანდრო, ბეგოს ბიჭი, „ეგე-ოგას“ სიმღერაში ბადალი რომ არა ჰყავდა. არც ის იყო ფთხენელაზე ნაკლები სიმაღლისა და მასავით პირხმელობა და ტანხმელობა ეთქმოდა. გარდა სიმღერისა, ორივენი კარგად ცეკვავდნენ და ჭიდაობდნენ. ფთხენელას კისრული და გარესარმა იყო განთქმული, ბეგოს ბიჭისა კი თეძოული და შუაკავური.

ფთხენელა პირველი მისწვდა თავის წინ გრძლად გაწოლილ დედასპურს, შუაზე გაწყვიტა და ნახევარი ჯიღაურს გადააწოდა.

— თავი მამიკვდეს, თუ ეს საგარეჯოული პური არ იყოს. აქ საიდან გაჩნდა, კაცო?!

— თქვენთვისაა, ბიძია. ჩემთვისაც ჩვენებური ჭადი და ჭყინტი ყველი მოუტანიათ, — გაიცინა კირილე პაჭკორიამ.

ჯიღაურმა მცირეოდენი წაატეხა პურს და უკანვე დადო, მერე იმ წატეხილს ორი თითით კანი შემოაციცქნა და ლოღნა დაუწყო.

— შაატანე რამე, გუთანზე ხო არა ხარ. ვერა ხედავ, როგორი სუფრაა, — შენიშნა ფთხენელამ და ყველანი გააცინა. გამხიარულდნენ და საჭმელად აფუსფუსდნენ.

მიხა ჯიღაურს ხმა არ ამოუღია.

— აჰა, გადაიღე! აქ ამდენი საჭმელია და შენ კიდე ცარიელა პურსა სჭამ, — ქათმის გულისპირი შესთავაზა ფთხენელამ, იცოდა, რომ ძალიან უყვარდა.

— უფრთხილდება, მასპინძელი არ გავაღარიბოო, — გაიხუმრა შაქრო მჭედლიშვილმა, გოლაანთ შაქროს რომ ეძახდნენ და მუდამ თავჩახრით დადიოდა. ათასში ერთხელ აიღებდა თავს, ერთს იტყოდა და ყველას გააცინებდა. თვითონ კი ისეთი დამშვიდებული სახე ჰქონდა, თითქოს არასოდეს გასცინებიაო.

— მაგრე კი არ არი, მიჩვეული არ არი ნაირ-ნაირ კერძებს. არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო.

ახლაღა გაეღიმა ჯიღაურს, სხვებმაც ხმამაღლა გაიცინეს და უფრო აფუსფუსდნენ.

ჭიქები პირველად სუფრის თავში შეივსო, სადაც კირილე პაჭკორია და ავქსენტი მეგრელიძე ისხდნენ სხვა საპატივსაცემო ხალხთან ერთად.

— ეგე, მაგრე, ეგე, ჩამიშრა ყელი, — გაუხარდა ფთხენელას და თვითონაც შეავსო ჭიქა. — მანავის მწვანეა, თავი არ მამიკვდება!

— გამოცანა გეკუთვნის!

— ალბათ სტალინს ძაან უყვარს?

— სტალინს ხვანჭკარა უყვარსო.

— ჩუმათ, არ გაიგოს, — შენიშნა ავქსენტი მეგრელიძემ და ჭიქით ხელში ფეხზე წამოდგა.

ყველანი გაჩუმდნენ.

თამადამ სტალინი ადღეგრძელა და ჭიქა ბოლომდე გამოცალა. სხვებმაც მიბაძეს. ფეხზე წამოდგნენ, ადღეგრძელეს და ბოლომდე დაცალეს.

მეორე ჭიქით ხელოვნება ადღეგრძელეს. ამ სადღეგრძელოს „კრიმანჭული“ მოჰყვა.

ყველანი მღეროდნენ. მეორე ოთახიდან ხმაური აღარ ისმოდა. ეტყობოდა, ამათ სიმღერას უსმენდნენ.

— მიხა იმღერებს, — თქვა ვიღაცამ და ნათქვამი ერთხმად მოუწონეს.

პატარა კაცი შთაბეჭდილებებისგან ჯერაც ვერ გამოფხიზლებულიყო. მაინც სადა ზის ახლა? სტალინის სახლში, მის აგარაკზე? არ სჯერა, სად დიდი სტალინი და სად პატარა მიხა ჯიღაური? თუმცა, როგორც დაინახა, ტანით ერთმანეთს არ წაუვლენ. ღმერთო, გამოაფხიზლე და მიახვედრე, რატომ ეძახიან იმ კაცს დიდსა და ამას კი პატარას? ცხადში ხდება ყოველივე ეს თუ სიზმარია? მაგრამ სიზმარი როგორ უნდა იყოს, როცა ხედავს. მისი სოფლელებიც რომ გვერდით უსხედან? იქნებ ეგეც ეჩვენება?

მიხამ გაშლილი ხელი ფთხენელას მუხლს დაუტყაპუნა და ხმამაღლა შესძახა:

— გაუმარჯოს!

— ვქეიფობთ, — უპასუხა ფთხენელამ და შუბლზე აკოცა მიხას.

ყველაფერი ცხადი იყო. გრიგოლ ჩხიკვაძე წამოდგა. რიყო და სთხოვდა, იმღერეო.

იმღერებს, რატომაც არ იმღერებს. მიხა წელში გასწორდა, სკამის საზურგეს გადაეყრდნო და „ბერი კაცი ვარ“ წამოიწყო, მისთვის ყველაზე უსაყვარლესი სიმღერა. ყველანი მოიხიბლნენ და ისევე გაქვავდნენ, ვინც როგორ იჯდა. ასეთი გრძნობიო არასოდეს უმღერია ამ პატარა კაცს. ხმა ისე კაკანებდა, ყველას ტანთ ბურძგლავდა და გულს უყუჩებდა.

შუა კარში სტალინი გამოჩნდა. ყველანი წამოიშალნენ, მიხა ჯიღაურის გარდა (ის ვერ ხედავდა, სკამის საზურგეს გადაყრდნობილი, თვალმინაბული და სიმღერის აზარტში შესული). სტალინმა ხელით ანიშნა, დასხედითო. კუთხესთან მდგარი ზედმეტი სკამი თვითონვე წამოიღო, მიხას მიუჯდა, უალიონიანი ხელი განზე გასწია და სიმღერას აჰყვა.

ჩათავდა სიმღერა და კვლავ უჩვეულო დუმილი გამეფდა. ნადიმი და ლხინის სუფრა კი არა, თითქოს ძეხორციელიც არ ჭაჭანებსო მთელ შენობაში.

— „გაფრინდი, შავო მერცხალო“, ვიმღეროთ, — სთხოვა სტალინმა მიხა ჯიღაურს და ცარიელი ჩიბუხი სარკმლის რაფაზე დადო, გამჭვირვალე ფარდის იქით.

მარჯვენა ხელით მიხა ჯიღაურის სკამის საზურგეს ჩამოყრდნობილმა სტალინმა, მარცხენა ფთხენელას გადახვია და ყრუ ხმით თქვა:

— დავიწყო თუ დაიწყებ?

— როგორც გენებოთ. გინდა, პირველი თქვით და გინდა, მეორე.

სიმღერის ჯერ ნაზმა და შემდეგ კი მოგუგუნე ჰანგმა ძარღვებში გაიარა. შუა ოთახში სუფრიდან ხალხი აიშალა, ღია კარში რამდენიმე თავი გამოჩნდა. ყველანი ცდილობდნენ, ახლოს დაენახათ იმ საოცარი ქვეყნის ხალხი, რომელმაც ეს ჯადოსნური ჰანგი შექმნა.

და როცა სიმღერა ჩათავდა, ჯერ ამოსუნთქვაც ვერ მოესწროთ, კირილე პაჭკორია რომ სუფრიდან წამოიჭრა და გულწრფელად განაცხადა:

— რა ნიჭი დავკარგეთ! — ერთბაშად მიხვდა, ზედმეტი მომივიდაო და, მაშინვე გამოასწორა: — რამხელა პოეტი და მომღერალი უნდა გვყოლოდა?!

რუსებმა ვერ გაიგეს, რა ითქვა და ტაში დაუკრეს. ქართველები კი ენაჩავარდნილები ისხდნენ. ეს რა წამოსცდა ბატონ კირილეს? ეს რამოდენა შეურაცხყოფა მიაყენა სტა-

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. ბიბლიოთ.

ლინს. სხვაფრივ წინდახედული კაცია და ასეთი შეცდომა როგორ მოუვიდა.

სტალინი წამოდგა, რაფაზე დადებული ჩიბუხი აიღო და ოთახში გაიარა. იფიქრეს, ახლა განრისხდებაო, მაგრამ არ განრისხებულა. ჩექმებში ჩატანებული შარვლის ჯიბიდან სათამბაქოე ამოიღო და ჩიბუხი დატენა. ყველამ შენიშნა, ცალ ხელს რომ კარგად ვერ ხმარობდა და დატენვა უჭირდა. ზოგმა იფიქრა, ეტყობა ნათქვამი ეწყინა და ჩიბუხის გამართვა ამიტომ უძნელდებაო. ისევ პაჭკორიას შეხედეს საყვედურიანი თვალით და უზომოდ შეებრალათ, რაკიღა ისიც დიდად შეცბუნებული და გამტანარებული იყო.

როცა სტალინმა ჩიბუხი გააწყო, შარვლის ჯიბეზე კვლავ დაირტყა ხელი, ასანთი ამოიღო და მოუკიდა. დამწვარი ასანთი კოლოფშივე ჩააბრუნა ზურგიდან, მერე ჩიბუხი გააბოლა და ისევ ჯიღაურს მიუბრუნდა:

— „საჭიდაო“ ხომ არ ვიმღეროთ გარეკახურად?

— აბა, აქ ვინ იჭიდავებს, — გაიცინა ჯიღაურმა.

— მე ვიჭიდავებ, თუ ფანდს შემირჩევთ, — გაიღიმა სტალინმა.

— აქ ბევრნი ჭიდაობენ; მაგრამ შენი ფანდი დედამიწაზე არ იქნება.

სტალინმა გულიანად გაიცინა და სხვებსაც მოეწონათ მარჯვედ ნათქვამი.

მერე ისევ გაიარ-გამოიარა სტალინმა და ისევ ჯიღაურთან შეჩერდა. იფიქრეს, ახლა კი გაუწყრება პაჭკორიასო, მაგრამ მოულოდნელად სულ სხვა შეკითხვა დაუსვა მიხას:

— ცხრაას შვიდ წელში თუ დასწრებიხარ კავთობას?

— რაც ხნის კაცი ვარ, კავთობა არ გამიცდენია. ჩემს სიმღერაზე ჭიდაობენ ბიჭები.

სულგანაბულნი იცდიდნენ, რას იტყვისო. ან რაში დასჭირდა სტალინს მაშინდელი კავთობის გახსენებაო.

და როცა სტალინი აციმციმებული თვალებით მიხას სკამს კიდევ უფრო მიუახლოვდა, პატარა კაცი ფეხზე წამოიჭრა, ორივე მუშტი მკერდზე მიიბრაგუნა და წამოიძახა:

— მაშ, შენა ხარ ის ბიჭი?!

— რომელი ბიჭი? — უფრო თავისუფლად გაიღიმა სტალინმა და დამსწრეთაც შვებით ამოისუნთქეს, სხვა ამბებმა გაიტაცა და პაჭკორიასთან გაწყრომა დაავიწყდაო.

— ერთი ხმა მაკლდა, — მიუბრუნდა ჯიღაური თავის მომღერლებს. — მაშინ თქვენ ყველანი თითისიგრძე ბალღები იქნებოდით... ჰოდა, სიმღერა კარგად ვერ გამამდიოდა. უცებ გავიხედე და ჩემს ფეხებთან, მწვანიანზე ვიღაც ბიჭი წამოწოლილიყო და ისეთი ბანი მოგვცა, რომ თქვენი მოწონებულისა. ის ხმა ჯერ ისევ ყურში მიდგა. წელან რომ წამიწყო... ვაახ, შენ გენაცვალე.

სტალინს გაუხარდა, დიდი ხნის ამბავი ასე ზუსტად რომ გაიხსენა ახლა უკვე ხანდაზმულმა კაცმა. ჩიბუხი განზე გასწია და ჯიღაურს შუბლზე აკოცა.

— იქ რა გინდოდა, კაცო? ან საიდან გაჩნდი და ან როგორ გაქრი? ვეღარაფერი გავიგე.

სტალინმა ისევ გაიარ-გამოიარა და მერე უპასუხა:

— მეფის ოხრანკას ვემალებოდი და ერთბაშად იშიტომ გავქრი. ჟანდარმები იქაც დადიოდნენ. მაინც დამიჭირეს და ეს ხელი მაშინდელი საჩუქარია, — დაანახვა ჯიღაურს მოღუნული და თითქოს დამოკლებული ხელი.

— იმ სახეძაღლებს ვერ უყურებ შენა! — დაინანა პატარა კაცმა და მისი სინანული სხვებსაც გადაედო.

სტალინი შუაოთახისკენ გაემართა, სადაც წელანვე მიეფარნენ მათ მოსასმენად გამოსული თუ კართან მომდგარი სტუმრები. ჩიბუხი ერთხელ კიდევ გააბოლა და ღიმილით მოაბრუნა თავი:

— რაც შეეხება ნიჭს, ჩემი ვარაუდით, ქვეყნის მართვასაც ნიჭი სჭირდება.

კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა და ისევ შემობრუნდა:

— სხვათა შორის, ქართველი მეფეები, ყველანი პოეტები და მომღერლები იყვნენ.

მეორე წელიწადს, როცა საბჭოთა ხალხების ლიტერატურისა და ხელოვნების ფესტივალი იყო, სტალინმა მიხა ჯიღაურის გუნდი მოიკითხა, მაგრამ ბერიამ მოახსენა, თქვენი მოკვლა ჰქონდათ განზრახული და ყველანი დავაპატიმრეთო.

სტალინმა კარგად იცოდა, მიხა როგორი „მკვლელიც“ იყო და დიდად იწყინა. სწორედ მაშინ უთქვამს:

— დაუყოვნებლივ გაათავისუფლეთო!

როცა პატარა კაცმა გუნდის წევრები ჩამოთვალა, რათა უკლებლად გაეთავისუფლებინათ ყველანი, ჩამოთვლაში შაქრო მჭედლიშვილი დაავიწყდა — გოლას ბიჭი... იმ საწყალმა ათი წელი ლესა ციხეში ყოვლად უაზროდ და უდანაშაულოდ...



ILIA ILFI, EVGENI PETROVI

მხატვარი თენგიზ სამსონაძე

გრაფი სრედიზემსკი

ჭოხუცი გრაფი სულს ღაფავდა. იგი ვიწრო, ჭუჭყიან ტახტზე იწვა, პატარა, გამხდარი თავი წამოეწია და ზიზღით იყურებოდა ფანჯარაში. ფანჯრის პირდაპირ მწვანე, გულქანდასავით ლამაზი რტო თრთოდა. ეზოში ბავშვები გნიასობდნენ. მოპირდაპირე სახლის მესერზე კი ყოფილი გრაფი სრედიზემსკი ტრაფარეტით მოხატულ უტილნედლეულის მესვეურთა ლოზუნგს მისჩერებოდა: „როცა სტუმრად ხარ, სუფრასთან ჯდები, არ დაგავიწყდეს აკრიფო ძვლები“. ეს, უკვე კარგახანია ყელში ამოსული ლოზუნგი, ახლა თითქოს დამცინავადაც კი ეღერდა. ყოფილმა გრაფმა ზურგი აქცია ფანჯარას და ავად მიაშტერდა დახეთქილ ჭერს.

როგორ არა ჰგავდა სრედიზემსკის ოთახი გრაფისას! კედლებზე არ ეკიდა მოარის კამზოლებში გამოწყობილი ეკატერინესეული ფალავნების პორტრეტები. ვერც ჩვეულებრივ მრგვალ თათრულ ფარებს ნახავდით აქ. წვრილფეხა ავეჯიც არაფრით ჰგავდა გვაროვნულს. პარკეტიც გაუპრიალებელი იყო და არაფერს ირეკლავდა.

კარგი იქნებოდა. სიკვდილის წინ გრაფს თავისი წინაპრები გაეხსენებინა, რომელთა შორისაც იყვნენ ცნობილი მეომრები, დიდი სახელმწიფო მოაზროვნენი და ერთი ესპანეთს წარგზავნილი დესპანიც კი. ეფიქრა ღმერთზეც, რადგან გრაფი მორწმუნე გახლდათ და კეთილსინდისიერად დაიარებოდა ეკლესიაში. მაგრამ ნაცვლად ამისა, გრაფის ფიქრები სულელური საყოფაცხოვრებო წვრილმანებისაკენ იყო მიმართული.

— ანტისანიტარულ პირობებში ვკვდები, — ჭირვეულად ბუზღუნებდა იგი. — აქამდე ვერ მოახერხეს ჭერის შეთეთრება.

და თითქოს განგებ, კვლავ გაახსენდა გულსაკლავი შემთხვევა. 1910 წელს, როცა ის ჯერ კიდევ არ იყო ნაგრაფალი და, როცა ყოველივე ნამყო აწმყოდ ითვლებოდა, მან 600 ფრანკად ადგილი იყიდა სასაფლაოზე ნიცაში. იქ, ელექტრონის მწვანე შუქზე, სურდა საუკუნო სასუფეველის დამკვიდრება გრაფ სრედიზემსკის. ამ ცოტა ხნის წინათ კი წერილი გაგზავნა ნიცაში. უარს აცხადებდა ადგილზე და ფულის დაბრუნებას ითხოვდა, მაგრამ სასაფლაოს მმართველობამ თავაზიანი უარი შემოუთვალა. წერილში ნათქვამი იყო, რომ საფლავისათვის გადახდილ თანხას არ დაუბრუნებდნენ, მაგრამ თუ მუსიე სრედიზემსკის ნეშტი და აგრეთვე საბუთები, რომლებიც ამტკიცებდნენ მუსიეს უფლებებს სასაფლაოს ნაკვეთზე, გადაიგზავნებოდა ნიცაში, მას აუცილებლად დაკრძალავდნენ ნიცის სასაფლაოზე. ამასთანავე, დასაფლავების ხარჯები, რა თქმა უნდა, მთლიანად ეკისრებოდა მუსიეს.

გრაფს ჰაპიროსის ფარდულიდან ძალზე მცირე შემოსავალი ჰქონდა, ამიტომ დიდ იმედებს ამყარებდა ნიციდან გამოგზავნილ ფულზე. სასაფლაოს მმართველობასთან მიმოწერამ დიდად ააფორიაქა გრაფი და დამღუპველად იმოქმედა მის ორგანიზმზე. იმ საძაგელი წერილის მიღების შემდეგ, რომელშიც ასე დამშვიდებით იყო ნათქვამი გრაფის ნეშტის გადაგზავნაზე, იგი სრულიად მისუსტდა და თითქმის აღარც კი დგებოდა თავისი ტახტიდან.

მას არ სწამდა უბნის ექიმის მანუგეშებელი სიტყვებისა, ემზადებოდა სიცოცხლესთან ანგარიშის გასასწორებლად. ეს კი, ეძნელებოდა ამქვეყნიდან წასვლა, როგორც პატარა ბიჭს ეძნელება ბურთის თამაშის მიტოვება და სამეცადინოდ დაჯდომა.

გრაფს უზურში სამი სტუდენტის წინააღმდეგ მიმართული ერთი დიდი საშარო საქმე ჰქონდა. ესენი ზემო სართულის ბინადარნი — შკარლატო, პრუჟანსკი და ტალმუდოვსკი გახლდნენ.

გრაფსა და ახალგაზრდებს შორის შუღლი ჩვეულებრივად ჩამოვარდა. საბინაო კედლის გაზეთში სრედიზემსკის გრძელყურა და ტანმოკლე აჭრელებული კარიკატურა გაჩნდა. სურათქვეშ ლექსად იყო მიწერილი:

ჩვენს ბინაში, რა თქმა უნდა,
ყველასა აქვს ადგილი,
მაგრამ არის უცხო ერთი
კლასობრივი ელემენტი...
გაკვირდებით, გაგიწყდებათ
მოთმინების ძაფი,
როს შეიტყობთ, სრედიზემსკი
არის ძველი გრაფი!

ლექსს ხელს აწერდა „სამეული“.

სრედიზემსკის თავზარი დაეცა. პასუხის წერად დაჯდა და გადაწყვიტა, თავის მხრივ, ლექსადვე გადაეხადა სამაგიერო. მაგრამ მას არ გააჩნდა ლექსის წერის ისეთი მაღალი ტექნიკა, როგორსაც მისი მტრები ფლობდნენ. ამას გარდა, შკარლატოს, პრუჟანსკისა და ტალმუდოვსკის სტუმრები ეწვივნენ. აკვნესებდნენ გიტარას, მღეროდნენ, თან გაცხარებით კამათობდნენ. დროდადრო ზემოდან შეძახილები აღწევდა: „ენგელსი მას ლანძღავს, მაგრამ აი, პლეხანოვი...“ სრედიზემსკიმ მხოლოდ პირველ სტრიქონს მოაბა თავი: „გრაფი რომ ვიყავ, არა ვმალავდი...“ პროზით კი ვერას გახდებოდა, ვერაფერს დაამტკიცებდა. გამოხდომა უპასუხოდ დარჩა. საქმე თავისთავად მიფუჩეჩდა. მაგრამ სრედიზემსკის წყენამ როდი გაუარა. თვალდახუჭულს ეზმანებოდა, როგორ ინთებოდა ჩაბნელებულ კედელზე ბალთაზარისეული „მენე, ტეკელ, ფარეს“-ის მსგავსი სამი ფოსფორული სიტყვა:

შკარლატო, პრუჟანსკი
ტალმუდოვსკი

საღამოთი ვიწრო შესახვევში ისე ჩამობნელდა და დათბა, როგორც ერთმანეთთან მიტანილ ხელისგულებს შორის.

ტახტის ზამბარები ჭრიალებდნენ. შფოთიანად ეთხოვებოდა სიცოცხლეს გრაფი. ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ ჰქონდა შედგენილი ყმაწვილკაცებზე შურისძიების დაწვრილებითი გეგმა. ეს იყო ჩვეულებრივ საბინაო სისაძაგლეთა მთელი არსენალი: საჩივარი სახლმმართველობაში, რომელში-

აც მიუთითებდა, რომ შკარლატო, პრუ-ჟანსკი და ტალმუდოვსკი საცხოვრებელს აოხრებდნენ; ანონიმური წერილი ინსტიტუტის კანცელარიაში „განათლების მეგობრის“ ხელმოწერით, რომელიც სამ სტუდენტს ჩუბაროვშჩინასა* და ჩხუბისთავობაში სდებდა ბრალს; საიდუმლო პატაკი მილიციაში მასზე, რომ სტუდენტთა ოთახში ჩაუწერელი საეჭვო მოქალაქენი ათევდნენ ღამეს. გრაფი თანამედროვე მოვლენათა კურსში გახლდათ, ამიტომ მის გეგმაში შედიოდა კიდევ ერთი უსახელო წერილი უნივერსიტეტის უჯრედისადმი. წერილში გადაკვრით იყო მინიშნებული, რომ პარტიის წევრ ტალმუდოვსკის ბინაზე ხშირად იკრიბებიან „მარცხენა ფრაზას“ ამოფარებული მემარჯვენე ელემენტები.

და ყოველივე ეს ვერ განახორციელა, სულთამხუთავმა არ დააცალა. თვალს დახუჭავდა თუ არა, გრძნობდა მის სიახლოვეს. ის ამოფარებოდა მტვრიან სლავურ ქარადას, ხელთ მისტიკურად მოელვარე ცელი ეპყრა. შეიძლებოდა მომხდარიყო შემზარავი რამ: ისე მომკვდარიყო, რომ შური ვერ ეძია. არადა შეურაცხყოფა აუცილებლად უნდა ჩამორეცხილიყო. ჩვეულებრივ, სრედიზემსკის წინაპრები ყოველგვარ შეურაცხყოფას სისხლით ჩამორეცხდნენ ხოლმე. მაგრამ გრაფს არ შეეძლო ქვეყანა შკარლატოს, პრუჟანსკისა და ტალმუდოვსკის ახალგაზრდა ცხელი სისხლით მოერწყო. შეიცვალა ეკონომიური წანამძღვრები. დაბეზღებათა რთული სისტემის ამოქმედებისათვის კი დრო აღარ რჩებოდა, რამეთუ გრაფს, ეტყობოდა, სულ რამდენიმე საათის სიცოცხლე-ღა დარჩენოდა.

საჭირო იყო რაიმე ძლიერი და სწრაფი შურისძიების მოფიქრება.

საღამოთი, როცა ბადრი ბერძნული მთვარე მიდამოს დაჰქაფთქათებდა, სტუდენტმა ტალმუდოვსკიმ ეზოში შეაბიჯა. ვიღაცის ძახილი შემოესმა. ტალმუდოვსკი შეედგა და მაღლა აიხედა. გრაფის ოთახის ფანჯრიდან გაძვალტყავებული ხელი უხმობდა.

— მე მეძახდით? — გაიკვირვა სტუდენტმა.

ხელი კვლავ უხმობდა სტუდენტს. სრედიზემსკიმ გამყინავი ფარშევანგის ხმით ჩამოსძახა:

— შემოდით ჩემთან, გემუდარებით. აუცილებლად შემოდით.

ტალმუდოვსკიმ მხრები აიჩეჩა. წუთსაც არ გაევლო, რომ სრედიზემსკის ფერხთით იჯდა ტახტზე. პატარა ნათურის მკრთალი შუქი ბრინჯაოსფრად იფრქვეოდა ოთახში.

— ამხანაგო ტალმუდოვსკი, — წარმოთქვა გრაფმა, — ვგრძნობ, სიკვდილი მიახლოვდება. ჩემი დღეები დათვლილია.

— აბა რას ამბობთ! — შეწუხდა კეთილი ტალმუდოვსკი, — თქვენ კიდევ დიდხანს იცოცხლებთ.

— ნუ მამშვიდებთ. ჩემი სიკვდილით მე იმ დანაშაულს გამოვისყიდი, რომელიც ერთ დროს თქვენს მიმართ ჩავიდინე.

— ჩემს მიმართ?

— ჰო, შვილო ჩემო! — ამოიკვნესა სრედიზემსკიმ კულტის მსახურის ხმით, — თქვენს მიმართ. დიდი ცოდვა მაწევს კისერზე. ოცი წელი ვიტანჯებოდი და საკუთარ თავს ვებრძოდი, რომ არ გამემჟღავნებინა საიდუმლო თქვენი დაბადებისა. ახლა კი, სიკვდილის წინ მინდა ყველაფერი იცოდეთ. თქვენ ტალმუდოვსკი არა ხართ.

— როგორ თუ ტალმუდოვსკი არა ვარ? — წამოიძახა სტუდენტმა. — ნამდვილად ტალმუდოვსკი ვარ.

— არა, თქვენ ნამდვილად არა ხართ ტალმუდოვსკი. თქვენ ხართ სრედიზემსკი, გრაფი სრედიზემსკი. შვილი ხართ ჩემი. რა თქმა უნდა, შეგიძლიათ არ დამიჯეროთ, მაგრამ ეს სრული სიმართლეა. სიკვდილის წინ არ სტყუიან. თქვენ ჩემი შვილი ხართ, მე კი თქვენი ბედკრული მამა. ახლო მოიწოთ, უნდა მოგეხვიოთ.

მაგრამ ამ სიტყვებს საპასუხო ნაზი გრძნობების მოზღვავება არ მოჰყოლია. ტალმუდოსკი ზე წამოიჭრა და მისი მუხლებიდან პლეხანოვის სქელმა ტომმა იატაკზე ზღართანი მოადინა.

— რა სასულელია! — შესძახა მან. — მე ტალმუდოვსკი ვარ. ჩემი მშობლები ოცდაათი წელია ტირასპოლში ცხოვრობენ. სწორედ გასულ კვირას მივიღე წერილი მამაჩემისაგან.

— იგი მამათქვენი არ არის, — მშვიდად თქვა მოხუცმა. — მამათქვენი აგერ ტახტზე წევს მომაკვდავი. ეს იყო ამ ოცდაორი წლის წინათ. მე დედათქვენს დნესტრის ნაპირზე ლელიანში შევხვდი. ისეთი მომხიბვლელი იყო მაშინ, თქვენი დედა...

— ეშმაკმა დასწყევლოს! — წამოიძახა გრძელფეხება ტალმუდოვსკიმ და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. — რა ღორობაა!

— ჩვენი პოლკი, — განაგრძობდა შურისმაძიებელი, — მისი უდიდებულესობის, დანიის ხელმწიფის გვარდიის პოლკი, დიდ მანევრებში მონაწილეობდა. მე იმ დროს ბევრს ვცოდავდი. მეტსახელიც შემარქვეს — პეტერჰოფის დონ-ჟუანი. მაშინ შევაცდინე დედათქვენი და მოვატყუე ტალმუდოვსკი, ახლა თქვენი მამა რომ გგონიათ.

— ეს შეუძლებელია!

— მე მესმის, შვილო ჩემო, თქვენი მღელვარება ბუნებრივია. გრაფისათვის, თავად მოგეხსენებათ, რა ძნელია ახლა ცხოვრება. პარტიიდან, თქმა არ უნდა, გაგრიცხავენ! გამაგრდით, შვილო ჩემო! გული მიგრძნობს, უნივერსიტეტიდანაც გამოგაპანღურებენ. სახლში კი თქვენზედაც შეთხზავენ ლექსებს, როგორც ჩემზე შეთხზეს: „როს შეიტყობთ, ტალმუდოვსკი არის ძველი გრაფი!“ მაგრამ მე ვცნობ თქვენში, ჩემო შვილიკო, გრაფ სრედიზემსკების კეთილშობილ გულს, კეთილშობილ, მამაც და ღვთისმოშიშ გულს ჩვენი გვარისა, ვისი უკანასკნელი ნაშიერიც თქვენა ხართ. სრედიზემსკებს ყოველთვის სჯეროდათ ღმერთისა. თქვენ თუ დადიხართ ეკლესიაში, შვილო ჩემო?

ტალმუდოვსკიმ ხელი აიქნია. „ჯანდაბაში!“ შეჰღრიალა და კარში გაიჭრა. მისმა ჩრდილმა მოჩვენებასავით გადაჭრა ეზო და მოსახვევში გაუჩინარდა. მოხუცმა გრაფმა ჩაიცინა და ბნელში კარადის უკან გაიპარა მზერა. სულთამხუთავი უკვე აღარ აძრწუნებდა, იგი კეთილად უქნევდა ცელს და მაღვიძარას აწკრიალებდა. კედელზე კვლავ აინთო ფოსფორული სიტყვები, მაგრამ სიტყვა „ტალმუდოვსკი“ აღარსად ჩანდა. მომწვანოდ კიაფობდა ორი გვარი:

შკარლატო, პრუჟანსკი

ამ დროს ეზოში მხიარული სიმღერა გაისმა:

არ გვაშინებს გრიგალები,
მოვლილი გვაქვს შორი ზღვები,
შორი ზღვები, შორი ზღვები...

ეს მხიარული კომკავშირელი პრუჟანსკი ბრუნდებოდა სამდინარო ჯარნავოლიდან. მთვარის შუქზე ელავდა მისი ვაწრო თეთრი შარვალი. პრუჟანსკი ჩქარობდა, რადგან სახლში ერთი კოლოფი დამწნილებული ფარგა ეგულებოდა.

— ამხანაგო პრუჟანსკი! — დაუძახა ფანჯრიდან მამალივით თავგამოყოფილმა გრაფმა. — ჰეი, ამხანაგო პრუჟანსკი!

— შენა ხარ, ვერკა? — ზევით აიხედა კომკავშირელმა.

— არა, ეს მე ვარ, სრედიზემსკი, თქვენთან საქმე მაქვს. შემოიარეთ ერთი წუთით.

ხუთი წუთის შემდეგ შიგ გულში დაკოდილი პრუჟანსკი ბრინჯაოსფერ ოთახში დაბორიალობდა. ისე წრიალებდა, თითქოს ფუტკარი დახვეოდეს.

მოხუც გრაფს კი წაგრძელებული, ქისასავით რბილი ნიკაპი ხელით ეჭირა და წყნარად უბნობდა:

— ბევრი ცოდვა მაქვს ჩადენილი, შვილო ჩემო. იმ დროს მისი უდიდებულესობის, დანიის ხელმწიფის გვარდიის პოლკში ვმსახურობდი ოფიცრად. ჩვენი პოლკი დიდ მანევრებში მონაწილეობდა ვიტებსკის მახლობლად. სწორედ იქ გადამეყარა დედათქვენი. მართალია, ებრაელი იყო, მაგრამ მაინც მშვენიერი ქალი გახლდათ. რაღა ბევრი გავაგრძელო და ამ ქალს შევუყვარდი. ცხრა თვის შემდეგ კი თერძ პრუჟანსკის ღარიბულ ჭერქვეშ პაწაწინა არსება ამოძრავდა. ეს არსება თქვენ იყავით, პრუჟანსკი.

— რატომ გგონიათ, რომ ის პაწაწინა არსება მაინცდამაინც მე ვიყავი? — იწირპლებოდა პრუჟანსკი. — ესე იგი, მე მინდა გკითხოთ, რატომ გგონიათ, რომ იმ პაწაწინა არსების მამა მაინცდამაინც თქვენ იყავით?

— იმ კურთხეულ დედაკაცს მთელი არსებით ვუყვარდი, — თვითკმაყოფილებით წარმოთქვა მომაკვდავმა. — წმინდა სული იყო, თუმცა ებრაელი კი გახლდათ. თავადვე გამიტყდა, თუ ვინ იყო ბავშვის ნამდვილი მამა. მამა მე ვარ. ბავშვი კი — თქვენ. თქვენ ჩემი შვილი ხართ, იაშა. თქვენ პრუჟანსკი კი არა, სრედიზემსკი ხართ, — გრაფი! მე კი, ცოდვილს, პოლკში მეტსახელიც მქონდა — ორანიენბაუმის დონ-ჟუანი. მომეხვიეთ, ახალგაზრდა გრაფო, ჩვენი წარმავალი საგვარეულოს უკანასკნელო ნაშიერო!

თავზარდაცემული პრუჟანსკი ანგარიშმიუცემლად ჩაეხვია ბებერ გაიძვერას. მერმე უცებ გამოერკვა და ნაღვლიანად თქვა:

— აჰ, მოქალაქე სრედიზემსკი, მოქალაქე სრედიზემსკი, რატომ საფლავში არ ჩაიტანეთ ეს საიდუმლო? რა მეშველება ახლა მე?

ბებერი გრაფი თანაგრძნობით შესცქეროდა თავის მეორე და ერთადერთ შვილს. თან ახველებდა და ჭკუას არიგებდა:

— საბრალო კეთილშობილო ბავშვო! კიდევ რამდენი წყენის გადატანა მოგიწევთ! კომკავშირიდან, თქმა არ უნდა, კინწისკვრით გაგაგდებენ. ვიმედოვნებ, თვითონაც არ მოისურვებთ ჩვენი კლასისადმი მტრულად განწყობილ კორპორაციაში დარჩენას. უმაღლესიდან მიგაბრძანებენ. კაცმა რომ თქვას, რაში გჭირდებათ საბჭოური უმაღლესი? გრაფი სრედიზემსკები

* ჩუბაროველები — ბანდიტების ხროვა, რომელიც 1926 წელს ლენინგრადში, ჩუბაროვის შესახვევში მოქმედებდა.

ყოველთვის ლიცეუმებში ღებულობდნენ განათლებას. მომეხვიე, იაშენკა, კიდევ ერთხელ, ვერა ხედავ, ამ ტახტზე რომ ვკვდები?

— არა, ეს შეუძლებელია! — სასოწარკვეთით წარმოთქვა პრუჟანსკიმ.

— რას იზამ, ფაქტია, — მშრალად შეეპასუხა სრედიზემსკი. — მომაკვდავები არა სტყუიან.

— მე გრაფი არა ვარ, — თავს იცავდა კომკავშირელი.

— კი, ხართ.

— ეს თქვენა ხართ გრაფი.

— ჩვენ ორივენი გრაფები ვართ, — დაასკვნა სრედიზემსკიმ. — ჩემო საბრალო შვილო, გული მიგრძნობს, თქვენზედაც დაწერენ ლექსად: „როს გაიგებთ, რომ პრუჟანსკი არის ძველი გრაფი!“

პრუჟანსკი ბარბაცით გავიდა ოთახიდან, მიბარბაცებდა და თან ბუტბუტებდა: „ესე იგი, გრაფი ვარ. ვაი ჩემს თავს!“

მისი ცეცხლოვანი გვარიც კედლიდან გაქრა და მხოლოდ ერთი, საფლავის წარწერასავით საშინელი სიტყვა-ღა ეკიდა ჰაერში:

შკარლატო

მოხუცი გრაფი მომაკვდავისათვის გასაოცარი ენერგიით მუშაობდა. მან თავისთან იხმო უპარტიო შკარლატო და გამოუტყდა, რომ იგი, გრაფი, დიდი ცოდვილია. ცხადი იყო, სტუდენტი გრაფ სრედიზემსკის უკანასკნელი შთამომავალი და ამასთან, რასაკვირველია, გრაფიც გახლდათ.

— ეს იყო თბილისში, — უკვე დაღლილი ხმით ჩმახავდა სრედიზემსკი. — გვარდიაში ვმსახურობდი ოფიცრად...

სიხარულისგან გაოგნებული შკარლატო ქუჩაში გავარდა. ყურებში ზარების რეკვა ესმოდა და ეჩვენებოდა, რომ გრძელი ხმლის ბოლო ტროტუარზე დასთრევდა.

— ეგეც თქვენ, — ამოიხროტინა გრაფმა, — შეეშვებით ლექსების წერას.

უკანასკნელი გვარიც გაქრა კედელზე. ოთახში გრილი ნიავი შემოიჭრა. სლავური კარადის უკნიდან სულთამხუთავმა გამოაბიჯა. სრედიზემსკი აწკმუტუნდა. სიკვდილმა ცელი დაჭრა და გრაფი გარდაიცვალა, გალურჯებულ ტუჩებზე ბედნიერი ღიმილი დასთამაშებდა.

იმ ღამეს სამ სტუდენტთაგან არცერთს აზრადაც არ მოსვლია სახლში ღამის გათევა. სამივენი ქალაქის სხვადასხვა უბნებში იისფერ ქუჩებში დახეტიალობდნენ და თავიანთი შესახედაობით შიშის ზარს სცემდნენ ღამის მეეტლეებს. სამთავეს სხვადასხვა სადარდებელი გასჩენოდა.

დილის სამი იქნებოდა დაწყებული, ტალმუდოვსკი ტროტუარის გრანიტის კიდეზე ჩამომჯდარიყო და ჩურჩულებდა:

— მორალურად არა მაქვს უფლება ჩემი წარმოშობა უჯრედს დავუმალო. მივალ და განვაცხადებ. პრუჟანსკი და შკარლატო რაღას იტყვიან? ალბათ, აღარც მოისურვებენ ჩემთან ერთად ოთახში ცხოვრებას. განსაკუთრებით პრუჟანსკი. ისეთი ფიცხია, ალბათ ხელსაც აღარ ჩამომართმევს.

ამ დროს პრუჟანსკი, თეთრი შარვალი სულ მთლად რომ ამოთხვროდა, პუშკინის ძეგლის გარშემო დაბორიალობდა და გაცხარებით ეკამათებოდა თავის თავს:

— ბოლოსდაბოლოს, ჩემი რა ბრალია? მე მსხვერპლი ვარ ესოდენ ძირმომპალი რეჟიმის წარმომადგენლის სასიყვარულო ავანტიურისა. ტალმუდოვსკის რომ ვუამბო, ხმასაც აღარ გამცემს ალბათ. საინტერესოა, როგორ მოიქცეოდა ჩემს ადგილას ენგელსი? ვიღუპები. ენას კბილი უნდა დავაჭირო, სხვა გზა არა მაქვს. ვაი, ვაი, ვაი! შკარლატო რაღას მეტყვის? მოგვეტმასნაო, იტყვის, შემოგვიძვრაო. მართალია, უპარტიოა, მაგრამ საშინელი აქტივისტია. ეჰ, როგორ გაუკვირდება, რომ მე, პრუჟანსკი, ძველი გრაფი ვარ! არა, სამარესავით დავდუმდები!

აქტივისტი შკარლატო კი უხილავი მახვილის ჟღარუნით გაბრუებული, მხედრულად დააბიჯებდა ქუჩებში და დრო და დრო ომახიანად დასძახოდა:

— ქონება მაინც დაეტოვებინა იმ დევგმირს! მამა ამბობდა, ჩერნიგოვის გუბერნიაში მამული მაქვსო. ეჰ, რა ცუდ დროს დავიბადე. იქ ალბათ ახლა საბჭოთა მეურნეობაა. წინ! შავო ჰუსარებო, საყვირები გვიხმობენ! საინტერესოა, ფანჯრის რაფაზე შემომჯდარი თუ შევძლებდი ბოთლი რომის გამოცლას? უნდა ვცადო! თქმით კი არაფერს ვიტყვი. ტალმუდოვსკის და პრუჟანსკის შეშურდებათ და საქმეს გამიფუჭებენ. კარგი რამე კი იქნებოდა ცოლად გრაფინიას შერთვა! დილით შეხვალ ბუდუარში...

სახლში პირველმა პრუჟანსკიმ მიირბინა, აცახცახებული შეძვრა ლოგინში და ჟოლოსფერ საბანქვეშ კრენდელივით მოიკუნტა. ის-ის იყო, პრუჟანსკი გათბა, რომ კარი გაიღო და ოთახში ტალმუდოვსკიმ შემოაბიჯა. სახეზე მკვდრის ფერი ედო.

— მოიხედე, იაშკა, — მკაცრად თქვა მან, — რას იზამდი, ჩვენ სამში ერთ-ერთი გრაფის შვილი რომ ყოფილიყო?

პრუჟანსკიმ წამოიკვნესა.

„— აი, — გაიფიქრა, — იწყება.“

— თქვი, რას იზამდი? — არ ეშვებოდა ტალმუდოვსკი.

— კარგი, ერთი, — მიუგო შიშისაგან სულმთლად წამხდარმა პრუჟანსკიმ. — საიდან მოიტანე ჩვენი გრაფობა?

— მაინც, როგორ მოიქცეოდი?

— პირადად მე?

— ჰო, პირადად შენ.

— პირადად მე ყოველგვარ ურთიერთობას გავწყვეტდი მასთან.

— ხმასაც არ გასცემდი? — კვნესით აღმოხდა ტალმუდოვსკის.

— არა, არ გავცემდი, არავითარ შემთხვევაში! კი მაგრამ, რა საჭიროა ეს სულელური ლაპარაკი?

— ეს არ არის სულელური ლაპარაკი, — პირქუშად წარმოთქვა ტალმუდოვსკიმ. — ამით ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება.

„დავიღუპე, დავიღუპე“ — გაიფიქრა პრუჟანსკიმ. თან საბანქვეშ დამფრთხალი თაგვივით თრთოდა.

„რა თქმა უნდა, არცერთი აღარ გამცემს ხმას, — ფიქრობდა ტალმუდოვსკი. — პრუჟანსკი მართალია“.

მძიმედ დაეშვა მონჯღრეულ ვენურ სკამზე. კომკავშირელი საბნის ტალღებში შთანთქმულიყო. ჩამოვარდა ხანგრძლივი, ავისმომასწავებელი სიჩუმე. წინკარში ნაბიჯების ხმა გაისმა. კარები შკარლატომ შემოაღო.

მან ამრეზით მოათვალიერა ოთახი.

— ფუ, როგორ ყარს აქაურობა, ზიზღით წარმოთქვა, — ვერ გამიგია, როგორ ძლებთ აქ. არისტოკრატს ამ სოროში ნამდვილად არ ეცხოვრება.

ეს სიტყვები ორივე სტუდენტს ლახვარივით მოხვდა გულში. მოეჩვენათ, თითქოს ოთახში სფერული ელვა შემოცურდა და მსხვერპლს ირჩევდა.

— რა სჯობია მამულს, — ვერ გაიგებინ რისი თქმა უნდოდა შკარლატოს, თან გამომწვევად ათვალიერებდა ამხანაგებს. — გაყიდი და პროცენტებით პარტიას ეცხოვრებ. ველოსიპედით ისეირნებ. არა, ტალმუდოვსკი? შენ როგორ ფიქრობ, პრუჟანსკი?

— გეყოფა! — დაიყვირა ტალმუდოვსკიმ. — მიპასუხე, შკარლატო, ერთერთი ჩვენგანი რომ ფარული გრაფი აღმოჩნდეს, როგორ მოიქცევი?

აქ შკარლატოსაც შეეშინდა. სახეზე ცივმა ოფლმა დაასხა.

— რა ვქნა, ბიჭებო, — ალუღლუღდა, — ბოლოს და ბოლოს, ისეთი საშინელი არაფერია. დავუშვათ, მე გრაფი ვარ. ცოტათი რა თქმა უნდა, არასასიამოვნოა,... მაგრამ...

— დავუშვათ, მე. მაშინ? — შესძახა ტალმუდოვსკიმ.

— რა შენ?

— რა და აი... გრაფი რომ აღმოვჩნდე.

— შენ, და გრაფი? სასაცილოა.

— ჰოდა, ვარ კიდეც გრაფი, — მტკიცედ განაცხადა პარტიის წევრმა.

— გრაფი ტალმუდოვსკი?

— ტალმუდოვსკი კი არა, სრედიზემსკი! მე არაფერ შუაში ვარ, მაგრამ მაინც ეს ფაქტია.

— სტყუი! — აყვირდა შკარლატო. — სრედიზემსკი მე ვარ!

ორი შეშფოთებული გრაფი თვალებით ზომავდა ერთმანეთს. ოთახის კუთხეში ვიღაცამ შეჰკივლა. მესამე გრაფმა, ეტყობა ვეღარ გაუძლო ტანჯვას და საბნიდან გამოძვრა.

— რა ჩემი ბრალია, — გაიძახოდა იგი. — განა მე მინდოდა, გრაფის შვილიკო ვყოფილიყავი? დრომოჭმული გადმონაშთის სასიყვარულო ექსცესმა...

თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ სტუდენტები პრუჟანსკის ქვასავით მაგარ საწოლზე ჩამომსხდარიყვნენ და ხანმოკლე გრაფობის გამოცდილებას უზიარებდნენ ერთმანეთს.

— მისი უდიდებულესობის, დანიის ხელმწიფის პოლკი ახსენა?

— კი, ახსენა.

— ჩემთანაც. შენთან ახსენა, პრუჟანსკი?

— რასაკვირველია. თანაც მითხრა, დედაშენი წმინდანი იყო, თუმცა ებრაელი კი გახლდათო.

— დახე, ბებერ გაიძვერას! მეც მითხრა, დედაშენი წმინდა სულია, თუმცა ბერძენიო.

— მომეხვიეო, არ უთქვამს?

— მითხრა.

— მერე, მოეხვიე?

— არა, შენ?

— მე კი.

— შე შტერო, შენა!

მეორე დღეს სტუდენტები ფანჯრიდან ხედავდნენ, როგორ გაჰქონდათ ეზოდან ყვითელი კუბო, რომელშიც განისვენებდა ყოველივე მიწიერი, რაც შურისმაძიებელი გრაფისაგან დარჩენილიყო. ერთცხენიანი ვერცხლისფერი ბალდახინი გრიალით გაუყვა ქვაფენილს. თვინიერი ცხენის თავზე გენერლის თეთრი ჯიღა ირხეოდა. ორი პირქუში დედაბერი ჩქარი ნაბიჯით გაჰყვა კუბოს. მოისვენა ქვეყანამ დიდი შფოთისთავისაგან.

1930-1931 წ.

თარგმნა **თამაზ თევდორაძემ**



პიროგოვი საქართველოში

...1847 წლის შემოდგომაზე ნიკოლოზ პიროგოვმა მიიღო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის წოდება და თბილისში ჩამოვიდა. პირველად გამოიყენა წარმატებით ეთერის, როგორც ქირურგიული ოპერაციების დროს საანესტეზიო საშუალების მოქმედება. აქ ყოფნისას ქლოროფორმის ანესტეზიით საშასი ოპერაცია გააკეთა და, როგორც თავად წერდა თავის მეგობარს ი. ბერტენსონს, „ამით მინიმუმამდე შეამცირა ადამიანთა ტანჯვა“.

შორეული მგზავრობისათვის მან აირჩია არა კოხტა ეტლი, არა ბატონკაცური ეკიპაჟი, არამედ უბრალო ციმბირული ტარანტასი. ისინი სამნი იყვნენ: პიროგოვი, მისი ასისტენტი ნემერტი და ფერშალი კალაშნიკოვი. ტარანტასში სივიწროვე იყო: ინსტრუმენტებიანი ყუთებით ეთერი მოჰქონდათ. პიროგოვმა თან წამოიღო მის მიერ კონსტრუირებული ოცდაათი ხელსაწყო „ეთერიზაციისათვის“. აპირებდა, ეს ხელსაწყოები სამხედრო ექიმებისათვის დაერიგებინა. მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში ჩაწერეს: „კავკასიაში პიროგოვის წასვლის მიზანია, გამოსცადოს ეთერის მოქმედება ბრძოლის ველზე ოპერაციების გაკეთების დროს“ (იგულისხმება ე. წ. კავკასიის ომი, რომელსაც მეფის რუსეთი ეწეოდა).

ჩრდილოეთ კავკასიაში, სოფელ სალთთან, ტარანტასს გამოეთხოვენ. იგი ვიწრო მთის ბილიკებზე არ გამოდგა. გზა განაგრძეს ცხენებით.

სალთთან პიროგოვის ლაზარეთი კარვებში იყო განლაგებული. დაჭრილებს აწვენდნენ ჩალით დაფარულ ქვის საწოლზე. ჩალის გამოცვლას ვერ ასწრებდნენ, ისე იყლენთებოდა საწოლი სისხლით. დაჭრილებს თავქვეშ უდებდნენ დაკეცილ ამუნიციას. პიროგოვი, როგორც წესი, ოპერაციას აკეთებდა მუხლზე დაჩოქილი. გვიან ღამით იგი ძლივს იმართებოდა, სტკიოდა მთელი დღის განმავლობაში მოხრილი ზურგი. ქვის ცივი იატაკისაგან სასტიკად ტეხდა მუხლები.

სალთის შემდეგ უმტკივნეულო ოპერაციები სრულდებოდა თემირ—ხანშურთან, ტურჩიდში, ყუმიოში, დერბენდში და ბოლოს 1847 წლის 12 ოქტომბერს, როგორც პიროგოვი წერს თავის წიგნში „მოგზაურობა კავკასიაში 1847 წელს“, იგი ჩამოვიდა „საქართველოს ვაზის კურთხეულ მხარეში—კახეთში“, გაჩაღებული რთვლის დროს. წინანდალში ყოფნისას პიროგოვი ეწვია ალექსანდრე ჭავჭავაძის მამულს.

—თვალი შევავლე რა გავლით საქართველოს — კახეთის მადლიან ზვრებს, ჩვენ თბილისს ჩავედით ოქტომბრის ბოლოს, — წერდა ნ. პიროგოვი.

როგორც დადასტურებულია, 1847 წლის 17 ოქტომბერს ნ. პიროგოვი თბილისში ჩამოვიდა, აქ პირველ ნოემბრამდე დარჩა. თბილისში მას ზარზეიმით შეხვდნენ. მის ჩამოსვლას იუწყებოდა გაზეთი „კავკაზი“, სხვა გაზეთებიც. იგი მიიღო ქალაქის თავმა, მის განკარგულებაში გადავიდა მთელი სამხედრო ლაზარეთი. ლაზარეთის უფროსად მაშინ იყო ჩეხი ი. პრიბილი, რომელმაც ძალიან ბევრი რამ გააკეთა ქართული მედიცინის აღორძინებისათვის.

თბილისი პიროგოვს ძალიან მოეწონა. იგი მას ადარებს კაპუასს (იტალია) თავისი ორიგინალური და თვალწარმტაცი ბუნებით. „იმ დროს თბილისი, — წერს პიროგოვი, — უკვე იღებდა ევროპულ იერს... ყველგან ხედავ ახალ სახლებს, წინანდელი ქოხ-მახები აქა-იქ შემორჩენილა მდინარის გაღმა“. არანაკლები აღტაცებით აფასებდა ნ. პიროგოვი გოგირდოვან წყაროებს. „შესანიშნავია, რომ აქ ყველა მცხოვრებმა არ იცის სხვა აბაზანა ან აბანო, გარდა თბილი გოგირდოვანისა, რომელიც უხვადაა თბილისში“.

საინტერესოა წიგნის ის ადგილები, სადაც ლაპარაკია საქართველოში, კერძოდ, თბილისში მედიცინის განვითარებაზე.

—უკვე ორმოციან წლებში, — წერს პიროგოვი, თბილისში სულ უფრო მეტად ჩამოდიოდნენ ექიმები რუსეთიდან, ხოლო ქართველები თავიანთ შვილებს მედიცინის შესასწავლად რუსეთში გზავნიდნენ, მაგრამ ამავე დროს მოდიდან არ გამოსულან ექიმბაშები, რომელთა შორის იყვნენ ქირურგიის სპეციალისტები და სერიოზულ ოპერაციებსაც კი აკეთებდნენ...

ექიმბაშებს მან მიუძღვნა სპეციალური თავი: „აზიელი ხალხური ექიმბაშები“, რომელშიც აღტაცებულია ცეცხლსასროლი, გარეგანი და სხვა ჭრილობების, რთული მოტეხილობების მკურნალობის ხელოვნებით. „გარე დაზიანებების მკურნალობის ხელოვნება... წმინდა მემკვიდრეობითია და მამიდან შვილზე გადადის“.

თბილისში ნ. პიროგოვს აცნობეს, რომ ადგილობრივი ექიმები აღზრდილი იყვნენ ძველი ქართული კარაბადინებითა და სარგებლობდნენ ძველი სამედიცინო ცნობარებით, რომლებიც მაშინ პოპულარული იყო ამიერკავკასიის ხალხებს შორის.

ავტორი სტატიისა „ნ. ი. პიროგოვის მოღვაწეობა კავკასიაში და მისი მნიშვნელობა მედიცინისათვის“ გ. კოლოსოვი წერდა: „გოგირდის აბაზანებმა მიიპყრო ნ. პიროგოვის ყურადღება. ადგილობრივ ჰოსპიტალში მან ეთერით რამდენიმე დიდი ოპერაცია შეასრულა და ალბათ პირველად გამოიყენა ნარკოზი თვალთმაქცობის განსაზღვრის მიზნით — ნარკოზის წყალობით მან დაადასტურა ერთ-ერთი ახალწვეულის უდანაშაულობა, რომელზეც ეჭვი ჰქონდათ მიტანილი, რომ განგებ იყრუებს თავსო... „(„მედიცინსკი სბორნიკ“, 1907 წ. №69) თბილისში მან ჩაატარა თავის ტვინის, ჩიყვისა და სხვა ოპერაციებიც.

თბილისი ღირსშესანიშნავ ნიშანსვეტად დარჩა ნიკოლოზ პიროგოვის სამედიცინო მოღვაწეობაში. მისი თანამედროვეების მოგონებებში ნათქვამია, რომ თბილისში, საქართველოში მისი მოგზაურობის დროს, პიროგოვი იყო კახეთში, დუშეთის, ყაზბეგის, გორის მაზრებში, სამხრეთ ოსეთში, დეტალურად ათვალიერებდა ყველა ჰოსპიტალს, უმრავლეს შემთხვევაში უფასოდ აკეთებდა ურთულეს ოპერაციებს, ახალგაზრდა ქირურგებს უჩვენებდა თავის უძრავ თაბაშირის სახვევს, პროთეზგანდას უწევდა ეთერის ნარკოზს, კონსულტაციას აძლევდა ქართველ ექიმებს, ესაუბრებოდა ავადმყოფებს, კითხულობდა ლექციებს, უზიარებდა გამოცდილებას. და ყოველივე ამას აკეთებდა უსასყიდლოდ, ხალხის საკეთილდღეოდ!

საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. ასლანიშვილი იუწყება, რომ პიროგოვმა, საქართველოში ყოფნისას „დაათვალიერა ის დიდი და ვრცლად გაშლილი ჰოსპიტალი, რომელიც სპეციალურად მოაწყვეს და განალაგეს ქვის ბევრ შენობაში გუდამაყრის ხეობაში ხევსურეთისაკენ მიმავალი შავი არაგვის მარჯვენა ნაპირზე. და ახლა, ვისაც უწევს ფასანაურიდან თეთრი არაგვით გადასვლა და შავი არაგვის ხეობაში გავლა, ფასანაურიდან ორ კილომეტრზე შეუძლია ნახოს პატარა სოფელი, რომლის სახელწოდებაა „ჰოშპიტელი“, სადაც რუსულგვარიანი მთიულები ცხოვრობენ. ისინი არიან იმ ჰოსპიტალის სამხედრო მოსამსახურეთა შვილიშვილის შვილები, რომლებიც კავკასიის ომების დამთავრებისა და ჰოსპიტლის ლიკვიდაციის შემდეგ საცხოვრებლად დარჩნენ ჰოსპიტლის შენობებში“. და ცხოვრობენ მას შემდეგ, თუმცა რაც პიროგოვი ამ ადგილებში იყო, 100 წელზე მეტი დრო გავიდა.

პიროგოვის „ანგარიში კავკასიაში მოგზაურობის შესახებ“ დართული აქვს ცხრილი იმ ოპერაციებისა, რომლებიც თვითონ რუსეთის სხვა ქირურგებმა შეასრულეს ანესტეზირების მეშვეობით. ამის წყალობით არის ცნობილი იმ ადამიანთა სახელები, რომლებსაც ოპერაცია გაუკეთა პიროგოვმა. ეს არის ასობით სახელი, რომელთა შორის ბევრია ქართველი.

დღეს მეცნიერებამ დაადასტურა, რომ პიროგოვის „ანგარიშს“ მსოფლიო ქირურგიისათვის ჰქონდა და კვლავ აქვს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. თბილისი კი მისთვის იყო საბჭედრო ქირურგიაში დიდი გზის დასაწყისი. კავკასიის ექიმებმა ნ. პიროგოვი აირჩიეს კავკასიის სამედიცინო საზოგადოების საპატიო წევრად.

რევ დავიდოვი

ვილიარდელრეკორდი, სწორედ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკნობისმოყვარეობა ადამიანური თვისებაა. ასე რომ, რენე დეკარტის ცნობილი გამოთქმის პერიფრაზს თუ გავაკეთებთ, ზუსტად წარმოვაჩენთ ამ თვისების არსს — მაინტერესებს, ესე იგი ვარსებობ. ცნობისმოყვარეობის ნიჭით განსაკუთრებით უბვად პრესის მუშაკები არიან მომადლებულნი. სხვანაირად შეუძლებელიც იქნებოდა მათი პროფესიული საქმიანობა. ცნობისმოყვარეობის კულტის ქურუმებად ალბათ სწორედ რეპორტიორები გვევლინებიან, მის ბიბლიას კი გინესის რეკორდების წიგნი წარმოადგენს. ყოველდღიურად პლანეტის მოსახლეობა ზეციურ მანანასავით მოელის ახალი სენსაციური ამბების კრიალოსანს, რომლის მოპოვებაზეც არნახული მასშტაბის ომი მიმდინარეობს. რეპორტიორთა მთელი ლაშქარი მარადუამს დარაზმულია ყველაზე უახლეს თუ უოვლად მივიწყებულ ამბავთა შესატყობად და ამოსაჩხრეკად. ხშირად ხელოვნურადაც იქმნება სენსაციები, ითხზვება არნახული ჭორები. ამერიკის მასმედიის ერთ-ერთი მამამთავარი უილიამ ჰერსტი ასწავლიდა თავის სამწყსოს: თუ არ არსებობს სენსაცია, ჩვენ უნდა შევქმნათ იგი... თუ ადამიანს უკბინა ძაღლმა, ეს ამბავი არ არის სენსაცია, მაგრამ თუ ადამიანმა უკბინა ძაღლს, ეს უკვე სენსაციაა.

პრესის სამყაროში არსებობს თავისებური დომენები. დიდტირაჟიან სოლიდურ გამოცემებს შორის ზოგი წმინდა პოლიტიკური ფაქტების მოწოდებაზე აცხადებს პრიორიტეტს, ზოგი ეკონომიკის საკითხებს უთმობს მთავარ ადგილს, ილუსტრირებულ ჟურნალთაგან ზოგი ულამაზეს და სუპერფოტოგენურ მანეკენთა ძიებით არის დაკავებული, ზოგიც — პოპულარულ ადამიანთა პიკანტური თავგადასავლების შეგროვებით. არის ისეთი გამოცემები, სახელი მაფიის წინააღმდეგ ბრძოლით რომ გაითქვეს და ისეთებიც, რომლებიც მაფიის უშუალო მხარდაჭერით სულდგმულობენ. რაც შეეხება გავლენიან ამერიკულ გამოცემა „ფორჩუნს", იგი იმით იპყრობს მკითხველთა ყურადღებას, რომ აგერ უკვე რამდენიმე წელიწადია თავისი ყოველდღიური საქმიანობის გარდა, მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა ცხოვრების კვლევა-ძიებით არის დაკავებული. უფრო ზუსტად კი მათ კლასიფიკაციას ახდენს ქონებრივი ცენზის მიხედვით.

1988 წელს მილიარდერთა სიის სათავეში, სადაც ტრადიციულად ფიგურირებენ ბრუნეის სულთანი, საუდის არაბეთის მეფე და დიდი ბრიტანეთის დედოფალი, პირველად აღმოჩნდა აქამდე თითქმის სრულიად უცნობი ფორესტ მარსის გვარი (ეს, რალა თქმა უნდა, უკვე სენსაციაა). „უველაზე საიდუმლო მილიარდერი" — ასეთი ეპითეტით შეამკეს 84 წლის ფორესტ მარსი, კაცი, რომელმაც თავისი ქონება შოკოლადისა და სხვა ტკბილეულის, აგრეთვე ძაღლებისა და კატებისათვის განკუთვნილი კონსერვების დამზადებით დააგროვა. დაუღალავი შრომა ღირსეულად დაუფასდა ხანდაზმულ ბიზნესმენს, მისი ქონება 12,5 მილიარდი დოლარით განისაზღვრება. ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ დასციცინებენ თავს მემკვიდრეები. ფორესტ მარსი, უბრალო ოჯახიდან გამოსული ადამიანი, რომელმაც უკან ჩამოიტოვა ევროპის ბევრი მონარქი, თავს კვლავ მხნედ გრძნობს. აი თვალსაჩინო მაგალითი, რომელსაც სთავაზობს თავის მკითხველს „ფორჩუნი" დასავლური ცხოვრების წესის რეკლამირებისათვის.

პლანეტის უმდიდრეს ადამიანად კვლავ რჩება ბრუნეის სულთანი, რომლის ქონება 25 მილიარდი დოლარით განისაზღვრება და ამ ქონების უდიდესი ნაწილი 70-იან წლებში ნავთობის ბუმის დროს დაუგროვებია. ასევე ნავთობის წყალობით შეძლო 18 მილიარდი დოლარის შეძენა საუდის არაბეთის მონარქმა. მეფე ფაჰდი უკვე რამდენიმე წელია მყარად დამკვიდრდა მეორე ადგილზე უპირველეს მილიარდერთა შორის და ალბათ კიდევ დიდხანს ვერავინ შეეცილება მას. რაც შეეხება ელისაბედ მეორეს, მისი ქონება 8,7 მილიარდი დოლარით არის შეფასებული, მაგრამ დანარჩენ მილიარდერთა ქონებისაგან განსხვავებით, ეს ფული ფასიანი ქაღალდები როდია (ინგლისის დედოფალი, თუ შეიძლება ასე ითქვას, პარლამენტისაგან ბოძებული ხელფასით ცხოვრობს), არამედ უძრავი ქონება, სასახლეებში დაცული ხელოვნების ქმნილებები, ძვირფასი კოლექციები.

ელისაბედ მეორეს ოდნავ ჩამორჩება ნიდერლანდების დედოფალი ბეატრიქსი, რომლის ქონება 4,4 მილიარდი დოლარით განისაზღვრება. ხოლო რაც შეეხება იორდანიის მეფე ჰუსეინ მეორეს, იგი მილიარდერ მონარქთა შორის ყველაზე ღარიბად გამოიყურება — 1,3 მილიარდი დოლარი. ლიხტენშტეინის მთავარი (ლიხტენშტეინი ფართობით და მოსახლეობის რაოდენობით საქართველოს მაგალითზე შეიძლება ადგენის რაიონს შევადაროთ), რომელსაც არც ნავთობის სარეწები და არც ოქროს საბადოები გააჩნია, 1,2 მილიარდი დოლარის მფლობელი გახლავთ.

„ფორჩუნის" სტატისტიკის თანახმად შეერთებულ შტატებში ყველაზე მდიდარი მოქალაქე 70 წლის სემ იულტონი აღმოჩნდა. იგი „უოლმარტის" ცნობილი მაღაზიების ფართო ქსელის მეპატრონეა და თავის სიმდიდრესთან ერთად ხელმოჭერილობითა და ყოფის უბრალოებით გამოირჩევა. ერიდება ყოველგვარ ფუფუნებას, თავისუფალ დროს არკანზასის მიყრუებულ სოფელში, თავის ვილაში ატარებს და საკმაოდ შელახული პიკაპით დასეირნობს. ალბათ ამგვარმა მომჭირნეობამ შეაძლებინა მას 7,4 მილიარდი დოლარის დაგროვება.

უკანასკნელ ხანს მილიარდერთა სიაში დამკვიდრდნენ და ყოველწლიურად სულ მაღლა მიიწევენ აღმოსავლეთ აზიელი ბიზნესმენებიც. მათ შორის პირველ ადგილზე იმყოფება პლასტმასის მეფედ აღიარებული ტაივანელი საქმოსანი ვანგი. მისი ფირმების ნაწარმი, ისევე როგორც სხვა ტაივანელ და ჰონკონგელ მეწარმეთა მიერ დამზადებული ტექნიკა და მსუბუქი მრეწველობის საქონელი, მძაფრ კონკურენციას უწევს ამომავალი მზის ქვეყნელთა პროდუქციას. ვანგის ქონება 4,4 მილიარდ დოლარს შეადგენს.

მსოფლიოში უხუცეს მილიარდერად გვევლინება 99 წლის იაპონელი ტამესაბურუ ფუკუოკავა, იგი მიუხედავად თავისი ხოლიდური ასაკისა, ერთობ ყოჩაღად გრძნობს თავს. საერთოდ იაპონელი მილიარდერები თავიანთი „უცნაურობებითაც" გამოირჩევიან. მაგალითად, მილიარდერმა გენშირო კავამოტომ ერთ-ერთი უკიენდის დროს ერთბაშად შეიძინა 177 საავარაკო ნაკვეთი ჰონოლულუში. ხოლო 79 წლის რინჯი შინო საფუძვლიანად არის შეშფოთებული იაპონიის კუნძულების მოსახლეობის სიჭარბით, ამიტომ მას გადაწყვეტილი აქვს, ბრაზილიაში შეიძინოს ვრცელი მიწის ნაკვეთები, რათა შემდგომ იქ დაასახლოს დაახლოებით 20 მილიონი თანამემამულე. რინჯი შინო, რომლის ქონებაც 2,2 მილიარდი დოლარია და მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება, ალბათ შეძლებს სასიცოცხლო ფართობის სიმცირით შეჭირვებულ იაპონელთა დასახლებას სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე. ეს კეთილშობილი განზრახვა მართლაც სამაგალითო უნდა იყოს „ძლიერთათვის ამა ქვეყნისა".

რაც შეეხებათ ფრანგებს, მათ გული დასწყვიტა „ფორჩუნმა", რადგან თავის სიაში არ შეიყვანა პეუოს საგვარეულო. მაგრამ ყველაფერს თავისი წესები აქვს და მათი დაცვა აუცილებელია. უპირველეს მილიარდერთა სიაში შეჰყავთ მხოლოდ და მხოლოდ ის პირი, ვინც ერთპიროვნულად ფლობს მილიარდ დოლარს. რაც შეეხება პეუოს საგვარეულოს, თუმცა მათი ოჯახის ქონება ათნიშნა ციფრით განისაზღვრება, მაგრამ თანაბრად არის განწილებული ძმებს შორის. ასე რომ, ავტოკონცერნ „პეუოს" მფლობელები მხოლოდ რიგით მილიარდერებს წარმოადგენენ. და, საერთოდ, ფრანგები „ფორჩუნის" სიაში უკანასკნელ ადგილებს ავსებენ. 1,8 მილიარდ დოლარს ფლობს „ორეალის" ფირმის მეპატრონე ლილიან ბეტანკური. ხოლო მილიარდერთა სიის ბოლოში კიდევ ორი ფრანგის გვარი გვხვდება, მარლონ დასო თავისი 1,2 მილიარდი დოლარით და ჟენევიევ სეიდუ 1,1 მილიარდი დოლარით. ასე რომ, მხოლოდ ამ სამი ქალბატონით არიან წარმოდგენილნი ის რჩეული ფრანგები, რომლებსაც აქვთ პატივი, იწოდებოდნენ მილიარდერებად.

არ გეგონოთ, რომ „ფორჩუნის" მესვეურებს სათვალავიდან გამორჩათ რომის კათოლიკური და სამოციქულო ეკლესიის მეთაური უწმინდესი პაპი იოანე — პავლე მეორე. ცნობარებს თუ ვერწმუნებით, ვატიკანის ქონება 40 მილიარდი დოლარით განისაზღვრება, ხოლო პაპი კი ვატიკანის აბსოლუტურ მონარქს წარმოადგენს. მაგრამ ვატიკანის ბანკში დაცული 40 მილიარდი, ისევე როგორც ხელოვნების უთვალავი შედევრი, საეკლესიო კუთვნილებაა. რაც შეეხება თავად პაპების უშუალო ქონებას, საკმაოდ მოკრძალებულად მოგვეჩვენება. რომის პაპმა პავლე VI ბრილიანტებით შემკული თავისი ტიარა, რომელიც მის პირად საკუთრებას შეადგენდა და საზეიმო მღვდელმსახურებისათვის იყენებდა, დაუნაწილა ღარიბ-ღატაკებს. ეს მართლაც ყველასათვის მისაბაძი მოწყალების მაგალითია. მისი გაღებისათვის მხოლოდ კანონიერი გზით შეძენილი ქონების მფლობელთა იმედი უნდა გვქონდეს.

ნუგზარ ბარდაველიძე

ჯოსკორდი



თარაზულად: 5. ბის სადგარი, რომელზედაც მხატვარი მუშაობის დროს დგამს სურათს, ნახატს და ა. შ.; 6. მხარეთა თანასწორი წარმომადგენლობის პრინციპი; 7. ქიმიური ელემენტი; 12. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი მარნეულის რაიონში; 13. ზეპირი სიტყვიერების ჟანრი, ხალხში გავრცელებული მოკლე გამონათქვამი; 14. დიპლომატიური წარმომადგენლობა, რომელსაც მეთაურობს დესპანი ან საქმეთა რწმუნებული; 16. კუნძული მალაის არქიპელაგში; 17. ზ. ფალიაშვილის ოპერის პერსონაჟი; 19. სიგრძის საზომი ერთეული ძველ საქართველოში; 20. ქალაქი ჩრდილოეთ ნიგერიაში; 22. აკაკი წერეთლის მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სურათებიანი ალმანახი; 25. ძველი ბერძენი დრამატურგი; 27. ინგლისელი პოეტი; 28. ნაციონალიზმის უკიდურესი ფორმა, რომელიც ქადაგებს ეროვნულ განსაკუთრებულობას, ერთმანეთს უპირისპირებს სხვადასხვა ერის ინტერესებს, აღვივებს ეროვნულ ქედმაღლობას, შუღლსა და სიძულვილს; 29. პლანეტა ურანის თანამგზავრი; 30. კუნძული, ბრიტანეთის კუნძულების არქიპელაგში.

შვეულად: 1. ფრანველი ბელურასნაირთა რიგისა, ხალხური სახელწოდება ბიჭო-გოგოსა; 2. ცის ეკვატორთან მდებარე თანავარსკვლავედი; 3. შავი დელფინი; 4. ორგანიზმში შორეულ წინაპართათვის დამახასიათებელი ნიშნების გამოჩენა; 8. ვულკანურ კუნძულთა ჯგუფი წყნარ ოკეანეში; 9. მცენარეთა გვარი ქოლგოსანთა ოჯახისა; 10. ზღვაოსნობა, ნაოსნობა; 11. პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური, ზნეობრივი, ფილოსოფიური, რელიგიური, ესთეტიკური იდეებისა და შეხედულებების სისტემა; 14. ჯადოქრობა, მისნობა; 15. შეტევითი ხასიათის ფსიქიკური დაავადება, მკვლელობის მანია; 18. მდინარე ვოლგის შენაკადი; 21. თვითკმაყოფილება, დამოუკიდებლობა; 23. ქალაქი და ნავსადგური ჩრდილოეთ საფრანგეთში; 24. მარცვლეულის საწყაო ძველ საქართველოში; 26. პოეტური ეპოსის, პოემის ერთ-ერთი ისტორიული სახეობა, ვრცელ ამბავზე აგებული ეპიკური ჟანრის ნაწარმოები; 27. ქართული ხალხური სიმღერა.

ჯროსკორდი შეადგინა ვაჟა მაგრაქველიძემ

მე-11 ნომერში გამოქვეყნებული ჯროსკორდის პასუხები:

თარაზულად: 6. კროსი; 7. ნალია; 9. პარადოქსი; 10. მთა; 12. ბია; 13. იონჯა; 14. იალტა; 16. ქაცვი; 18. ქანდა; 19. წალდი; 20. აბედა; 24. ცირკი; 25. იარდი; 26. აგაკა; 28. გრიმი; 30. ოდა; 33. აბი; 34. იეროგლიფი; 35. იახტა; 36. ნერგი;

შვეულად: 1. კოორდინაცია; 2. გრიპი; 3. კენია; 4. ჯართი; 5. რიჭშა; 6. კამეჩი; 8. ავარია; 11. ალალი; 12. ბლინი; 15. ატლანტი; 16. ქონდარი; 17. იალბუზი; 18. ქანდარა; 21. კარდიოგრამა; 22. არენა; 23. მალტა; 24. ციმორი; 27. ასკილი; 28. გორკი; 29. ირისი; 31. ნიავი; 32. ქინძი.

კარატე—ეს „თავისუფალი ხელია“

ხელოვნების დარგები ჩამოთვალეთო, რომ უთხრათ, ვინმეს, ალბათ, ტრადიციული მხატვრობით დაიწყებს; იქნებ მუსიკა ან ჩამოსხმული ნიმუშ პლანზე, იქნებ კინო და თეატრი. მაგრამ თუ იგი ხელოვნების მხატვრული არ არის და თავისი საქმის ნამდვილი ტრფიალია, გულში მაინც მიათვლის თავის პროფესიას ხელოვნების დარგებს. და, კაცმა რომ თქვას, მართალიც იქნება, რადგან ყველაფერი ის, რასაც ადამიანი მთელი გულით აკეთებს, სულის ნაწილს ატანს, მისთვის ხელოვნებაა და სხვასაც დიდ სიამოვნებას ანიჭებს.

ამიტომ არაფერია გასაკვირი იმაში, რომ კახა ბასილიას კარატე ხელოვნებად მიაჩნია. თურმე ათასობით ადამიანია ამავე აზრისა. ყოველ შემთხვევაში, კარატეში მოვარჯიშეები ყველანი ასე ფიქრობენ.

ქალაქ ლვოვის აღმოსავლურ ორთაბრძოლათა ასოციაციის პრეზიდენტი, შავი ქამრის მფლობელი, ოცდახუთი წლის კახა ბასილია კი იმიტომ გამოვარჩიეთ, რომ იგი ნამდვილად კომპეტენტურია სპორტის ამ სახეობაში, უფრო სწორად, ხელოვნების ამ მოდერნისტულ დარგში. თანაც გვინდოდა, მისთვის ახლახანს ქალაქ ყარაგანდაში კარატე-დოში ჩატარებულ პირველ საკავშირო პირველობაზე მოპოვებული ჩემპიონობა მიგველოცა და მომავალი წარმატებები გვესურვებინა.

სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ეს ქართველი ყმაწვილი ტურნირებსა და შეჯიბრებებზე ლვოვის სახელით გამოდის და ლვოვის სახელ-დიდებისათვის იმარჯვებს. რა თქმა უნდა, ლვოველობა თავისთავად კარგია, მაგრამ ქართველს უნდა ჰქონდეს იმის უფლება, საქართველოს ღირსება დაიცვას.

კახა ბასილია ამჟამად ლვოვის ხე-ტყის ინსტიტუტის ეკონომიკური ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტია. ყველაფერი კი ასე დაიწყო:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კარატეს სექციიდან სამედიცინო ინსტიტუტის სექციას მიაშურა. პედაგოგი ხოსო დოლიძე ომარ რევიშვილმა შეცვალა. ისინი უსწავლიდნენ კახას, რომ კარატე მხოლოდ ხელ-ფეხის ქნევა არ არის, რომ ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია და რომ ჭეშმარიტ პიროვნებად ჩამოყალიბება ჯანსაღი სულის გარეშე შეუძლებელია.

1984 წელი. კარატე აკრძალეს. მოვარჯიშე კარატისტებით აივსო სარდაფები. კარატე ტაბუდადებულია. ამიტომ ხან აერობიკით ნიღბავენ მას, ხან უშუთი და ხან კიდევ რითი. ამის გამო, როგორც კახა ამბობს, კარატემ სახე დაკარგა. თუმცა ამ ორომტრიალს კახასთვის ნამდვილ პროფესიონალად ჩამოყალიბებაში ხელი არ შეუშლია, რაკი კარატეს არსი ასე ესმის:

— ყოველი მამაკაცი დაბადებით მეომარია. ამ საბრძოლო განწყობილებას ასპარეზი სჭირდება და კარატეა სწორედ ეს ასპარეზი, ფიზიკური და სულიერი სრულყოფის, სხეულსა და სულს შორის სრული ჰარმონიის მიღწევის საუკეთესო საშუალება.

როგორც ჩანს, აღმოსავლეთში ჩასახული ეს ხელოვნება ძალიან ახლოსაა ქართულ სულთან. საკავშირო ტურნირები ნათელყოფენ, რომ ქართველები საკმაოდ ძლიერები არიან სპორტის ამ სახეობაში. აქ ისევ მებრძოლი გენი თამაშობს მთავარ როლს. რატომ მღერიან იაპონელები ქართულ ხალხურ სიმღერებს ასე კარგად? მათ ეს სიახლოვე და მსგავსება იგრძნეს. ქართულ სიმღერასა და ცეკვაში იგრძნეს ეს მებრძოლი ხასიათი. რატომ ჰგავს ჩვენი ჭიდაობა ასე ძალიან იაპონელთა ძიუდოს? ეტყობა, არის რაღაც საერთო ჩვენსა და იაპონელებს შორის.

რა თქმა უნდა, კახასთვის უპირველესი საქართველოა. ლვოვში კარატისტთა სექცია რომ ჩამოაყალიბა, იქაც კი კედელზე საქართველოს რუკა დაკიდა. ვარჯიშის დროს თვლა ქართულად ხდება. სექციის წევრების ოცნებაა საქართველოში ჩამოსვლა. თავად კახასთვისაც განსაკუთრებული ხიბლი შეიძინა საქართველომ, ერთდროულად შორეულმა და მახლობელმა. ხშირად, როდესაც რინგზე გდის, ლადო ასათიანის რომელიმე ლექსის რამდენიმე სტროფს ამბობს თურმე თავისთვის, გულში, და ეს არის მისთვის ზღვა ენერგიის მიმცემი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, რასაკვირველია, თბილისს დაუბრუნდება, თბილისის სახელით გამოვა ტურნირებზე და საქართველოს სახელით გაიმარჯვებს. მთავარი გამარჯვება მაინც ის იქნება, თუ დღეს, როცა საქართველოს განსაკუთრებით სჭირდება ძლიერი ახალგაზრდობა, კარატეს რაც „თავისუფალ ხელს“ ნიშნავს, გამოიყენებთ ჩვენი სულიერი სიმტკიცისა და ფიზიკური ხიძლიერის სრულყოფისათვის, უფრო დიდ და მნიშვნელოვან თავისუფლებასთან მიახლოებისათვის.

ხატია გამგებელი

გადაეცა წარმოებას 13. 10. 89. ხელმოწერილია დასაბეჭდად 27. 11. 89. უე 09502. ქაღალდის ზომა 70×108 1/8. ვარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, ნაღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 50.000. შეკვეთა 2254. ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობას სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.

Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

380008, თბილისი-8, რუსთაველის პრ. 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეებს 93-28-42, 99-01-39, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა აგტორს არ უბრუნდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა





ქაცა გასილია

299/4

ეროვნული
ბიბლიოთეკა



D. KAKABADZÉ. 1924.